

# მუსლიმი ახალგაზრდების დამოკიდებულებები

## მედია გაშუქებისა და შეურაცხმყოფელი ტერმინოლოგიის მიმართ

MDF
მედიის განვითარების ფონდი

Hedayah
countering violent extremism

EUROPEAN UNION

# მუსლიმი ახალგაზრდების დამოკიდებულებები

## მედია გაშუქებისა და შეურაცხმყოფელი ტერმინოლოგიის მიმართ

MDF
მედიის განვითარების ფონდი

Hedayah
countering violent extremism

EUROPEAN UNION

ავტორები:
თამარ კინწურაშვილი, სოფო გელავა

მეთოდოლოგია:
მედიის განვითარების ფონდი, MDF

რეცენზირება:
ბექა მინდიაშვილი

დიზაინი:
ბესიკ დანელია

**მედიის განვითარების ფონდი მადლობას უხდის პანკისის სათემო რადიოს way-ს, ქართველ მუს-ლიმთა კავშირს და მარნეულის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრს ფოკუს ჯგუფების ორგანი-ზებაში გაწეული დახმარებისთვის.**

პროექტი დაფინანსებულია ჰიდაიას და ევროკავშირის გრანტით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზ-რებები, მიგნებები და რეკომენდაციები ეკუთვნით ავტორებს და არ უნდა აღიქმებოდეს ჰიდაიას და ევროკავშირის პოზიციად.

# შესავალი

წინამდებარე ანგარიში მედიის განვითარების ფონდის მიერ 2017 წლის სექტემბერში ჩატარებული ფოკუს ჯგუფების შედეგებს ასახავს. კვლევის მიზანი მედიაში მუსლიმთა თემატიკის გაშუქებისადმი თავად მუსლიმი ახალგაზრდების დამოკიდებულებების შესწავლა იყო.

კვლევისთვის მედია შინაარსი მედიის განვითარების ფონდის მიერ 2017 წლის 15 ივნისი – 15 სექტემბრის პერიოდში ჩატარებული ქართული და რუსული მედიის მონიტორინგის მონაცემებიდან შეირჩა, გარკვეულ შემთხვევებში კი ასევე გამოყენებული იყო საარქივო მასალა. კვლევის ფარგლებში დაკვირვების საგანი იყო როგორც მედია გაშუქების პროფესიული სტანდარტი და ეთიკის ნორმების დაცვა, ასევე დამოკიდებულებები მედიით გამოვლენილი გზავნილების, ტერმინოლოგიის და მედიის თვითრეგულირების მექანიზმების მიმართ. კვლევის საბოლოო მიზანი კი მედიისთვის გზამკვლევის შემუშავება იყო, რომელიც მუსლიმთა თემატიკის პროფესიულად და ეთიკის ნორმების დაცვით გაშუქების სახელმძღვანელო პრინციპებს მოიცავს.

ანგარიში სამი ნაწილისგან შედგება: პირველი ნაწილი მედიის თვითრეგულირების სისტემას შეეხება, მეორე – მედია გაშუქების სხვადასხვა ასპექტებს, მესამე დასკვნითი ნაწილი კი მედიის გზამკვლევს ეთმობა, რომელშიც კვლევის მთავარ მიგნებებს შესაბამისი რეკომენდაციები ერთვის. დანართში მოცემულია დამხმარე ტერმინოლოგიური ლექსიკონი ჟურნალისტებისთვის.

# მეთოდოლოგია

კვლევის ფარგლებში 2017 წლის სექტემბერში სულ ჩატარდა 5 ფოკუს ჯგუფი, რომელშიც მონაწილეობა 55-მა 18-29 წლამდე ასაკის მუსლიმმა ახალგაზრდამ მიიღო. ფოკუს ჯგუფების მონაწილეთა შერჩევა აჭარის, პანკისის ხეობის და ქვემო ქართლის ახალგაზრდებიდან კვოტირებულად მოხდა. შერჩევის დროს გათვალისწინებული იყო გენდერული და რელიგიური მიმდინარეობის ნიშნით წარმომადგენლობა, ქვემო ქართლის შემთხვევაში კი დამატებით – ეთნიკური კუთვნილება და განათლების ცენზი (სტუდენტი). პანკისში გოგოებისა და ბიჭებისთვის 2 ფოკუს ჯგუფი ცალ-ცალკე ჩატარდა (გოგო – 11, ბიჭი – 7); აჭარაში ერთ ჯგუფში ახალგაზრდები მთიანი აჭარიდან მონაწილეობდნენ (9 მონაწილე), მეორეში – ბათუმიდან (14 მონაწილე); ქვემო ქართლში კი 1 ფოკუს ჯგუფი (14 მონაწილე) ჩატარდა.

**ფოკუს ჯგუფის ხანგრძლივობა:** 2 საათი

**ფოკუს ჯგუფის ინსტრუმენტი:** ნახევრად სტრუქტურირებული კითხვარი, ვიდეო ჩვენება, ექსპერიმენტი.

## კვლევის მეთოდი

- მონაწილეთა აღქმებისა და დამოკიდებულებების შესწავლა მედია შინაარსის შეფასების, ვიდეო ექსპერიმენტისა და ნახევრად სტქრუტურირებული კითხვების მეშვეობით;
- მედია კონტენტში დისკრიმინაციული ტერმინების იდენტიფიცირება და შეფასება.

**მედია შინაარსის შეფასება/ექსპერიმენტული ვიდეო ჩვენება.** მონაწილეებს დაურიგდათ ამონარიდები მედია მონიტორინგის შედეგებიდან, ასევე სპეციფიური თემების შემთხვევაში (კონფლიქტები საკულტო ნაგებობებთან დაკავშირებით, ისტორიული ტრავმის გაღვივება) საარქივო მასალებიდან. შეირჩა ვიდეო სიუჟეტები და გარკვეულ შემთხვევებში ექსპერიმენტული ჩვენება გაიმართა: მონაწილეები თავდაპირველად გაეცნენ ვიდეოს ტრანსკრიპტს, სადაც ევროპული იდენტობის ტერორისტის მუსლიმური იდენტობის პირით ჩანაცვლება მოხდა. საკითხზე დისკუსიის შემდეგ კი მონაწილეებმა ავთენტური ვიდეო სიუჟეტი ნახეს. მედია შინაარსის შეფასება ნახევრად სტრუქტურირებული კითხვარითა და დისკუსიის ფორმით მოხდა.

**ტერმინების შეფასება.** პოტენციურად დისკრიმინაციული ტერმინების იდენტიფიცირება 2 გზით მოხდა: 1. მონაწილეებს დაურიგდათ ფრაგმენტები ჟურნალისტური სტატიიდან და ინფორმაციიდან და მიეცათ დავალება, წითელი კალმით გადაეხაზათ ის სიტყვები, რომლებიც, მათი აზრით, ჟურნალისტს არ უნდა გამოეყენებინა. 2. მონაწილეები 2 ჯგუფად დაიყვნენ. თითოეულ ჯგუფს ბარათზე ამობეჭდილი წინასწარ შერჩეული პოტენციურად დისკრიმინაციული და ნეიტრალური ტერმინები დაურიგდა. მონაწილეებმა ტერმინები 2 კატეგორიად დააჯგუფეს: „სრულიად მიუღებელი“ და „სრულიად მისაღები“.

კვლევისთვის შერჩეული მედია შინაარსი და ტერმინოლოგია შემდეგ თემებს მოიცავდა:

- რელიგიური დღესასწაულების გაშუქება;
- სადავო საკულტო ნაგებობები;
- ისტორიული ტრავმის გაღვივება;
- უცხოელების საფრთხესთან გაიგივება;
- საჯარო პირის ქსენოფობიური განცხადებების გაშუქება;
- რელიგიური და ეთნიკური კუთვნილების დაკავშირება კრიმინალთან;
- ტერორიზმის გაშუქება;
- ანტიდასავლური განწყობები.

**დოკუმენტური ანალიზი.** თვითრეგულირების ნაწილში დამატებით გამოყენებული იყო დოკუმენტების ანალიზი და შესწავლილი იყო როგორც ნორმატიული აქტები, ასევე საქართველოს კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიიდან გამოთხოვილი ინფორმაცია თვითრეგულირების პრაქტიკის შესახებ.

# სარჩევი


I. მედიის თვითრეგულირება 9

II. მედია გაშუქება 15

2.1. რელიგიის საკითხების გაშუქება; უმცირესობები, როგორც ობიექტი 15
2.2. სადავო საკულტო ნაგებობების საკითხის გაშუქება 16
2.3. ისტორიული ტრავმა 21
2.4. საჯარო პირთა ქსენოფობიური განცხადებების გაშუქება – უცხოელების საფრთხეებთან დაკავშირება 23
2.5. რელიგიური/ეთნიკური/ეროვნული კუთვნილების დაკავშირება კრიმინალთან 25
2.6. ტერორიზმის გაშუქება ქართულ მედიაში 28
2.7. ტერორიზმის გაშუქება რუსულ მედიაში 30
2.8. ტერორიზმთან დაკავშირებული სპეციფიური ტერმინები რუსულ მედიაში 36
2.9. ტერორიზმთან დაკავშირებული სხვა ტერმინები 38
2.10. რელიგიურ-ეთნიკურ იდენტობასთან დაკავშირებული ტერმინები 42
2.11. მიგრანტებთან დაკავშირებული ტერმინები 46

III. მედიის მზამკვლევი 49

დანართი. დამხმარე ლექსიკონი ჟურნალისტებისთვის 59

# I. მედიის თვითრეგულირება

**2009 წლიდან საქართველოში სამაუწყებლო, ბეჭდვითი და ონლაინ მედიისთვის შერეული თვითრეგულირების სისტემა მოქმედებს: მაუწყებელთა ქცევის კოდექსი მიღებულია ნორმატიული აქტის სახით, მაშინ, როდესაც ბეჭდვით და ონლაინ მედიაში თვითრეგულირება სრულად ნებაყოფლობით საწყისებზეა. ინდივიდუალური შიდასარედაქციო ქცევის კოდექსების შემუშავება ფართოდ დამკვიდრებული პრაქტიკა არ არის, თუმცა ცალკეული გამონაკლისებიც არსებობს.**

მაუწყებლები. მაუწყებლობის შესახებ კანონის 50-ე მუხლის საფუძველზე, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ 2009 წლის 12 მარტს მაუწყებელთა ქცევის კოდექსი შეიმუშავა, რომლის დაცვა ყველა ლიცენზირებული/ავტორიზებული მაუწყებლისთვის სავალდებულოა. კანონის მე-14 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მაუწყებელი ვალდებულია, „ქცევის კოდექსის საფუძველზე შექმნას თვითრეგულირების ეფექტიანი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს საჩივრების განხილვასა და მათზე დროულ და დასაბუთებულ რეაგირებას". მაუწყებლის გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია სააპელაციო ორგანოში, რომლის წევრები დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და კვალიფიციური პირები არიან და საჯარო მოხელეებს ან პოლიტიკურ პარტიას არ წარმოადგენენ, ასევე არ აქვთ მიღებული მონაწილეობა საჩივრის პირველ ინსტანციაში განხილვაში.

შინაარსობრივი რეგულირება მთლიანად მაუწყებლის თვითრეგულირების ორგანოს დისკრეციაა. კომუნიკაციების მარეგულირებელ კომისიას არ გააჩნია უფლებამოსილება, განიხილოს მაუწყებლის თვითრეგულირების ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შინაარსობრივი მხარე, გამონაკლისია კანონით განსაზღვრული პროცედურული საკითხები (პროცესის გამჭვირვალობა, განხილვაში დაინტერესებული მხარის მონაწილეობა ა.შ), რომლის დარღვევის შემთხვევაში, მას სანქციების დაკისრების უფლებამოსილება აქვს.

მაუწყებელთა კოდექსის IX თავი (მრავალფეროვნება, თანასწორობა და ტოლერანტობა) ანტიდისკრიმინაციულ მუხლებს შეიცავს და შეეხება ფართო ჯგუფებს, როგორიცაა ეთნიკური, რელიგიური, სექსუალური და სხვები. 31-ე მუხლის თანახმად, „მაუწყებელმა თავი უნდა შეიკავოს ისეთი მასალის გამოქვეყნებისგან, რომელიც გააღვივებს სიძულვილს ან არატოლერანტობას რასის, ენის, სქესის, რელიგიური კუთვნილების, პოლიტიკური შეხედულებების, ეთნიკური, გეოგრაფიული ან სოციალური წარმოშობის საფუძველზე“. კოდექსი სხვადასხვა ჯგუფების მიმართ შეურაცხმყოფელი ტერმინოლოგიის გამოყენებაზე სპეციფიურ მუხლებს არ შეიცავს.

კოდექსის პრაქტიკაში განხორციელების მხრივ სამი ძირითადი პრობლემა იკვეთება:

1. დაინტერესებული პირის არაერთგვაროვანი ინტერპრეტაცია;
2. გასაჩივრების კომისიისთვის დაბალი მიმართვიანობა;
3. საზოგადოების დაბალი ინფორმირებულობა გასაჩივრების მექანიზმის შესახებ.

**დაინტერესებული პირი.** არასამთავრობო ორგანიზაციები მაუწყებელთა თვითრეგულირების ორგანოებში ანტიდისკრიმინაციულ მუხლზე დაყრდნობით საჩივრების ინიცირებას სხვადასხვა უმცირესობის ჯგუფებთან ერთად ახდენენ. თუმცა, გარკვეული ტელეკომპანიები ასეთ შემთხვევაში აცხადებენ, რომ არასამთავრობოები და უმცირესობის წარმომადგენლები უფლებამოსილნი არ არიან, საჩივრის ინიცირება მოახდინონ, რადგან არ წარმოადგენენ დაინტერესებულ მხარეს. მაუწყებლობის შესახებ კანონის თანახმად, მედიის თვითრეგულირების ორგანოსთვის მიმართვა შეუძლია დაინტერესებულ პირს, რომელიც არის „ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომლის კანონიერ ინტერესზე პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს მაუწყებლის საქმიანობა“ (მუხლი 2, ე). იდენტურ განმარტებას გვთავაზობს მაუწყებელთა ქცევის კოდექსი, რომლის თანახმად, დაინტერესებული მხარე არის „ნებისმიერი პირი, რომელსაც ეხება ან რომელიც ნახსენებია პროგრამაში ან მაუწყებლის თვითრეგულირების ორგანოს გადაწყვეტილებაში“ (მუხლი 5, ვ).

„დაინტერესებული მხარის“ ცნების ორმაგი და განსხვავებული ინტერპრეტაცია პრაქტიკაში საჯარო ინტერესის საკითხებზე კოდექსის ეფექტიანი განხორციელების მხრივ პრობლემას ქმნის.

**დაბალი მიმართვიანობა.** კომუნიკაციის მარეგულირებელი კომისიის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2016 წელს ნაციონალური და რეგიონული დაფარვის მაუწყებლების თვითრეგულირების ორგანოებმა სულ 13 საჩივარი განიხილეს, აქედან რამდენიმე შემთხვევაში მაუწყებელთა ქცევის კოდექსის სადავო მუხლი მითითებული არ არის და შესაბამისად, შეუძლებელია საქმის ტიპოლოგიის განსაზღვრა. 13-დან 4 შემთხვევა დისკრიმინაციას შეეხებოდა, საიდანაც 3 ლგბტ პირებს შეეხებოდა, ხოლო 1 – გენდერული ნიშნით დისკრიმინაციას. ქსენოფობიის ან რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციის საქმეები კომისიის მიერ მოწოდებულ 2016 წლის ანგარიშში არ ფიგურირებს.

**არაინფორმირებულობა თვითრეგულირების მექანიზმის შესახებ.** 2009 წელს კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის მიერ მაუწყებელთა კოდექსის მიღების შემდეგ, კომისიას საინფორმაციო კამპანია თვითრეგულირების ფორმატში გასაჩივრების მექანიზმის არსებობის შესახებ არ უწარმოებია. შესაბამისად, მოქალაქეთა ინფორმირებულობა კანონმდებლობით განსაზღვრული ამ შესაძლებლობის თაობაზე, დაბალია.

ფოკუს ჯგუფების მონაწილეთა უმრავლესობას მედიის თვითრეგულირების ორგანოში გასაჩივრების მექანიზმის შესახებ არ სმენია და აცხადებს, რომ ინფორმირებულობის შემთხვევაში, აღნიშნულ ინსტიტუტს აუცილებლად გამოიყენებდა:

> **„რა თქმა უნდა მივმართავდი, რადგან რაც არ უნდა დამნაშავე იყოს [გაშუქების სუბიექტი], მედიას არა აქვს უფლება, შეურაცხყოფა მიაყენოს პიროვნებას. მედიამ უნდა გააშუქოს ის, რაც მოხდა“ (აჭარა).**

ცალკეულმა მონაწილეებმა თვითრეგულირებაში მიმართვის აუცილებლობა იმ შემთხვევაში ჩათვალეს მიზანშეწონილად, თუ გაშუქება უშუალოდ მათი ოჯახის წევრს ეხება ან მედია განზრახ ახდენს ფაქტების დამახინჯებას:

> **„თუ რამდენჯერმე დაუშვა შეცდომა, მაშინ შეიძლება მივმართო“...**
> **„თუ სხვა გამოსავალი არ იქნება, მაშინ მივმართავდი, შეიძლება გაუცნობიერებლად თქვა, შეიძლება გამოასწოროს თვითონ და არ იყოს საჭირო ჩივილი, თუ სპეციალურად იყენებს მიზანმიმართულად, მაშინ მივმართავდი“ (ქვემო ქართლი).**

მედიის თვითრეგულირების ორგანოს სათემო და რელიგიური გაერთიანებების ლიდერებიც ნაკლებად მიმართავენ. პანკისის ხეობის უხუცესთა საბჭოს წევრი ხასო ხანგოშვილი მედია გაშუქებაზე რეაგირების ზომიერ ფორმად განცხადებების გაკეთებას მიიჩნევს, რომელთაც უხუცესთა კავშირი საკუთარ ვებ-გვერდზე აქვეყნებს:

> **„მაგალითად, მშენებარე ეკლესიასთან და იმ პროვოკაციასთან დაკავშირებით, ჩვენ გამოვაქვეყნეთ განცხადება. ჩუმად არ ვართ, მაგრამ თითოეულ ჟურნალისტს ვერ გამოეკიდება კაცი. თუ რამე ისეთი გამოქვეყნდა, რაც ვნებს ქისტ და ქართველ ადამიანთა ურთიერთობას, აუცილებლად ვპასუხობთ“, — აღნიშნა ხასო ხანგოშვილმა.**

მედიის თვითრეგულირების ინსტიტუციონალურ მექანიზმებს ყველაზე აქტიურად აჭარაში მოქმედი ორგანიზაცია „ქართველ მუსლიმთა კავშირი“ იყენებს. ორგანიზაციის ხელმძღვანელი ტა-

რიელ ნაკაიძე აღნიშნავს, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებთან პარტნიორობით მათ როგორც მაუწყებლობის თვითრეგულირების ორგანოს, ასევე ჟურნალისტური ეთიკის ქარტიას რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციის შემთხვევებზე რამდენჯერმე მიმართეს, განხილვის შედეგად კი დისკრიმინაციის შემთხვევები დადგინდა[1]. ტარიელ ნაკაიძის აზრით, თუ არ ჩავთვლით რადიკალურ გამოცემებს (გაზეთი „ასავალ-დასავალი“, ტვ „ობიექტივი“), მედიაში გაშუქების მხრივ გარკვეული წინსვლა შეინიშნება, თუმცა კვლავ რჩება ისეთი პრობლემები, როგორიცაა „ტერმინოლოგიის არასწორი გამოყენება, მუსლიმების დაკავშირება ტერორიზმთან და ასე შემდეგ, რაც თემში გაღიზიანებას იწვევს“.

საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია ინდივიდუალური ჟურნალისტებისა და მედია მენეჯერების დამოუკიდებელი გაერთიანებაა, რომლის წევრები იზიარებენ ქარტიის მიზნებს. ორგანიზაცია 2009 წელს დაფუძნდა და მას შემდეგ მისი წევრების რიცხვი 137-დან 318-მდე გაიზარდა. ქარტიის საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი ფუნქციაა მედიის მხრიდან დარღვევებზე მოქალაქეთა საჩივრების მიღება და განხილვა. ქარტია საჩივრებს 11 პრინციპის საფუძველზე განიხილავს, რომელიც ხელმომწერი წევრების მიერ არის მიღებული. დოკუმენტის მე-7 პრინციპი დისკრიმინაციის დაუშვებლობას შეეხება, რომლის თანახმად:

> **„ჟურნალისტს უნდა ესმოდეს მედიის მიერ დისკრიმინაციის წახალისების საფრთხე; ამიტომ ყველაფერი უნდა იღონოს ნებისმიერი პირის დისკრიმინაციის თავიდან ასაცილებლად რასის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული ან სოციალური წარმოშობის საფუძველზე ან რაიმე სხვა ნიშნით“.**

როგორც ქვემოთ მოცემული ცხრილიდან ჩანს, ბოლო წლებში მნიშვნელოვნად იმატა ქარტიისათვის მიმართვების რაოდენობამ და დისკრიმინაციის მუხლით (მე-7 პრინციპი) საქმეების განხილვის მაჩვენებელმა. 2010-2017 წლებში განხილული 133 საქმიდან 31 დისკრიმინაციას შეეხებოდა, აქედან 7 საქმე ქსენოფობიური შინაარსის წინააღმდეგ იყო მიმართული, 2 — ისლამოფობიის, ხოლო 1 რასიზმის შემცველ გაშუქებაზე რეაგირებას წარმოადგენდა. აღსანიშნავია, რომ სარჩელების უმეტესობა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ არის ინიცირებული.

---

[1] MDF, ქართველ მუსლიმთა კავშირის, TDI vs. რუსთავი 2, (2014).
http://notophobia.ge/geo/view-resources/self-regulation-practice/6
ტარიელ ნაკაიძე vs. Mediacity.ge, (2014).
http://notophobia.ge/geo/view-resources/self-regulation-practice/5
MDF, ქართველ მუსლიმთა კავშირის, TDI, EMC vs. რუსთავი 2, (2014).
http://notophobia.ge/geo/view-resources/self-regulation-practice/4

### ცხრილი 1. 2010-2017 წლებში ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის მიერ განხილული საქმეების სტატისტიკა

| წლები | განხილული საქმეები | დისკრიმინაციის მუხლი | ქსენოფობია | ისლამოფობია | რასიზმი |
|---|---|---|---|---|---|
| 2017 | 31 | 9 | 1 | | 1 |
| 2016 | 28 | 6 | 2 (არმენოფობია) | | |
| 2015 | 35 | 7 | 2 (თურქოფობია/ არმენოფობია) | 1 | |
| 2014 | 21 | 7 | 2 | 1 | |
| 2013 | 5 | 0 | | | |
| 2012 | 5 | 0 | | | |
| 2011 | 3 | 1 | | | |
| 2010 | 5 | 1 | | | |
| ჯამი | 133 | 31 | 7 | 2 | 1 |

**შიდასარედაქციო ქცევის კოდექსები** ფართოდ დამკვიდრებული პრაქტიკა არ არის, თუმცა გამონაკლისი შემთხვევებიც არსებობს. 2006 წელს საზოგადოებრივმა მაუწყებელმა საკუთარი შიდასარედაქციო ქცევის კოდექსი[2] შეიმუშავა და მედია მონიტორინგის სამსახური შექმნა, რომელიც საინფორმაციო სამსახურის რედაქციაში ეთიკური სტანდარტების დამკვიდრებას ისახავდა მიზნად. მონიტორინგის სამსახური 2009 წელს გაუქმდა, თუმცა კოდექსი ისევ მოქმედია.

საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთიკის კოდექსი დეტალურ რეგულაციებს შეიცავს ეთნიკური და რელიგიური ჯგუფების, ეთნიკური/რელიგიური დაპირისპირების გაშუქების, რელიგიური პროგრამებისა და არატოლერანტობის მიმართ პოზიციის შესახებ. ის ერთადერთი ქართული დოკუმენტია, რომელიც მიუღებელი ტერმინოლოგიის საკითხსაც ფარავს. კერძოდ, კოდექსის მე-15.6 მუხლში, რომელიც მთლიანად ტერმინოლოგიას ეხება აღნიშნულია:

> **„არ გამოიყენოთ ისეთი ტერმინები, რომლებიც კონკრეტული ეთნიკური თუ რელიგიური უმცირესობისთვის შეურაცხმყოფელი შეიძლება აღმოჩნდეს.**
>
> **რეაგირება მოახდინეთ ისეთ სიტყვებზე, რომლებიც ამცირებს და შეურაცხყოფს პიროვნებას ეთნიკური ან რელიგიური ნიშნით. რესპონდენტებს, რომლებიც აღნიშნულ სიტყვებს პირდაპირ ეთერში გამოიყენებენ, მკაფიოდ განუმარტეთ, რომ საზოგადოებრივი მაუწყებელი არ ეთანხმება მათ მიერ გამოთქმულ მოსაზრებებსა და გამოხატვის ფორმას...**

[2] საზოგადოებრივი მაუწყებლის ქცევის კოდექსი. პროფესიული სტანდარტები და ჟურნალისტური ეთიკის პრინციპები სსმ-ის პროგრამებში, (2006). http://gpb.ge/files/documents/2006/04/b80766114bede8515fda6dab805e19e5.pdf

**ხელაღებით ნუ გამოიყენებთ ისეთ ტერმინების, როგორებიცაა, მაგალითად, „ფუნდამენტა-ლისტი“, „ისლამისტი“. ის, რაც ერთი ჯგუფის დახასიათებისთვის არის შესაფერისი, მეორი-სათვის შეიძლება შეუფერებელი აღმოჩნდეს.**

**ადამიანის ეთნიკური წარმომავლობა არ აღნიშნოთ ისეთი სიტყვით, რომელსაც უარყოფი-თი ელფერი დაჰკრავს. მაგალითად, „ურია“ არ თქვათ „ებრაელის“ ნაცვლად, „თათარი“ კი აზერბაიჯანელის ნაცვლად და ა.შ.“**

არ ჩატარებულა კვლევა იმის შესასწავლად, თუ რამდენად იყენებენ საზოგადოებრივი მაუწყებლის ჟურნალისტები და მედია მენეჯერები კოდექსის ნორმებს და ეთიკურ სტანდარტებს ყოველდღიურ პრაქტიკაში, ასევე არის თუ არა ჟურნალისტებისთვის კოდექსის დაცვის ვალდებულება შრომითი ხელშკრულებების ნაწილი.

# II. მედია გაშუქება

## 2.1. რელიგიური დღესასწაულების გაშუქება, უმცირესობები როგორც ობიექტი

როგორც მედია მონიტორინგმა აჩვენა, მუსლიმებთან დაკავშირებული საკითხების ინკლუზიური გაშუქება ძირითადად ოფიციალური პირების მიერ რელიგიური დღესასწაულების მილოცვებს უკავშირდება და სარედაქციო მასალებში ნაკლებად არის წარმოდგენილი თავად თემის მოსაზრებები, რის გამოც უმცირესობები ჟურნალისტური მასალის ობიექტად გვევლინებიან და არა სუბიექტად. ამასთანავე არ ხდება დღესასწაულის შესახებ საზოგადოების სათანადო ინფორმირება და გაშუქებას უფრო პროტოკულური ხასიათი აქვს.

**სიუჟეტი:** რელიგიური დღესასწაულების გაშუქების მიმართ მუსლიმი თემის დამოკიდებულებების შესასწავლად, ფოკუს ჯგუფის მონაწილეებს საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის სიუჟეტი „გიორგი კვირიკაშვილმა საქართველოს მუსლიმთა თემს იფთარზე უმასპინძლა" ვაჩვენეთ, რომელიც პრემიერ-მინისტრის მიერ რამადან ბაირამის მილოცვას შეეხებოდა.

**დამოკიდებულებები.** მონაწილეთა უმრავლესობამ გაშუქება არასრულფასოვნად მიიჩნია, რადგან მასში თავად მუსლიმების კომენტარი არ იყო წარმოდგენილი.

> **„კარგია ხოლმე რომ ჩადიან და ულოცავენ, მაგრამ ასეთ სიუჟეტებს აკლიათ ხოლმე იმ ადამიანების კომენტარი და შეფასება, ვისზეც არის ეს სიუჟეტი" (ქვემო ქართლი).**
>
> **„მუსლიმთა მნიშვნელობაზე კვირიკაშვილმა თავისი აზრი ჩამოაყალიბა და თვითონ ამ თემის წარმომადგენელს რომ თავისი აზრი ეთქვა, უფრო სრულყოფილი იქნებოდა [გაშუქება]" (პანკისი).**
>
> **„მუსლიმის კომენტარი საერთოდ არ ყოფილა. არც მუფთის, არც ისლამის რომელიმე წარმომადგენელის საერთოდ. კარგი იქნებოდა, რომ გამოეტანა. ან საზოგადოებისთვის ეკითხა" (აჭარა).**

ამასთანავე აჭარის მონაწილეებმა ხაზი გაუსვეს იმას, რომ მასალა არ იყო სიღრმისეული და არ იყო განმარტებული თავად რელიგიური დღესასწაულის არსი, რომელიც მათთვის ძალზედ მნიშვ-

ნელოვანია. აჭარის ფოკუს ჯგუფის მონაწილეებმა პარალელი ქრისტიანული დღესასწაულების გაშუქებასთან გაავლეს და აღნიშნეს, რომ ასეთ დროს არა მხოლოდ გაშუქების ქრონომეტრაჟი და სიუჟეტების რაოდენობაა მნიშვნელოვნად მეტი, არამედ უზრუნველყოფილია რელიგიური ცერემონიის პირდაპირი ტრანსლირება.

> **„ხომ შეიძლებოდა აეხსნათ, რას ნიშნავს რამადანი, სულ რომ არაფერი".**
>
> **„უფრო ვრცლად უნდა გაეშუქებინათ ეს ინფორმაცია, ვინაიდან მუსლიმებისთვის ძალიან მნიშვნელოვანი დღესასწაულია".**
>
> **„ძალიან ხშირად ვაკვირდები ხოლმე, ქრისტიანული დღესასწაული რომაა, აი, დამერწმუნეთ, ორმაგი სიუჟეტი აქვთ, ვიდრე ეს იყო".**
>
> **„პირდაპირი ეთერი აქვთ და სხვა ყველაფერი ითიშება".**
>
> **„ანუ, ასე რომ ვთქვათ, საზოგადოებრივმა მაუწყებელმა თავისი ვალი მოიხადა, რომ გააშუქა მუსლიმთა დღესასწაული" (აჭარა).**

აჭარის ფოკუს ჯგუფის ერთ-ერთი მონაწილის აზრით, სიუჟეტში ისიც უნდა აღნიშნულიყო, თუ რა წვლილი მიუძღვით მუსლიმებს ქვეყნის განვითარებაში.

> **„უფრო უნდა განემარტა, თუ რა წვლილი მიუძღვით მუსლიმებს საქართველოს ისტორიაში" (აჭარა).**

პანკისელმა მონაწილეებმა ყურადღება ტერმინოლოგიურ უზუსტობაზე გაამახვილეს და „რამაზანის" ნაცვლად „რამადანის" გამოყენება მიიჩნიეს მიზანშეწონილად. ამასთანავე პანკისში პრობლემურად მიიჩნიეს ის, რომ პრემიერ-მინისტრის მილოცვა მხოლოდ ქართველ მუსლიმებს ეხებოდა.

> **„საუბარი იყო მხოლოდ ქართველ მუსლიმებზე, მაგრამ საქართველოში არაქართველი მუსლიმებიც ხომ ცხოვრობენ?"**
>
> **„უბრალოდ რომ ეთქვა, რომ მუსლიმებს მიულოცაო, ეგ უფრო კარგი იქნებოდა" (პანკისი).**

## 2.2. სადავო საკულტო ნაგებობის საკითხების გაშუქება

ფოკუს ჯგუფების მონაწილეებს დაურიგდათ ციტატები გაზეთ „კვირის პალიტრის" საარქივო სტატიიდან "მინარეთის დემონტაჟი, ანუ ცეცხლთან თამაში ჭელაში"[3], რომელიც საქართველოში სოფელ ჭელაში მინარეთის მოჭრის საკითხს შეეხებოდა. მასალა ერთი კონკრეტული ინციდენტის საფუძველზე მუსლიმთა მიმართ დამოკიდებულებების და საკულტო ნაგებობების თემის განზოგადებას, ასევე ამ ინციდენტის საფრთხეების კონტექსტში განხილვას ახდენდა.

> ფაქტობრივი გარემოებები: 2013 წლის 26 აგვისტოს სამცხე-ჯავახეთში, ადიგენის სოფელ ჭელაში შემოსავლების სამსახურმა კერძო პირის ტერორიტორიაზე მინარეთის დემონტაჟი განახორციელა, რასაც ადგილობრივი მუსლიმების პროტესტი და 12 ადამიანის დაკავება მოჰყვა.

[3] ეკა ლომიძე, „მინარეთის დემონტაჟი, ანუ ცეცხლთან თამაში ჭელაში", 28 აგვისტო, 2013. https://goo.gl/6EJLGR

**დავალება:** მონაწილეები წითელი კალმით ხაზავენ იმ სიტყვებს, რომლებიც, მათი აზრით, ჟურნალისტს არ უნდა გამოეყენებინა.

რესპონდენტების უმრავლესობამ ამ შემთხვევაში ტერმინები კონტექსტში განიხილეს და წითელი კალმით არა მხოლოდ ცალკეულ სიტყვები, არამედ ზოგიერთ შემთხვევაში ფრაზები და მთლიანი წინადადებები გადახაზეს.

| გადახაზული ტერმინები |
|---|
| ქართველი, აჭარიდან ჩამოსახლებული მუსლიმანი |
| მეჩეთთსიმრავლე |
| ხელისუფლების მტრები |
| მინარეთის „მოდღლეზვა“ |
| კომპაქტურად ჩასახლებული მუსლიმანები |
| სხვაეროვანი |
| უბრალოდ მინარეთი |
| ჩვენი, ქართველებიც [მუსლიმები] |
| ამდენი მეჩეთი |

ტერმინების გარდა მონაწილეებმა გადახაზეს ის ფრაზები და წინადადებები, რომლებიც მედიაში გავრცელებულ 3 ნარატივს ასახავს:

1. მეჩეთების მშენებლობის მიზანშეწონილობის რაოდენობრივად ან ნაცვალგების პრინციპით განხილვა;
2. საქართველოს მოქალაქე მუსლიმების ეთნიკური ნიშნით დაყოფა (ქართველი მუსლიმი vs. არაქართველი მუსლიმი)/ეთნიკური ქართველი მუსლიმების თურქეთთან გაიგივება;
3. ეთნიკური/რელიგიური უმცირესობების საფრთხესთან გაიგივება.

## მეჩეთების მშენებლობის მიზანშეწონილობის რაოდენობრივად ან ნაცვალგების პრინციპით განხილვა

| გადახაზული წინადადებები |
|---|
| **„როდესაც ერთ ციდა ქვეყანაში ამდენი მეჩეთი არსებობს, თანაც მოსახლეობის უმრავლესობას მართლმადიდებელი ქრისტიანები შეადგენენ, შესაძლოა თამამად ითქვას, რომ ამ ქვეყანაში მეჩეთის მშენებლობას არავინ არ კრძალავს“.** |
| **„მტკიცედ მჯერა, რომ ის, რაც სოფელ ჭელაში მოხდა, არ არის დევნა და სამწუხაროდ, პროვოკაციის სუნი ასდის“.** |

„მიუხედავად მეჩეთთსიმრავლისა, ბოლო დროს იქმნება, ან სულაც ვიღაც მართლა ცდილობს შექმნას ისეთი შთაბეჭდილება, რომ საქართველოში მუსლიმანებს მტრობენ“.

„მოკლედ, ამ ქვეყანაში მეჩეთების აშენებას არავინ კრძალავს და თუ დაინტერესებული პირი აჭარის მთიანეთს, პანკისის ხეობას, ბოლნისს და ქვეყნის ყველა იმ რაიონს მოინახულებს, სადაც მუსლიმანები ცხოვრობენ, დარწმუნდება, რომ საქართველო კვლავაც რელიგიურად ტოლერანტული ქვეყანაა“.

„აზიზიეს მეჩეთი სხვა თემაა. მის აშენებას თურქეთის ხელისუფლება მოითხოვდა და როგორც ვიცი, კვლავაც მოითხოვს საქართველოს ისტორიულ მიწაზე, ტაო-კლარჯეთში მდებარე ჩვენი უძველესი კულტურული ძეგლების აღდგენა – რესტავრაციის სანაცვლოდ“.

ფოკუს ჯგუფების მონაწილეებისთვის კატეგორიულად მიუღებელი იყო სტატიიდან ის ნაწყვეტები, რომლებიც საქართველოში მეჩეთების რაოდენობას ეხებოდა. რესპონდენტების თქმით, ჟურნალისტის შეფასება, თითქოს საქართველოში მეჩეთების მშენებლობას მუსლიმებს არ უკრძალავენ, არასწორია.

„სამასზე მეტი მეჩეთი არის, მაგრამ აქედან უმრავლესობა მაღალმთიან აჭარაში და პატარ-პატარა სოფლებშია, რომლებიც ძალიან მცირე რაოდენობის ხალხს იტევს და იმ სოფლის მლოცველებისთვისაც არ არის საკმარისი. მით უმეტეს, ამ ბოლო დროს ხდება ურბანიზაცია, ანუ სოფლების დაცარიელება და ის მეჩეთიც რჩება ცარიელი და ქალაქში მხოლოდ ერთი მეჩეთია და ამდენ მლოცველს ვეღარ იტევს“.

„თუ ბევრი მუსლიმი ცხოვრობს, რატომ არ უნდა იყოს ბევრი მეჩეთი?“ (პანკისი).

„თვითონ [ჟურნალისტი] არ არის ტოლერანტული“ (ქვემო ქართლი).

რესპონდენტებისთვის აჭარიდან განსაკუთრებით მტკივნეული იყო ჟურნალისტის მხრიდან ბათუმში მეჩეთის მშენებლობის საკითხის ნაცვალგების პრინციპით[4] განხილვა. მათთვის ასევე მიუღებელი იყო საკულტო ნაგებობის თურქეთის სახელმწიფოსთან გაიგივება.

„მე თუნდაც სახელმწიფოს და თუნდაც მოსახლეობის შეცდომად მიმაჩნია ის, რომ რაიმე რელიგიურ ნაგებობას, თუნდაც იყოს მეჩეთი ან ეკლესია, რომელიმე ქვეყანას უკავშირებ. მეჩეთი არ ნიშნავს იმას, რომ არის თურქეთის საკუთრება, ეს არის რელიგიური ნაგებობა. ისლამი არ წამოსულა თურქეთიდან. არ არის ის თურქეთის საკუთრება. რელიგია არ წარმოადგენს არცერთი ქვეყნის საკუთრებას“.

[4] ხანგრძლივი მოლაპარაკებების შემდეგ, 2017 წლის 23 მაისს თურქეთსა და საქართველოს შორის 2017-2021 წლებისთვის კულტურის სფეროში თანამშრომლობის პროგრამას მოეწერა ხელი, რომელიც ძალაში 2017 წლის 8 სექტემბერს შევიდა. დოკუმენტის თანახმად, ორივე მხარე ითანამშრომლებს საქართველოში ოსმალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებისა და თურქეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე ქართული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რეაბილიტაციის საკითხში.

„აზიზიეს მეჩეთზე როცაა საუბარი, თურქეთი ითხოვდა, რომ მას აეშენებინა, თუმცა როდესაც საქმე მიდგა იმაზე, რომ ქართველ ხალხს აეშენებინა საკუთარი ჯიბიდან მეჩეთი და მიწაც შეისყიდეს, შემდეგ უკვე აღარ მისცეს აშენების უფლება“ (აჭარა).

რესპონდენტებმა აჭარიდან ასევე ყურადღება გაამახვილეს ჟურნალისტის მიერ მართლმადიდებლების რაოდენობრივი უპირატესობის ხაზგასმის პრობლემაზე, რაც მათი შეფასებით, უფლებრივი თანასწორობის საკითხს არ უკავშირდება.

„აქ წერია საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობას მართლმადიდებლები შეადგენენო და ჩემი აზრით, ჟურნალისტმა ამ თავისი სიტყვებით წაგვკბინასავით ჩვენ, აღნიშნა, რომ მართლმადიდებლები უფრო მეტი არიან, ვიდრე თქვენო და უფრო მეტი უფლება გააჩნიათო, შეიძლება ამის თქმა უნდოდა. ჩემი აზრით, ტოლერანტულ და განვითარებულ ქვეყანაში არ აქვს მნიშვნელობა, ვინ რამდენია. ყველა თანაბარი უნდა ვიყოთ“ (აჭარა).

## საქართველოს მოქალაქე მუსლიმების ეთნიკური ნიშნით დაყოფა/ეთნიკური ქართველი მუსლიმების თურქეთთან გაიგივება

### გადახაზული წინადადებები

„საქართველოში რამდენიმე ადგილია, სადაც კომპაქტურად სახლობენ მუსლიმანები. მათ შორის, არამხოლოდ სხვა ეროვანი, ჩვენი, ქართველებიც“.

„როდესაც მომხდართან დაკავშირებით ადიგენში დავრეკე, „ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბში დანანებით თქვეს, რაიონში და ჭელაშიც მოსახლეობის დიდი ნაწილი აჭარიდან ჩამოსახლებული მუსლიმანია, მათთან ყველაფერი გარკვეული გვქონდა (ანუ ჩვენს ელექტორატად მივიჩნევდითო), ახლა კი ხელისუფლების მტრებად იქცნენ, გაიძახიან, თქვენ ხმას არ მოგცემთ, ადიგენიდან უნდა წახვიდეთო?!“

„ერთი წამით წარმოიდგინეთ, სოფლის მოსახლეობა რომ არაქართველი, აზერბაიჯანელი ან თურქი ყოფილიყო, ორივე ქვეყნის ხელისუფლება გააპროტესტებდა მომხდარს და საქართველო წამში გაეხვეოდა საერთაშორისო სკანდალში“.

„ჭელაში საბედნიეროდ ქართველები ცხოვრობენ, ქრისტიანებიც და მუსლიმანებიც და იოლად ახერხებენ ერთმანეთის თანადგომას და დაშოშმინებას“.

რესპონდენტების შეფასებით, ჟურნალისტი საქართველოს მოქალაქე მუსლიმების ეთნიკური ნიშნით დაყოფას ახდენს, რაც მუსლიმების გარიყვას და მარგინალიზებას იწვევს. მედიის ეს დამოკიდებულება – ქართველი მუსლიმი vs არაქართველი მუსლიმი – კი მათ ყოველდღიურ ცხოვრებაზეც აისახება.

„ზოგადად, არის ხოლმე ზოგჯერ დამოკიდებულება ქისტების მიმართ, რომ ჩვენ ისაო, ესაო, შეგიფარეთო, არ დაგავიწყდეთო“.

„რო ჩამოხვედით და აქ რომ ცხოვრობთო, კეთილი ინებეთ და კარგად მოიქეცითო. ანუ საქართველოში რომ ცხოვრობ და მაგას გაყვედრიან, ეგ არის აქ პრობლემა“. (პანკისი).

ამასთანავე ეთნიკურად ქართველი მუსლიმების გაიგივება მეზობელ სახელმწიფო თურქეთთან ხდებოდა.

„ბევრს ეგეთი წარმოდგენა აქვს, რომ ეუბნები რომ მუსლიმი ხარ, აა, შენ თურქი ხარ?“ (აჭარა)

რესპონდენტებმა აჭარიდან მიუთითეს იმ შემთხვევებზე, როცა მედიაში მათ შესახებ გავრცელებული სტერეოტიპული მიდგომები საზოგადოებრივ განწყობებზე აისახება.

„მით უმეტეს, საზღვარზე რომ გადადიხარ, იქ თურქების და ქართველების საზღვარი [გამშვები პუნქტი] ერთმანეთისგან გაყოფილია და გეუბნებიან შენ თურქი ხარ და გადადი იქით. ქალს ვუმტკიცებ, რომ თურქი არ ვარ, ქართველი ვარ, ქართული პასპორტი მაქვს და აქ უდნა ვიდგე-მეთქი და მეჩხუბა, რომ თურქი ხარ და გადადი იქითო“ (აჭარა).

## ეთნიკური/რელიგიური უმცირესობების საფრთხესთან გაიგივება

### გადახაზული წინადადებები

„მინარეთს არ უნდა შეხებოდნენ. დავიჯერო ამის გამკეთებელი ვერ მიხვდა, ცეცხლთან რომ იწყებდა თამაშს?“

„არ მომწონს, როდესაც საინგილოში ქრისტიან ქართველებს დევნიან და ვაპროტესტებ რელიგიურ ნიადაგზე ნებისმიერი დევნის და შევიწროვების ფაქტს. თუმცა, მტკიცედ მჯერა, რომ ის, რაც სოფელ ჭელაში მოხდა, არ არის დევნა და სამწუხაროდ, პროვოკაციის სუნი ასდის“.

„ვის რაში სჭირდება ასეთი პროვოკაციები საქართველოში? ასეთებმა შესაძლოა ისიც თქვან, რომ რუსეთს არანაირი ინტერესი არ ჰქონია აფხაზეთში და სამაჩაბლოს რეგიონში, საომარი პროვოკაციებიც ჩვენ შევქმენით, მეტიც, ჯავახეთშიც ჩვენ გველანდება, რომ ყოველთვის შეიძლება აგვიფეთქონ „ბომბი“ ეთნიკურ-რელიგიური დაპირისპირების ნიადაგზე... თუ საშენი მასალები იყო განუბაჟებელი და მისმა შემომტანმა კანონი დაარღვია, პასუხი კანონდამრღვევისთვის უნდა მოეთხოვათ“.

რესპონდენტების შეფასებით, ჟურნალისტის მიერ  საქართველოში მცხოვრები მუსლიმების საფრთხეებთან გაიგივება თემის მიმართ შიშის დათესვას და ნეგატიური განწყობების გაღვივებას უწყობს ხელს.

„აქ არის ციტატაში მოხსენიებული, რომ როდესაც მინარეთის ჯვრიდან მოდღლეზვას აპირებდნენო, მაგ მომენტში არ იცოდნენო მუსლიმებისგან რა ელოდათო, რის წინააღმდეგ მიდიოდნენო. ეს იმას ნიშნავს, რომ როგორც ასეთი, ჩვენ ვყოფილვართ საოცრება. ხელში ლი-

მონკები გვიჭირავს და დავრბივართ საწინააღმდეგო მხარეს. ეს ზუსტად იმას ნიშნავს, რომ ტერორისტად წარმოგვადგინონ ჩვენ“ (აჭარა).

რესპონდენტების უმრავლესობამ პრობლემურად მიიჩნია მინარეთის მოჭრის ინციდენტის დაკავშირება ეთნიკური სომხებით კომპაქტურად დასახლებულ სამცხე-ჯავახეთში ჰიპოთეტურ ეთნიკურ-რელიგიურ დაპირისპირებასთან, ასევე რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერორიტორიებზე — აფხაზეთსა და სამაჩაბლოში – რუსეთის ფედერაციის ინტერესებთან, რაც მათ საფრთხეებთან გაიგივებას ახდენს.

„ამას ტელევიზიაში თუ აშუქებ, მაყურებელი როგორ მიიღებს, როცა ჟურნალისტი ამას ლაპარაკობს? რომ ჯავახეთში ყოველთვის შეიძლება აგვიფეთქონ ბომბიო? შიშის გრძნობა ექნება“.

„საინგილოს მაგალითი მოიყვანეს, იქაც მუსლიმები დევნიან ქრისტიანებსო და შემდეგ რუსეთ-აფხაზეთის ომი რომ მოიყვანეს, ამას საერთოდ ვერ ვხვდები, რატომ არის ეს აქ? რა კავშირი აქვს?“ (პანკისი)

რესპონდენტების შეფასებით, მოცემული სტატია მკითხველზე ნეგატიურ გავლენას მოახდენს. ასევე ფიქრობენ, რომ მათ მიერ გადახაზული ტერმინები და წინადადებები ჟურნალისტმა რეიტინგის გაზრდის მიზნით გამოიყენა.

„იმ ადამიანებმა რომ წაიკითხონ ვისაც არანაირი ინფორმაცია არა აქვთ, უკვე სხვანაირი შთაბეჭდილება დარჩებათ. ხდება შუღლი ერთმანეთში“ (აჭარა).

„ჩვენზე კი არა, უფრო სხვა რელიგიის მქონე პირებზე ახდენს გავლენას“ (ქვემო ქართლი).

## 2.3. ისტორიული ტრავმა

მედიის განვითარების ფონდის სიძულვილის ენის[5] შესახებ ანგარიშის შედეგად ჩანს, რომ გარკვეული პოლიტიკური პარტიები და მედია საშუალებები ისტორიული ტრავმების გაღვივებას, ერთი მხრივ, თანამედროვე თურქეთთან, ხოლო მეორე მხრივ, თანამედროვე ირანის მიმართ საქართველოში მცხოვრები მუსლიმი თემის უფლებრივი საკითხების განხილვისას ახდენენ.

ფოკუს ჯგუფებში ისტორიული ტრავმების გაღვივების საკითხი როგორც თურქოფობიას, ასევე ირანთან ისტორიული მტრობის თემატიკას შეეხო. ქვემო ქართლში, ეთნიკურად აზერბაიჯანელ მონაწილეებს ისტორიული ტრავმების გაღვივების კონკრეტული მაგალითები მიეწოდათ, ხოლო დანარჩენ რეგიონებში მოხდა დაკვირვება, თუ კონკრეტულად რომელი საკითხების მსჯელობისას წამოიწევდა თურქოფობიის საკითხი წინ.

**თურქოფობია.** თურქეთთან ისტორიული მტრობის თემის მედიაში „გაცოცხლება“ განსაკუთრებით მტკივნეული აჭარაში ჩატარებული ფოკუს ჯგუფების მონაწილეთათვის იყო. რესპონდენტთა გან-

[5] სიძულვილის ენა: 2016 წლის ანგარიში, მედიის განვითარების ფონდი, 2017
http://mdfgeorgia.ge/geo/view-library/55

მარტებით, მედიაში ისტორიული ტრავმის გაღვივება აჭარაში მეჩეთების მშენებლობის საკითხთან მიმართებაში ხდება და მკვიდრდება აზრი, თითქოს თურქეთი აჭარაში რელიგიურ ექსპანსიას ახორციელებს.

> „ინტერნეტში წერდნენ, რომ მუსლიმი ხოჯების ყროყინმა უკვე წაიღო ტვინიო და რა არის ეს საქართველოშიო, ჩვენ ქართველები ვართ და რა უნდათ თურქებსო?“ (აჭარა).

აჭარისგან განსხვავებით, თურქოფობიის თემა ნაკლებად აქტუალური პანკისში ჩატარებული ფოკუს ჯგუფების მონაწილეებისთვის იყო.

**სპარსეთთან ისტორიული მტრობის საკითხი.** ქვემო ქართლში ეთნიკურად აზერბაიჯანელმა მონაწილეებმა ტელეკომპანია „კავკასიის“ გადაცემა „სპექტრის“ წამყვანის კომენტარი განიხილეს:

**კავკასია, „სპექტრი“, 26 დეკემბერი, 2014**

დავით აქუბარდია: „შაჰ აბასი იყო პათოლოგი საქართველოსთვის. 6000 მღვდელმსახური ამოგვიწყვიტა დავითგარეჯში, თან როდის? აღდგომა ღამეს... ცნობილი ისტორიაა, 30 000 ლაშს თავები დაჭრეს... 50 ათასიანი არმია ხეობაში მიაყენეს, ვინც არ მიიღებთ ისლამს, თავებს დაგაყრევინებთო. და აყრევინეს. მაპატიე, რა ამდენ მეჩეთებს რომ ვარიგებთ, ჯერ სახელმწიფოს სახელით იმ 30 ათას ლაშზე ბოდიში მოიხადა თურქეთის რომელიმე ჩინოვნიკმა საქართველოს წინაშე?... ან ჩვენი ირანელი ძმებისგან და ისტორიული მეზობლებისგან ვინმემ მოიხადა 6000 მღვდელმსახურს რომ ყელი დააჭრეს?...რატომღაც ამ ბეჩავი ქრისტიანებისგან ითხოვენ ტოლერანტობას? იქედან მოდის ეს მესიჯი?“

აღსანიშნავია, რომ ქვემო ქართლის ფოკუს ჯგუფების მონაწილეებს არ ჰქონდათ ინფორმაცია გადაცემის წამყვანის, დავით აქუბარდიას შესახებ და გადაცემიდან შესაბამისი ფრაგმენტების ნახვის შემდეგ დააზუსტეს, ის გადაცემის წამყვანი იყო, თუ მოწვეული სტუმარი.

რესპონდენტებისთვის ისტორიული მოვლენებისა და წარსული მტრობის თანამედროვე კონტექსტში განხილვა კატეგორიულად მიუღებელი იყო. მათ ყურადღება როგორც საქართველო-აზერბაიჯანის, ასევე საქართველო-თურქეთის ისტორიულ ურთიერთობებზე გაამახვილეს.

> „აზერბაიჯანს და საქართველოს შორის სულ ომები იყო. ზაქათალაში არიან ქართველები. მე ბაქოში მაქვს დამთავრებული სკოლა და იქაც დავითზეც და თამარზეც ბევრ ცუდ რამეს ამბობენ, როგორც აქ ამბობენ შაჰ აბასზე. საქართველოში არ შეიძლება ეგეთი რამე, ეს უკვე პრობლემების დაწყება იქნება. თუ შაჰ აბასს ჰქონდა დანაშაული, დღეს არ უნდა ვიყოთ მაგის გამო მტრები“.
>
> „ბოლოს რო თქვა რო, აი, ამდენი ხალხისთვისო თურქებმა ბოდიში მოიხადესო და ისტორიულად კი შეიძლება ბევრი ქართველი მოკლა თურქმა, მაგრამ ქართველებმა არ მოკლეს

თურქები ან სხვა ხალხი? ამისთვის ბოდიში მოიხადეს? ეს ისტორიულად მოხდა რაღაცა და ეხლა თურქებმა რატომ უნდა მოიხადონ ბოდიში, მე ეს ვერ გავიგე“ (ქვემო ქართლი).

კითხვაზე, თუ როგორ უნდა გააშუქოს მედიამ ისტორიული მოვლენები, რესპონდენტებმა უპასუხეს, რომ ჟურნალისტი ობიექტური უნდა იყოს და ისტორიული მტრობის საკითხი დეტალურად არ უნდა გაიხსენოს.

„თავის გრძნობებს ამბობს. სუბიექტურია“.
„ასე დეტალურად არ უნდა გაიხსენოს“ (ქვემო ქართლი).

ფოკუს ჯგუფის მონაწილეებისთვის მიუღებელი იყო ისტორიული ფაქტების მათ რელიგიურ უფლებებთან და გრძნობებთან დაკავშირება.

„ამას [ჟურნალისტს] უნდა, რომ ჩვენი უფლება, ლოცვის და მეჩეთის ქონის, ჩამოგვართვან ჩვენ“.
„ჩვენი გრძნობები თურმე არ უნდა იყოს გათვალისწინებული“ (ქვემო ქართლი).

## 2.4. საჯარო პირის ქსენოფობიური განცხადებების გაშუქება – უცხოელების საფრთხესთან გაიგივება

იმის გასარკვევად, უნდა გააშუქოს თუ არა მედიამ საჯარო პირის ქსენოფობიური განცხადებები, ულტრა-მემარჯვენე პოლიტიკური პარტიის „პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერის, პარლამენტის ვიცე-სპიკერის ირმა ინაშვილის პარლამენტში საკომიტეტო განხილვაზე გაკეთებული განცხადება შეირჩა, რომელშიც აზიური ქვეყნების უცხოელების საფრთხეებთან და ტერორიზმთან გაიგივება ხდება:

**ირმა ინაშვილი, პატრიოტთა ალიანსი:**

„პირდაპირ ვთქვათ, რა ხდება იმ მიწებზე, რომელიც უცხოელებს აქვთ შეძენილი – საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში ხედავთ აზიური, არაბული ქვეყნებიდან შემოსულ მოქალაქეებს და საქართველოში დამკვიდრებულ ოჯახებს. ისინი ყიდულობენ მიწებს და იქ აშენებენ სოფლებს. ეს არის არაბული, ინდური, ირანული სოფლები.

ჩვენ პატივს ვცემთ ყველა ქვეყნის მოქალაქეს და არავითარ ფობიაში არ მინდა მე დამადანაშაულონ, მაგრამ მე მინდა კარგად გავაცნობიეროთ საფრთხე, რომლის წინაშეც ჩვენი სახელმწიფო შესაძლოა უახლოეს მომავალში დადგეს. ეს გარკვეულწილად უსაფრთხოებასაც უკავშირდება. აზიურ სოფლებში მაღალია ტერორიზმის საფრთხე[6]“.

მონაწილეებს წინასწარ არ ჰქონდათ ინფორმაცია ციტატის ავტორის შესახებ. დისკუსია ორი საკითხის გარშემო წარიმართა:

6 IPN, „ირმა ინაშვილი – პატივს ვცემთ ყველა ქვეყნის მოქალაქეს, თუმცა ქართული მიწა უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე არ უნდა გასხვისდეს“, 15 ივნისი, 2017. https://goo.gl/jq3cZV

- რომელი სიტყვები უწყობს ხელს სტერეოტიპიზაციას?
- უნდა გააშუქოს თუ არა მედიამ საჯარო პირების ქსენოფობიური განცხადებები და თუ კი, როგორ?

**პოლიტიკოსის ქსენოფობიური განცხადების გაშუქება.** შეკითხვაზე, უნდა გაეშუქებინა თუ არა მედიას პოლიტიკოსის ეს ქსენოფობიური განცხადება, ფოკუს ჯგუფების მონაწილეთა დამოკიდებულებები არაერთგვაროვანი იყო. რესპონდენტთა ნაწილის აზრით, მედია საშუალებებმა პოლიტიკოსის ქსენოფობიური განცხადებები არ უნდა გააშუქონ, რადგან გაშუქება კიდევ უფრო მეტად იწვევს მუსლიმი თემის მიმართ სტერეოტიპების გაღრმავებას.

> **„პოლიტიკოსის ნათქვამმა შეიძლება უფრო დიდი გავლენა მოახდინოს მაყურებელზე. ისევ მუსლიმების მიმართ დამოკიდებულება ფუჭდება".**
>
> **„გარკვეულ წარმოდგენას გიქმნის, როცა კანონმდებელია და ხალხმა აირჩია და მის აზრს უსმენ. როცა გამოდის და ამბობს, რომ ეს არის პოტენციური ტერორისტი, ეს საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს" (პანკისი).**

რესპონდენტების ნაწილი კი ფიქრობდა, რომ პოლიტიკოსების განცხადებების გაშუქება აუცილებელია, რათა საზოგადოებამ ინფორმირებული არჩევანი გააკეთოს.

> **„თუ არ გააშეუქეს, მასე ხო შეიძლება შეცდომა მოგივიდეს და შემდეგ არჩევნებზეც იგივე აირჩიო" (პანკისი).**

ერთ-ერთმა მონაწილემ აჭარიდან ერთმანეთისგან გამიჯნა საჯარო პირების მიერ გაკეთებული ქსენოფობიური განცხადებები და იმ პირების, ვისაც ელექტორალური ლეგიტიმაცია არ აქვთ. მან გაშუქება მხოლოდ საჯარო პირების შემთხვევაში მიიჩნია მიზანშეწონილად.

> **„თუ ვინმე ისეთია, ვინც არაფერს წარმოადგენს, არ უნდა გააშუქოს და როცა პოლიტიკოსია და ხალხი უსმენს, უნდა გააშუქოს" (აჭარა).**

მონაწილეები, რომლებიც ფიქრობდნენ, რომ პოლიტიკოსის განცხადებები, თუნდაც ქსენოფობიური, მედიით აუცილებლად უნდა გაშუქდეს, ორ პირობაზე აკეთებდნენ აქცენტს: 1. მედიამ არ უნდა გამოხატოს საკუთარი პოზიცია პოლიტიკოსის ქსენოფობიური განცხადების მიმართ; 2. მედიამ უნდა დააბალანსოს პოლიტიკოსის ქსენოფობიური განცხადებები სხვა მოსაზრებებითა და არგუმენტებით.

> **„შეიძლება გაშუქდეს, მაგრამ იმ პირობით, თუ ამას სხვა აზრებიც დაემატება. ანუ მარტო ამ პოლიტიკოსს კი არ მოვუსმენ, სხვასაც უნდა მოვუსმინო, რომელიც სხვანაირად ფიქრობს" (ქვემო ქართლი).**
>
> **„მედიამ უნდა გააშუქოს, ციტირება უნდა გააკეთოს, ანუ რაც თქვა პოლიტიკოსმა, ზუსტად ის უნდა დაწეროს, მაგრამ თავისი სიტყვებით არ უდნა გადმოსცეს" (აჭარა).**

რესპონდენტმა აჭარიდან ასევე აღნიშნა, რომ ხშირად მედია არა მხოლოდ ასეთი განცხადებების გამტარია, არამედ ჟურნალისტები პოლიტიკოსის განწყობებს იზიარებენ:

„ჟურნალისტის მხარდაჭერას არ უნდა ვგრძნობდეთ იმ პოლიტიკოსისადმი... ჩვენ ხშირად ვხვდებით, რომ ემხრობა ჟურნალისტი პოლიტიკოსს“ (აჭარა).

უცხო ქვეყნის მოქალაქეების საფრთხეებთან გაიგივება/სტერეოტიპიზაცია. რესპონდენტებმა სტერეოტიპიზაციის მაგალითებად მიიჩნიეს პოლიტიკოსის კომენტარის ის ნაწილი, სადაც აზიის ქვეყნებიდან უცხოელების საქართველოში შემოსვლა ტერორიზმის საფრთხესთან იყო გაიგივებული. რესპონდენტებმა აჭარიდან ასევე დამატებით გაამახვილეს ყურადღება ეთნიკური იდენტობის დაკარგვის საფრთხეზე.

„ძალიან ბევრი ისე ფიქრობს, რომ ჩამოდიან ეს ჩადრიანები, მე მეშინია მათი. რატომ გეშინია, რომელმა მიგაგდო ბომბი? ეს თვითონ პოლიტიკოსებისგან და მედიისგანაა გამოწვეული“ (აჭარა).

„ჩემთვის მიუღებელია, ანუ სხვა რამეზე კი არ ამახვილებს ყურადღებას, არამედ პოტენციურ ტერორისტებად იხსენიებს, რადგან მუსლიმები არიან“ (პანკისი).

„აქ ტერორიზმის მხრივ არ უდნა იყოს საფრთხე განხილული და უფრო იმ მხრივ უნდა იყოს, რომ საქართველოში სხვა ეროვნების ხალხი რომ ჩამოსახლდა და ცხოვრობს, მათი გამრავლების შემდეგ ხომ შეიძლება მათი წილი გაიზარდოს და შემცირდება ქართველი ეროვნება. ანუ შეიძლება ეს საფრთხე დავინახოთ ეროვნული და არა ტერორისტული“.

„თავიანთი საქციელის გამო ჩამოდის ამდენი უცხოელი. თუ არ გინდა რომ სხვა ქვეყნის წარმომადგენელმა აქ რაღაცა ააშენოს, მაშინ არ უნდა იყიდებოდეს ამდენი მიწა უცხოელებზე“ (აჭარა).

## 2.5. რელიგიური/ეთნიკური/ეროვნული კუთვნილების დაკავშირება კრიმინალთან

მედია საშუალებების მიერ რელიგიური/ეთნიკური/ეროვნული კუთვნილების კრიმინალთან დაკავშირების შესახებ ფოკუს ჯგუფების მონაწილეთა დამოკიდებულებების გარკვევა სათაურების ტესტირების მეთოდით მოხდა. მათ ქართული და რუსული ონლაინ გამოცემების, ასევე რუსული ტელევიზიის 7 სათაური მიეწოდათ.

IPN: საქართველომ მოზარდებთან გარყვნილი ქმედების მომზადებისთვის ირანის ისლამური რესპუბლიკის მოქალაქეს 6 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა

სპუტნიკ-საქართველო: ირანის მოქალაქე საქართველოში გარყვნილი ქმედებისთვის დააპატიმრეს

სპუტნიკ-საქართველო: პოლიციამ განმუხურში ირანელი ნარკოდამნაშავე დააკავა

IPN: შსს-მ „ჯემ ფესტის“ ტერიტორიაზე, ნარკოდანაშაულისთვის ირანის მოქალაქე დააკავა

PIA: საქართველოს ირანიზაცია ემუქრება? საგანგაშო სტატისტიკა

სპუტნიკ-საქართველო: საქართველოს საპატიმროებში უცხოელთა შორის რაოდენობით თურქეთის მოქალაქეები ჭარბობენ

HTB: Противник мусульман устроил теракт (მუსლიმების მოწინააღმდეგემ ტერაქტი მოაწყო)

სათაურების გაცნობის შემდეგ დისკუსია შემდეგ საკითხებზე წარიმართა:

- საჭიროა თუ არა კრიმინალის დროს ეთნიკური/რელიგიური/ეროვნული კუთვნილების მითითება?
- რა სტერეოტიპს აყალიბებენ ეს სათაურები?
- არის თუ არა გამონაკლისი შემთხვევა, როცა დანაშაული კონკრეტული იდენტობის ჯგუფის სახელით ხდება?

აღსანიშნავია, რომ თითოეული ამ საკითხის მიმართ ყველა ჯგუფში არაერთგვაროვანი დამოკიდებულებები იყო, რასაც მონაწილეებს შორის ცხარე დისკუსია მოჰყვა.

**კრიმინალთან ეთნიკური/რელიგიური/ეროვნული კუთვნილების მითითების მიზანშეწონილობა.** რესპონდენტების ნაწილის აზრით, კრიმინალთან დამნაშავის ეთნიკური/რელიგიური/ეროვნული იდენტობის მითითება კატეგორიულად მიუღებელი იყო. მათი შეფასებით, ასეთ შემთხვევაში მედია კონკრეტული ეთნიკური, რელიგიური თუ ეროვნული ჯგუფის სტერეოტიპიზაციას ახდენს და ერთი პირის მიერ ჩადენილი დანაშაულის მთელ ჯგუფზე განზოგადება ხდება.

> **„ნაციონალურ სტერეოტიპებს აღვივებს. მაგალითად აზერბაიჯანელმა ასე გააკეთა. ანუ დანაშაულს უკავშირებს წარმომავლობას“ (ქვემო ქართლი).**
>
> **„რომ წერ ირანელს, ყველა ირანელის მიმართ ყალიბდება ნეგატიური განწყობა და ჯობია უბრალოდ მიუთითო უცხო ქვეყნის მოქალაქე. ვისაც აინტერესებს, ჩაეძიოს“ (პანკისი).**
>
> **„საქართველოში არის ასეთი სტერეოტიპი, რომ სძულთ თურქები, სძულთ რუსები და თუ ამ ეროვნების კაცმა რაღაც სიკეთე ჩაიდინა, ის სიკეთე გამონაკლისია და თუ რაღაც ბოროტება ჩაიდინა, მაშინ ყველას ლანძღავენ. ჩემი აზრით, ხალხში უნდა იყოს ის გაგება, რომ ყველა ერთ ქვაბში არ უნდა მოვხარშოთ“ (აჭარა).**

რესპონდენტების მეორე ნაწილი ამ მოსაზრებას არ დაეთანხმა, რადგან იდენტობის მითითებაში პრობლემას ვერ ხედავდა. მათი შეფასებით, მედიამ კრიმინალთან დაკავშირებული საკითხები ამომწურავად უნდა გააშუქოს და მაყურებელს/მკითხველს სრულყოფილი ინფორმაცია მიაწოდოს. ამ კონტექსტში ნაწილმა ასევე საქართველოს მოქალაქეების მიერ ევროპის ქვეყნებში ჩადენილი დანაშაულების გაშუქების მაგალითებიც გაიხსენა.

> **„თუ დამნაშავეა, უნდა იყოს მითითებული, ინფორმირებული რომ იყო, სად როგორი დანაშაული ხდება“ (პანკისი).**
>
> **„ყველა ეროვნებაზე უნდა მიეთითოს, მარტო აზერბაიჯანზე არა“ (ქვემო ქართლი).**
>
> **„აი, მაგალითად ხშირად ხდება რომ უცხოეთში ქართველები ქურდობენ და მერე წერენ, რომ ქართველმა ესა და ეს ჩაიდინა, მე მაგალითად ქართველის მიმართ ზიზღი არ გამიჩნდება, რომ ცუდი და კარგი ყველგან არსებობს“ (აჭარა).**

**რელიგიურ იდენტობასთან ასოცირება.** აჭარის ფოკუს ჯგუფების რესპონდენტთა ნაწილისთვის სათაურებში ეთნიკური/ეროვნული იდენტობის მითითება რელიგიური იდენტობის ხაზგასმასთან ასოცირდებო-

და. მათი მოსაზრებით, დამნაშავეთა ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების მოქალაქეობა იმიტომ იყო მითითებული, რომ მოსახლეობის უმრავლესობა იქ მუსლიმია. მათთვის ასევე მიუღებელი იყო სათაურში ტერმინის „ისლამური“ [„ირანის ისლამური რესპუბლიკა“] გამოყენება.

> **„საქართველოში მოზარდებთან გარყვნილი ქმედების მომზადებისთვის ირანის ისლამური რესპუბლიკის მოქალაქე დააკავეს. ანუ ისე გამოდის, რომ ისლამთან არის კავშირი“. (აჭარა)**
>
> **„დანაშაული იმაშია, რომ თურქს აიგივებენ მუსლიმთან და მერე მუსლიმზე წარმოიქმნება სხვანაირი წარმოდგენა. ხალხში უნდა იყოს ისეთი გაგება, რომ ეს თურქი და ირანელი არ უნდა გავაიგივოთ მუსლიმთან მიუხედავად იმისა, რომ იქ მცხოვრებთა უმრავლესობა მუსლიმია. როდესაც ქართველი ჩადის დანაშაულს უცხოეთში, არ მგონია იქ დიდად გაერკვიათ, ის მუსლიმი იყო თუ ქრისტიანი“ (აჭარა).**

რესპონდენტთა ნაწილის შეფასებით, ტერმინის „ირანის ისლამური რესპუბლიკა“ მედიაში გამოყენება პრობლემატური არ არის, რადგანაც ტერმინი ირანის ოფიციალური სახელია.

**რელიგიური VS. ეროვნული იდენტობის მითითება.** დამნაშავის რელიგიური კუთვნილების მითითება ფოკუს ჯგუფების იმ მონაწილეთათვისაც მიუღებელი იყო, რომლებიც თვლიდნენ, რომ ეთნიკური/ეროვნული წარმომავლობის იდენტიფიცირება პრობლემატური არ იყო.

რესპონდენტთა ნაწილის განმარტებით, რელიგიური იდენტობის მითითებით, დანაშაულის მთლიანად რელიგიურ ჯგუფზე განზოგადება ხდება. ნაწილი კი ფიქრობდა, რომ დამნაშავის რელიგიური კუთვნილების მიმართ ყველაზე ნაკლები ინტერესი უნდა არსებობდეს, რადგანაც დანაშაულის ჩადენას არცერთი რელიგია ქადაგებს.

> **„რელიგიას რომ მიუთითებენ, მთლიან მუსლიმ საზოგადოებას ეხებიან“ (პანკისი).**
>
> **„მე, მაგალითად, დანაშაული თუ ჩაიდინა ვინმემ, ყველანაირი ინფორმაცია დამაინტერესებს, რომ ვინ არის, რას წარმოადგენს და ყველაზე ნაკლებ ინტერესს გამოიწვევს ის, თუ რომელი რელიგიის წარმომადგენელი იყო. იმიტომ, რომ მე ვიცი რელიგიის შესახებ ბევრი რამე და ვიცი, რომ ამ რელიგიის წარმომადგენელი ამას არ გააკეთებს“ (აჭარა).**
>
> **„ჩვენს პასპორტში წერია ჩვენი მოქალაქეობა. რომელი სარწმუნოების წარმომადგენლები ვართ, წერია ესეთი რაღაცა?“ (აჭარა).**

**ვინაობის იდენტიფიცირება.** რესპონდენტთა ნაწილი, ვინც თვლიდა, რომ დანაშაულთან რელიგიური/ეთნიკური/ეროვნული კუთვნილების მითითება პრობლემატურია, ფიქრობდა, რომ კუთვნილების მითითების ნაცვლად, დამნაშავის ვინაობა უნდა იყოს იდენტიფიცირებული, რაც დამნაშავის უფლებების შელახვად არ მიაჩნდათ.

> **„სახელი და გვარი ხო შეიძლება თქვას, რატომ აკონკრეტებენ მუსლიმმა გაძარცვა თუ ქრისტიანმა?“ (პანკისი).**

თუმცა, მონაწილეთა ნაწილი ამ მოსაზრებას არ ეთანხმებოდა და აღნიშნავდა, რომ მედია საშუალებების მიერ დამნაშავის პირადი ინფორმაციის გავრცელება მისი უფლებების დარღვევაა, ხოლო სახელი და გვარი ინიციალებით უნდა იყოს მოხსენიებული.

> „შენს სახელს და გვარს რომ ავრცელებენ, შენი უფლებების დარღვევაც ხდება. საჯაროდ რომ აცხადებენ თქვენს შესახებ“ (პანკისი).

## 2.6. ტერორიზმის გაშუქება ქართულ მედიაში

ქართულ მედიაში ტერორიზმის გაშუქების საკითხი ისლამის ტერორიზმთან დაკავშირებისა და საქართველოს იმ მოქალაქეების თემას შეეხებოდა, ვინც სირიაში ISIS-ის შეუერთდა.

1. **საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც ISIS-ში გაწევრიანდნენ**

**ვიდეო ჩვენება:** მონაწილეებმა ნახეს ტელეკომპანია „თანამგზავრის“ სიუჟეტი „ISIS-ის მუქარა და გამოხმაურებები საქართველოში“[7], რომელიც ISIS-ში გაწევრიანებულ საქართველოს მოქალაქეების ვიდეო მუქარას შეეხება. სიუჟეტში ვიდეო მუქარასთან დაკავშირებით ქუჩის გამოკითხვაა ჩატარებული. რესპონდენტებს უნდა შეეფასებინათ, თუ რამდენად მიზანშეწონილია ტერორისტული ორგანიზაციების მიერ გავრცელებული პროპაგანდისტული ვიდეოების გაშუქება.

**დისკუსია.** აღნიშნული სიუჟეტის გაშუქების მიმართ რესპონდენტების დამოკიდებულება არაერთგვაროვანი იყო. უმრავლესობა გაშუქებას პრობლემატურად აღიქვამდა და ფიქრობდა, რომ დაინტერესებული ჯგუფი მედიის ინსტრუმენტალიზაციას და მოსახლეობაში შიშის დათესვას ახდენდა. მცირე ნაწილი კი ამტკიცებდა, რომ მაყურებელს უნდა ჰქონდეს სრულფასოვანი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ ვინ ემუქრება მას.

> „დღეს მედია არის ერთ-ერთი მძლავრი იარაღი, მათ შორის ტერორისტების ხელში და ამ ინტერნეტს ისინი იყენებენ საკუთარი იდეოლოგიის და აზრების ხალხში გავრცელებისთვის და ხალხის დაშინებისთვის. როდესაც მედია საშუალება გამოდის და ამ პროპაგანდას უწყობს ხელს, ამით მათ წისქვილზე ასხამს წყალს და შესაბამისად, თავისდა უნებურად გამოდიან ხელშემწყობები“ (პანკისი).
>
> „ტელევიზიაში კი არა, საერთოდ სოციალურ ქსელშიც კი არ უნდა იყოს ეს ვიდეოები. ვიღაცისთვის შეიძლება აბსურდული და სასაცილო იყოს, მაგრამ ვიღაცისთვის ძალიან შიშის მომგვრელი“ (აჭარა).
>
> „კომუნისტების დროს იყო, რაც რომ კარგი იყო, მარტო იმას აჩვენებდნენ და ხალხი იყო ბედნიერი, მე მაგას არ ვეთანხმები. რაც ხდება, უნდა ვაჩვენოთ. კარგიც უნდა ვაჩვენოთ და ცუდიც... შეიძლება ჩემს გვერდზე იყოს ადამიანი და მე ხო უნდა მოვერიდო“ (აჭარა).

[7] თანამგზავრი, „ISIS-ის მუქარა და გამოხმაურებები საქართველოში“, 24 ნოემბერი, 2015 https://goo.gl/FeLjba

**„ჩემი აზრით, უნდა გააშუქო, იმიტომ რომ, მზადყოფნაში რომ იყოს მოსახლეობა, რომ იცოდნენ, მტერი ვინ არის რომ გაიგონ“ (პანკისი).**

რესპონდენტები, რომლებიც ტერორისტული ორგანიზაციების მიერ მომზადებული პროპაგანდისტული ვიდეოების მედიით გაშუქებას ეწინააღმდეგებოდნენ, დამატებით ორ ფაქტორზე ამახვილებდნენ ყურადღებას:

- ოჯახის წევრებს შესაძლოა, ინფორმაცია არ ჰქონდეთ;
- მუქარის შემცველ ვიდეოებს შესაძლოა, ბავშვებიც უყურებდნენ.

დისკუსიის მეორე ნაწილი მუქარის შემცველი ვიდეოს შესახებ ჟურნალისტის მიერ ქუჩის გამოკითხვის ჩატარების მიზანშეწონილობას შეეხებოდა. რესპონდენტთა ნაწილის აზრით, მსგავს თემებზე ქუჩის გამოკითხვის ჩატარება მიუღებელია, ნაწილმა კი მოსახლეობის აზრის გაგება საინტერესოდ და აუცილებლად მიიჩნია.

**„მე არ მომწონს, რომ მოხდა ქუჩაში გამოკითხვა. შიშს თესავს და პროპაგანდაცაა“ (პანკისი).**

**„თუ გაშუქდება, ამ შემთხვევაში ქუჩის გამოკითხვები, კარგი იქნება, ვინაიდან დავინახავთ ხალხის აზრს, თუ რას ფიქრობს ამ ინფორმაციის გაშუქების შემდეგ, თუ ხალხში შიში ჩამოვარდა და შიში წარმოიქმნა, მაშინ ამის შემდეგ აღარ უნდა გაშუქდეს მსგავსი ფაქტები“ (აჭარა).**

რესპონდენტთა ნაწილის აზრით, მუქარის შემცველი ვიდეოების გავრცელების დროს მედია მაყურებელზე არ ფიქრობს და პროპაგანდისტულ ვიდეოებს მხოლოდ რეიტინგის გაზრდის მიზნით აშუქებს.

### 2. ტერორიზმთან დაკავშირებული მიუღებელი ტერმინები

მონაწილეებს დაურიგდათ ფრაგმენტი ქართულ ონლაინ გამოცემა ambebi.ge-ს სტატიიდან[8], რომელიც 2017 წლის 22 მარტს ლონდონში მომხდარ ტერაქტს ეხება. სტატიის ავტორი თავდამსხმელის ვინაობის იდენტიფიცირებას ახდენს და მკითხველს მის ბიოგრაფიას სთავაზობს. სტატიაში თავდამსხმელის აღმსარებლობა (ისლამი) პირდაპირ დაკავშირებულია ტერორიზმთან. მონაწილეებს წითელი კალმით უნდა გადაეხაზათ ის სიტყვები, რომლებიც მათი შეფასებით, ჟურნალისტს არ უნდა გამოეყენებინა.

რესპონდენტების უმრავლესობამ ambebi.ge-ს სტატიიდან ის წინადადებები გადახაზა, რომლებიც თავდამსხმელის რელიგიურ იდენტობას მის მიერ ჩადენილ დანაშაულს უკავშირებდა.

**გადახაზული წინადადებები**

„მან ისლამი 1993 წელს მიიღო“.

„[ის] საიტის მომხმარებელს მუსლიმური რელიგიის მიღებისა და ტერაქტების ჩადენისკენ მოუწოდებდა“.

[8] ლალი პაპასკირი, „ლონდონში მომხდარი ტერაქტის დეტალები“, 23 მარტი, 2017, https://goo.gl/QqVrrR

მონაწილეებმა ყურადღება გაამახვილეს დანაშაულთან რელიგიის დაკავშირებაზე, რასაც ჟურნალისტები სხვა აღმსარებლობის ტერორისტთა მიმართ არ მიმართავენ.

„როცა ანდრეს ბრეივიკმა 70-ზე მეტი ახალგაზრდა მოკლა, იქ არ უხსენებიათ, რომ ქრისტიანი იყო, ცეცხლთაყვანისმცემელი იყო, ბუდისტი იყო, თუ ვინ. როცა მუსლიმი აკეთებს, იქ ყოველთვის წინა პლანზეა, თუ რა რელიგიის მიმდევარია... რამე თუ ცუდი მოხდა, უხეშად რომ ვთქვათ, ყველაფერი ჩვენს თავზე გადადის“ (აჭარა).

„მხოლოდ რომ ეთქვა, მაყურებელს ტერაქტის ჩადენისკენ მოუწოდებდაო, ამაში პრობლემას ვერ ვხედავ, გაშუქების მხრივ, მაგრამ ის, რომ ისლამი მიიღო და შემდეგ ასეთი რაღაცები გააკეთაო, ეს ჩემთვის მიუღებელია“ (პანკისი).

რესპონდენტების შეფასებით, მედია საშუალებების მიერ მათი რელიგიის ტერორიზმთან დაკავშირება მათ ყოველდღიურ ცხოვრებაზეც აისახება.

„ხშირად მიწევს მტკიცება, რომ ისლამი და ტერორიზმი სულ სხვა რაღაცაა, ნუ აიგივებთ“.

„ირანიდან ჩამოსული ტურისტები წელს ძალიან ბევრნი იყვნენ აჭარაში და ამ შავებში შემოსილ ხალხზე ბავშვების რეაქცია დამინახავს და ბავშვების რეაქციაზე უფრო მეტად მშობლების რეაქცია, რომ გამოქაჩავენ ამ ბავშვებს. შეიძლება მე რომ გავიარო, იგივე რეაქცია არ ჰქონდეთ, მაგრამ აი, ეს შავში შემოსილი იმ იდეას იწვევს, რომ ამას ბომბი აქვს შემოკრული შიგნით და უნდა აფეთქდეს წუთი წუთზე“.

„რადგან ირანელია, აღიქვამენ ტერორისტად და შეიძლება არც იყოს ტერორისტი, მაგრამ რადგან ირანელია, უკვე მიუღებელია“ (აჭარა).

## 2.7. ტერორიზმის გაშუქება რუსულ მედიაში

**საკანონმდებლო რეგულაციები.** რუსეთის ფედერაციაში ტერორიზმისა და ექსტრემიზმის საკითხების მედია გაშუქებას რამდენიმე კანონი არეგულირებს[9]. „მასობრივი ინფორმაციის საშუალებების შესახებ რუსეთის ფედერაციის კანონის“ მე-4 მუხლი მედიას შინაარსობრივ ვალდებულებას უწესებს, რომლის თანახმადაც:

„ექსტრემისტული საქმიანობის წინააღმდეგ ფედერაციული კანონის“ ფარგლებში ლიკვიდირებული ან აკრძალული საზოგადოებრივი გაერთიანებების ან სხვა ორგანიზაციების გაშუქებისას, მედიამ უნდა მიუთითოს, რომ ისინი რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე ლიკვიდი-

[9] Закон Российской Федерации о средствах массовой информации, 27 დეკემბერი, 1991
http://docs.cntd.ru/document/9003299
Федеральный закон о противодействии экстремистской деятельности, 25 ივლისი, 2002
http://docs.cntd.ru/document/901823502
Федеральный закон об информации, информационных технологиях и о защите информации, 27 ივლისი, 2006
http://pravo.gov.ru/proxy/ips/?docbody&nd=102108264
Кодекс об административных правонарушениях (КоАП РФ), 30 დეკემბერი, 2001
http://ivo.garant.ru/#/document/12125267:0

**რებულ/აკრძალულ სუბიექტებს წარმოადგენენ. აღნიშნული ნორმის დარღვევის შემთხვევაში, მედია საშუალება ექსტრემისტული მასალის გამავრცელებლად ჩაითვლება და ფინანსურ ჯარიმასთან ერთად მასალის გავრცელება შეეზღუდება. კანონი, პასუხისმგებლობის სახით, მედია საშუალების საქმიანობის შეჩერებასაც ითვალისწინებს.**

ფოკუს ჯგუფის მეთოდი. რუსულ მედიაში ტერორიზმის გაშუქების მიმართ დამოკიდებულებებისა და აღქმების შეფასება შემდეგი მეთოდით მოხდა:

- ტერორისტის მიმართ სიძულვილის ენის გამოყენებისადმი დამოკიდებულებების ტესტირება ექსპერიმენტული ვიდეო ჩვენების გზით;
- ტერორისტულ წვრთენბში ბავშვთა ჩართულობის საკითხების გაშუქების შეფასება ვიდეო სიუჟეტის ჩვენებისა და ნახევრად სტრუქტურირებული კითხვარის მეშვეობით;
- სირიის კონფლიქტში რუსეთის ჩართულობის შესახებ მომზადებულ სიუჟეტში ანტიდასავლური განწყობების ტესტირება ვიდეო სიუჟეტის ჩვენების და ნახევრად სტრუქტურირებული კითხვარის მეშვეობით;
- ტერორიზმის ისლამთან დაკავშირების შესახებ მომზადებული სტატიისადმი დამოკიდებულების შესწავლა დისკუსიის გზით.

### 1. სიძულვილის ენა ტერორისტის მიმართ

ექსპერიმენტული ვიდეო-ჩვენება: მონაწილეებს დაურიგდათ სატელევიზიო სიუჟეტის ფრაგმენტის ტრანსკრიპტი, რომელშიც ევროპული იდენტობის ტერორისტის სახელი არაბულით ჩანაცვლდა. სიუჟეტი[10] ეხება ბრიტანეთის მოქალაქე ქალს, რომელიც ტერორისტულ დაჯგუფება „ისლამურ სახელმწიფოს" შეუერთდა, მოგვიანებით კი შეწყალებას და სამშობლოში დაბრუნებას ითხოვდა. NTV-ს რეპორტიორი სიუჟეტში ქალის მიმართ სიძულვილის ენას იყენებს.

**სიუჟეტის ტრანსკრიპტი, რომელშიც ევროპელი ქალის (სალი ჯონსის) სახელი არაბულით არის ჩანაცვლებული:**

**„მას შემდეგ, რაც მან მუსლიმმა ტერორისტმა [აბუდდინ ასვანმა] გააკეთა [ISIS-ის ტერორისტებს შეუერთდა], მასზე მშობელი დედაც კი უარს იტყვის. სხვათა შორის, ნათესავები [იორდანიაში] არ იმედოვნებენ, რომ მას ცოცხალს იხილავენ... რა თქმა უნდა, რაკის აღება ვერ შეაჩერებს საერთაშორისო ტერორიზმს, ისეთი ექსტრემისტები, როგორიც ასვანია, ედებიან მთელ მსოფლიოს და აგრძელებენ ომს სხვა წერტილიდან. ეს იმის მსგავსია, გველების ბუდე გაანადგურო, გველი კი ცოცხალი დატოვო, ისინი გავრცელდებიან. ცალსახაა, ბუდის განადგურება საჭიროა, რაკის განადგურება და ტერორისტების და მათი დამფინანსებლების გეგმის ჩაშლა".**

შეფასების პროცესში, მონაწილეებს არ ჰქონდათ ინფორმაცია პირის რეალური ვინაობის შესახებ. საკითხზე დისკუსიის შემდეგ, მონაწილეებმა ნახეს ავთენტური ვიდეო და ხელმეორედ შეაფასეს იგივე საკითხები.

---

10 НТВ, Итоги, "Раскаяние "белой вдовы", 4 ივლისი, 2017. https://goo.gl/nRjQG3

**დისკუსია.** ციტატის გაცნობის შემდეგ რესპონდენტთა უმრავლესობამ გაიზიარა მოსაზრება, რომ არ შეიძლება ჟურნალისტმა ასეთი სუბიექტური დამოკიდებულება გამოხატოს, თუნდაც ტერორისტის მიმართ.

> **„მე ვფიქრობ, რომ ჟურნალისტმა თავი უნდა შეიკავოს ასეთი შეფასებისგან და მხოლოდ ინფორმაცია უნდა გადასცეს, თავისი აზრი არ უნდა გამოხატოს. უარყოფითი ზეგავლენა შეიძლება მოახდინოს მკითხველზე. მაგალითად, თავის აზრს რომ გამოხატავს, მშობელი დედაც კი უარს იტყვის თავის შვილზეო“ (პანკისი).**

პანკისის ჯგუფის ერთ-ერთმა მონაწილემ ყურადღება გაამახვილა დამნაშავის რელიგიურ იდენტობაზე, რამაც მისი აზრით, ჟურნალისტის ასეთი სუბიექტური დამოკიდებულება განაპირობა.

> **„არა მგონია ეს ქრისტიანი რომ ყოფილიყო, მასზე იტყოდნენ ასეთ რამეს, ჩემი აზრით“ .**
>
> **„მხოლოდ მუსლიმებზე ამბობენ, ისინი აგრძელებენ ომს, ისინი არიან ძირითადად ვინც ომს იწვევენ. ქრისტიანებიც და სხვა ადამიანებიც ხომ არიან ჩართული ამ ომში?“ (პანკისი).**

ავთენტური სიუჟეტის ნახვის შემდეგ კი, როდესაც მონაწილეებმა შეიტყვეს, რომ ტერორისტი ევროპული იდენტობის ქალი იყო, მედია გაშუქების მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება არ შეცვლილა. ერთ-ერთმა მონაწილემ აჭარიდან კი მიიჩნია, რომ სტერეოტიპის დასაძლევად, რომლის თანახმად, ყველა მუსლიმი ტერორისტია, ეს სიუჟეტი ყველას უნდა ენახა. მეორემ კი იმაზე გაამახვილა ყურადღება, რომ დანაშაულს არც ეროვნება, არც რელიგიური და გენდერული კუთვლინება არ აქვს.

> **„ჩემთვის იმას ცვლის, რომ ეგება ნახოს ყველამ ეს სიუჟეტი. ყველას ჰგონია, რომ რატომღაც ყველა ისლამური ქვეყნებიდან უნდა იყოს ჩართული ISIS-ში. სხვათა შორის, ხშირად გამიგია, რომ ევროპიდანაც აქტიურად არიან ჩართული ამ საქმიანობაში, მაგრამ ამას არ აღიარებენ“.**
>
> **„მნიშვნელობა არა აქვს, ტერორიზმი ტერორიზმია, ეროვნულობა, რელიგია, ქალი, კაცი არაფერი არ გააჩნია“ (აჭარა).**

ნაწილის შეფასებით კი, მიუხედავად იმისა, რომ დამნაშავე ბრიტანეთის მოქალაქე იყო, სიუჟეტში ისლამოფობიური განწყობები მაინც დომინირებდა. რესპონდენტების ნაწილის აზრით, ჟურნალისტის დამოკიდებულება იმ გარემოებამ განაპირობა, რომ ბრიტანელი ქალი მუსლიმს გაჰყვა ცოლად.

> **„იმიტომ გააშუქა ასე, რომ მაინც მუსლიმს გაჰყვა“ (პანკისი).**
>
> **„თუ გინდა ტერორისტი გახდე და ვინმე ააფეთქო, ჯერ მუსლიმი უნდა გახდე, ასეთი შთაბეჭდილება იქმნება“ (აჭარა).**

რესპონდენტებმა ასევე ჟურნალისტის ტერორიზმთან ბრძოლის ხისტი დამოკიდებულება გააკრიტიკეს, რაც ქალაქ რაკაში მცხოვრები მოსახლეობის მიმართ ძალადობრივ განწყობებს აღვივებდა.

„ძალადობისკენ მოუწოდებს ჟურნალისტი. ის ამბობს, რომ უნდა განადგურდეს. შესაბამისად ამ დასახლებულ პუნქტში შეიძლება დამნაშავეებთან ერთად მშვიდობიანი მოსახლეობაც ცხოვრობდეს“ (პანკისი).

„თითქოს იქ რაკაში მცხოვრები ყველა უნდა იყოს განადგურებული ანუ უნდა გავანადგუროთ ბუდეო. აქ არ წერია ის, რომ რაკაში ტერორისტების გარდა ანუ იმის გარდა, ვინც სხვებს საფრთხეს უქმნის, ცხოვრობს მშვიდობიანი მოსახლეობაც. გინდ რუსეთიც, ვინც ახორციელებს დაბომბვებს, ამას იქ ტერორისტების გარდა, ეწირება მშვიდობიანი მოსახლეობა... თუ ანადგურებ, უნდა გაანადგურო ის, რაც საჭიროა და არ უნდა გაანადგურო ხალხი“ (აჭარა).

შეკითხვაზე, მიმართავდნენ თუ არა მედიის თვითრეგულირების ორგანოს, სიუჟეტში მათი ოჯახის წევრი რომ ყოფილიყო, რესპონდენტებმა აჭარიდან თანხმობა განაცხადეს, პანკისის ერთ-ერთი მონაწილის აზრით კი, ეს არაფერს შეცვლიდა, რადგან სიუჟეტის ეთერში გასვლით მაყურებელს განწყობები უკვე ჩამოყალიბებული ჰქონდა.

„სიუჟეტი ხომ უკვე გასულია და მაყურებელმა ნახა. მე რას მოვიგებდი? მაყურებელს ხომ თავისი აზრი გააჩნია უკვე“ (პანკისი).

### 2. ტერორიზმი და ბავშვთა საკითხების გაშუქება

ფოკუს ჯგუფების მონაწილეებმა ნახეს НТВ-ს სიუჟეტი[11], რომელიც ე.წ. „ისლამური სახელმწიფოს“ მიერ ბავშვების გაწვრთნას შეეხებოდა. სიუჟეტში არასრულწლოვანი მოზარდების ვიზუალური იდენტიფიცირება ხდებოდა, ასევე გადაცემის წამყვანიცა და სიუჟეტის ავტორი მოზარდებს მომავალ საფრთხეებთან აიგივებდნენ.

რესპონდენტებისთვის სიუჟეტი მთლიანობაში კატეგორიულად მიუღებელი იყო, თუმცა ყურადღება მათთვის შემდეგ პრობლემატურ საკითხებზე გაამახვილეს:

- ჟურნალისტის მიერ გამოყენებული ტერმინოლოგია,
- ბავშვების დაკავშირება ტერორიზმთან,
- არასრულწლოვნების სახეების იდენტიფიცირება,
- მაყურებელში შიშის დათესვა.

| ნეგატიურად შეფასებული ტერმინები |
| --- |
| ხალიფატის საშენი/ბოკვერები |
| მომავალი ტერორისტები |
| ИГИЛ-ის ბავშვები – შენელებული მოქმედების ნაღმი მთელი რეგიონისთვის |

11 НТВ, Итоги недели, 25 ივნისი, 2017. https://goo.gl/cdF6ek

რესპონდენტების შეფასებით, ჟურნალისტის მიზანი სიუჟეტში მონაწილე არასრულწლოვნების მიმართ შიშის და ზიზღის დანერგვაა, რასაც ზემოთ აღნიშნული ტერმინების გამოყენებითა და ბავშვების ტერორიზმთან/მომავალ ტერაქტებთან გაიგივებით აღწევს.

> „საშენიო, ბოკვერებიო. შესაბამისად იწვევს იმ აზრს, რომ ესენიც [ბავშვები] უნდა განადგურდნენ. რელაურად იმდენს კი ვერ ხვდებიან, რომ ისინი ბავშვები არიან და ადვილია მათზე ფსიქოლოგიური ზეგავლენა მოახდინო და გამოიყენო როგორც გინდა“ (პანკისი).
>
> „როცა არასრულწლოვან ბავშვზეა საუბარი, მე არ მიმაჩნია სწორად, რომ ის ტერორისტად იყოს წოდებული“ (აჭარა).

### 3. რუსეთის სამხედრო ჩართულობა სირიაში

ფოკუს ჯგუფების მონაწილეებმა ნახეს რუსეთის პირველი არხის სიუჟეტი[12], რომელიც სირიაში რუსეთის საჰაერო ინტერვენციის საკითხებს ეხება. სიუჟეტის ნახვის შემდეგ რესპონდენტებმა სამ საკითხზე გაამახვილეს ყურადღება:

ჟურნალისტი, როგორც მხარე: რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ გადაცემის წამყვანიცა და სიუჟეტის ავტორიც რუსული შეიარაღებისა და რუსეთის თავდასხმების გაშუქებისას იყენებდნენ სიტყვას „ჩვენ“.

**ПЕРВЫЙ КАНАЛ, ВРЕМЯ , 25 ივნისი**

**ვალერი ფადეევი, წამყვანი:** „ჩვენ სირიაში სტრატეგიულ წარმატებას მივაღწიეთ. ახლა ამერიკელები სხვა მიმართულებით ცდილობენ გამოძრომას.“

**ევგენი ბარანოვი, რეპორტიორი:** „რუსეთის მიზნები სირიაში ჩვენი ოპერაციის დაწყებისთანავე იყო გაცხადებული და დღემდე უცვლელი რჩება“...

მონაწილეთა შეფასებით, სიტყვა „ჩვენ“ კარგად გამოხატავს ჟურნალისტის არანეიტრალურ დამოკიდებულებას.

> „ეს სახელმწიფო ტელევიზიაა და რაც დავალებულია, შესაბამისად ალაპარაკებენ“ (პანკისი).
>
> „ცუდია, სუბიექტურად გააშუქა ჟურნალისტმა. თავის აზრებს კი არა, თავის ქვეყნის აზრებს აჟღერებდა“ (ქვემო ქართლი).

რუსეთის ძალის დემონსტრირება: რესპონდენტების შეფასებით, ამ სიუჟეტის ერთ-ერთი მიზანი მაყურებლის თვალში რუსეთის სიძლიერის წარმოჩენა იყო. მონაწილეებმა ყურადღება გაამახვილეს სიუჟეტის იმ ნაწილზე, რომელშიც ჟურნალისტი რუსული შეიარაღებისა და სირიაში რუსეთის საჰაერო დარტყმების შედეგებზე საუბრობს.

---

[12] Первый канал, Время, “Горячее Небо Сирии”, 25 ივნისი, 2017 https://goo.gl/1FBSfy

„საფრთხე რომ არ ემუქრება რუსეთს, ამის ჩვენება უნდოდათ“.

„აქედან ჩანს, რომ თავიანთი სიძლიერის წარმოჩენა უნდათ“ (პანკისი).

„ჩვეულებრივი დიქტატორული რეჟიმია“ (ქვემო ქართლი).

ანტიდასავლური განწყობების გაღვივება: მონაწილეთა შეფასებით, სიუჟეტის მიზანი მაყურებელში ამერიკის ნეგატიური იმიჯის შექმნაა. თუმცა, ქვემო ქართლიდან ერთი რესპონდენტის აზრით, სირიაში ინტერესები როგორც რუსეთს, ასევე აშშ-საც აქვს.

„ამერიკის შედარება იყო. მათი არაეფექტურობის დამტკიცება უნდათ“.

„სამხედრო-პოლიტიკური დაპირისპირება რუსეთს და ამერიკას შორის ჩანს კი ამ სიუჟეტში“ (პანკისი).

„ამერიკა ეშმაკია, ჩვენ [რუსეთი] ანგელოზები ვართო“.

„სირია ორთაჭალასავითაა, ყველა იქაა. არის ნავთობი ბევრი. ამერიკასაც უნდა, რუსეთსაც უნდა და თურქეთსაც“ (ქვემო ქართლი).

### 4. ტერორიზმის ისლამთან დაკავშირება, სტერეოტიპიზაცია

მონაწილეები გაეცნენ სპუტნიკ-საქართველოს ინფორმაციას „ავსტრალიელი სენატორი სხდომაზე ჩადრით გამოცხადდა და მისი აკრძალვა მოითხოვა“[13]. სტატია ასახავს ფაქტს, რომლის თანახმად, ავსტრალიელი სენატორი ქალი პოლინ ჰენსონი პარლამენტის ზედა პალატის სხდომაზე მუსლიმური ჩადრით გამოცხადდა და საკანონმდებლო ორგანოს ქვეყანაში მისი აკრძალვისკენ მოუწოდა. ინფორმაციის ბექგრაუნდში სპიტნიკ-საქართველოს მოყვანილი აქვს ავსტრალიელი სამართალდამცავების მიერ ტერაქტის აღკვეთის ფაქტი, რომელშიც მუსლიმი ეჭვმიტანილი ფიგურირებს:

**სპუტნიკ-საქართველო:**

**„გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მანამდე ავსტრალიელმა სამართალდამცველებმა თვითმფრინავში ტერაქტის აღკვეთა მოახერხეს. ორ მუსლიმ ეჭვმიტანილს, 49 წლის ჰალედ მაჰმუდსა და 32 წლის მაჰმუდ ჰაიატს უკვე წარდგენილი აქვთ ბრალი ტერაქტის მომზადებაში. როგორც ირკვევა, ისინი ავიაკომპანია Etihad Airways-ის კუთვნილ თვითმფრინავში ბომბის შეტანას გეგმავდნენ, რომელიც სიდნეიდან 15 ივლისს ასრულებდა რეისს“.**

აღნიშნულ საკითხზე დისკუსია ორი მიმართულებით წარიმართა: 1. პოლიტიკოსის პასუხისმგებლობა; 2. ჟურნალისტის პასუხისმგებლობა.

[13] სპუტნიკ-საქართველო, „ავსტრალიელი სენატორი სხდომაზე ჩადრით გამოცხადდა და მისი აკრძალვა მოითხოვა“, 17 აგვისტო, 2017
https://goo.gl/HTkvpL

რესპონდენტების უმრავლესობის შეფასებით, ავსტრალიელი სენატორის მიერ ჩადრის აკრძალვის მოთხოვნა პოლიტიკოსის პასუხისმგელობა იყო და ამბავი მედიას აუცილებლად უნდა გაეშუქებინა. თუმცა, რესპონდენტები ჟურნალისტის პასუხისმგებლობას იმ ნაწილში ხედავდნენ, სადაც ჩადრის აკრძალვის მოთხოვნა ჟურნალისტმა ავსტრალიაში ტერორიზმის საფრთხის გაზრდას დაუკავშირა.

> **„ჩადრზე იწყებს ლაპარაკს, მაგრამ უფრო ტერორიზმთან აკავშირებს ბოლოს“ (ქვემო ქართლი).**
>
> **„არაფრით არ შეიძლება დაკავშირება ტერაქტების ჩადრთან. ან ისლამი რა შუაშია?“ (პანკისი).**

რესპონდენტების ნაწილისთვის მიუღებელი იყო მასალის სათაურიც („ავსტრალიელი სენატორი სხდომაზე ჩადრით გამოცხადდა და მისი აკრძალვა მოითხოვა“), სადაც მათი აზრით, ჩადრის აკრძალვის მოთხოვნის ნაცვლად, უმჯობესია, ჟურნალისტს მასალა შემდეგნაირად დაესათაურებინა: „ავსტრალიელმა პროკურორმა ქვეყანაში ჩადრის აკრძალვის მოთხოვნა გააკრიტიკა“.

> **„ანუ ვიგებთ, რომ ვიღაცამ მოითხოვა აკრძალვა და ვიგებთ იმასაც, რომ ავსტრალიაში ყველა ასე არ ფიქრობს“ (აჭარა).**

## 2.8. ტერორიზმთან დაკავშირებით რუსულ მედიაში გამოყენებული სპეციფიური ტერმინები

ფოკუს ჯგუფების მონაწილეებმა ტერორიზმთან დაკავშირებით რუსულ მედიაში გამოყენებული სპეციფიური ტერმინები და მათი ალტერნატივები შეაფასეს.

| რუსულ მედიაში გამოყენებული ტერმინები | ალტერნატიული ნეიტრალური ტერმინები |
|---|---|
| რუსეთში აკრძალული ИГИЛ[14]-ი | |
| არ არის წევერი, არ არის ტერაქტი<br><br>აღმოსავლური გარეგნობის მამაკაცი (ტერორისტი) | • ტერორისტი<br>• თავდამსხმელი/ამფეთქებელი/გამტაცებელი<br>• მეამბოხეები |
| მომავალი ტერორისტები | |
| ცოცხალი ბომბი | თვითმკვლელი ტერორისტი |
| ტერორისტის ცოლი | ექვმიტანილის ოჯახის წევრი |

ტერმინის „რუსეთში აკრძალული ИГИЛ-ი“ გარდა, რუსულ მედიაში ტერორიზმთან დაკავშირებით გამოყენებული ყველა შეთავაზებული ტერმინი რესპონდენტთა უმრავლესობისთვის კატეგორიულად მიუღებელი იყო. რესპონდენტთა უმრავლესობისთვის ჩვენ მიერ შეთავაზებული ნეიტრალური ტერმინები მისაღები იყო და დისკრიმინაციული ტერმინების ალტერნატივებად დაასახელეს.

[14] რუსულენოვანი მედია ტერორისტული ორგანიზაცია „ისლამური სახელმწიფოს“ შესატყვისად უმეტესად იყენებს აკრონიმს იგილ – ИГИЛ, რაც ამ ორგანიზაციის ადრინდელი სახელწოდებიდან – Исламское государство Ирака и Леванта – ერაყისა და ლევანტის ისლამური სახელმწიფო გამომდინარეობს.

რუსეთში აკრძალული იგილ-ი. მედიაში ე.წ. „ისლამურ სახელმწიფოსთან“ მიმართებით ტერმინ „რუსეთში აკრძალულის“ გამოყენება რესპონდენტების უმრავლესობამ დადებითად შეაფასა, რაც თავად ტე-რორიზმის მიმართ მათი დამოკიდებულებით იყო განპირობებული, ვიდრე მედიის შინაარსობრივი რეგულირების განზრახვით.

> **„ეს [ISIS] ტერორისტული ორგანიზაციაა და ყველგან უნდა იყოს აკრძალული და არა მარტო რუსეთში“ (პანკისი).**

აღმოსავლური გარეგნობა=ტერორიზმს(?!). რესპონდენტების შეფასებით, ტერმინით „არ არის წვერი, არ არის ტერაქტი“ რუსული მედია ტერორიზმს ისლამს უკავშირებს, რადგანაც წვერის ტარება მუსლიმი მამაკაცისთვის რელიგიური ვალდებულებაა.

> **„წვერი მუსლიმისთვის ჩვენი წინასწარმეტყველი მუჰამადისგან მოდის, რომ წვერი მუსლიმ-მა უნდა ატაროს. შესაბამისად, გარეგნობის მიხედვით განსჯა, რომ უი, ამას წვერი აქვს და ეს ტერორისტი უნდა იყოს, იმას ჰიჯაბი აქვს და ისიც რაღაც ის უნდა იყოს, არასწორია“ (პანკისი).**

ტერორისტის დახასიათებისას მის აღმოსავლურ გარეგნობაზე აქცენტის გაკეთებით კი, რესპონ-დენტთა აზრით, მედია აღრმავებს სტერეოტიპს, რომ ტერორიზმი აღმოსავლური იდენტობის ნა-წილია.  პანკისის ფოკუს ჯგუფის ერთმა მონაწილემ რუსულ მედიაში დანაშაულის გაშუქების ერთი მაგალითიც გაიხსენა, როდესაც სავარაუდო დამნაშავის მიმართ გამოყენებული იყო ტერმინი „კავ-კასიური გარეგნობის მამაკაცი“.

> **„რუსეთში რაღაც ნიუსი დაიდო, რომ კავკასიური გარეგნობის პიროვნებამ ჩაიდინა დანა-შაულიო და აღმოჩნდა, რომ რუსია ის და არ არის კავკასიელი და ზოგადად გარეგნობის მიხედვით არ უნდა ვიმსჯელოთ“ (პანკისი).**

მონაწილეთა განმარტებით, ტერორიზმს რელიგია და წარმომავლობა არ გააჩნია, ამიტომ მათი რეკომენდაციით, ტერორისტული აქტების გაშუქებისას, მედიამ დამნაშავის რელიგიური/ეთნიკური იდენტობა არ უნდა მიუთითოს. ალტერნატიულ ნეიტრალურ ტერმინებად დასახელდა „ტერორის-ტი“, „თავდამსხმელი/ამფეთქებელი/გამტაცებელი“, „მეამბოხეები“.

„ტერორისტის ცოლი“. ტერმინი ფოკუს ჯგუფების მონაწილეთა უმრავლესობისთვის მიუღებელი იყო, თუმცა საკითხმა აჭარასა და პანკისში ჩატარებულ ფოკუს ჯგუფებში დისკუსია გამოიწვია. აღსანიშნავია, რომ ტერმინის მიმართ დამოკიდებულება გენდერულ ჭრილში განსხვავებული იყო. რესპონდენტების ის მცირე ნაწილი, რომელთაც ტერმინი არადისკრიმინაციულად მიაჩნდათ, მამაკაცი იყო. რესპონდენ-ტებმა ალტერნატიულ ტერმინად „ეჭვმიტანილის/ბრალდებულის ოჯახის წევრი“ დაასახელეს.

> **„შეურაცხმყოფელია, ძალიან შეურაცხმყოფელი. შეიძლება მისმა ცოლმა სულ არ იცოდა, რომ მისი ქმარი იყო ტერორისტი“ (გოგო რესპონდენტი, აჭარა).**
>
> **„ის ქალი არაფერ შუაშია და მერე არის საფრთხის ქვეშ. უნდა თქვა ბრალდებული ან ეჭვ-მიტანილი. ჟურნალისტს მეტის თქმის უფლება არა აქვს“ (გოგო რესპონდენტი, აჭარა).**

„მე თუ რაღაცა გავაკეთე, ჩემი ცოლი რა შუაშია? საზოგადოებაში ითესება ნეგატიური განწყობილება ამ ადამიანის მიმართ“ (ბიჭი რესპონდენტი, პანკისი).

„ანუ ეს გამოიყენეს სიმძაფრისთვის. დამატებითი განმარტება გამოიყენეს, რომ ადვილად მიხვდეს მოსახლეობა, რა მოხდა? ჩემთვის, მაგალითად, მისაღებია“ (ბიჭი რესპონდენტი, აჭარა).

„ცოცხალი ბომბი“. რესპონდენტების უმეტესობისთვის ტერმინი „ცოცხალი ბომბი“ მკვეთრად ნეგატიური მნიშვნელობის მატარებელი იყო, რომლის ალტერნატიულ მისაღებ ტერმინად დასახელდა „თვითმკვლელი ტერორისტი“.

„შეიძლება თქვას, რომ აიფეთქა ან მოიკლა თავი. ადამიანი ბომბი ვერ იქნება“ (ქვემო ქართლი).

## 2.9. ტერორიზმთან დაკავშირებული სხვა ტერმინები

ფოკუს ჯგუფების მონაწილეებმა ის ტერმინებიც შეაფასეს, რომლებიც ტერორიზმის საკითხების გაშუქების დროს სხვადასხვა მედია საშუალებების მიერ რეგულარულად გამოიყენება. რესპონდენტებს შესაფასებლად დისკრიმინაციული ტერმინების ალტერნატიული ნეიტრალური ტერმინებიც დაურიგდათ.

მიწოდებული ტერმინებიდან 9 ყველა რესპონდენტისთვის კატეგორიულად მიუღებელი იყო.

### 1. ყველა რესპონდენტისთვის მიუღებელი ტერმინი/ალტერნატიული მისაღები ტერმინები

| მიუღებელი ტერმინები | ალტერნატიული მისაღები ტერმინები |
|---|---|
| მუსლიმი ტერორისტი<br>ისლამისტი ტერორისტი<br>პოტენციურად სახიფათო ისლამისტი | ტერორისტი<br>თავდამსხმელი/ამფეთქებელი/გამტაცებელი<br>მეამბოხეები |
| ჯიჰადისტთა ტერორისტული ორგანიზაცია<br>მსოფლიო ჯიჰადი | ტერორისტული ორგანიზაცია<br>ექსტრემისტული ჯგუფები |
| ანტი-ისლამური ძალა | ანტი-ტერორისტული ძალა |
| პოლიტიკური ისლამი<br>ისლამიზმი<br>რადიკალური ისლამი | ისლამი |

### ა. ტერორიზმის ისლამთან დაკავშირება

**„მუსლიმი/ისლამისტი ტერორისტი“, „პოტენციურად სახიფათო ისლამისტი“**

რესპონდენტების შეფასებით, მედიის მიერ აღნიშნული ტერმინების ტერორიზმის კონტექსტში გამოყენება მუსლიმი თემის იზოლაციას ახდენს. მათი თქმით, ტერორიზმს რელიგია და წარმომავლობა არ გააჩნია, სწორედ ამიტომ რელიგიური იდენტობის ხაზგასმა მათთვის კატეგორიულად მიუღებელია.

> **„რადგან მაგას [მუსლიმი ტერორისტი] აღნიშნავენ, მაგიტომ ხდება ჩვენი გარიყვაც სწორედ. ტერორისტები მუსლიმანები არ არიან. ანუ ტერორისტი, რომელიც ამბობს, რომ მუსლიმია, მე პირადად არ ვთვლი მას მუსლიმად“ (პანკისი).**
>
> **„საერთოდ რელიგიასთან არ უნდა იყოს კავშირი. ტერორისტია, მოხდა ტერაქტი და მორჩა“ (ქვემო ქართლი).**

თუმცა, ტერმინმა „მუსლიმი ტერორიტი“ გოგო რესპონდენტებში პანკისის ხეობიდან დისკუსია გამოიწვია, მას შემდეგ, რაც მათ მიეწოდათ ნაწყვეტი ქართულენოვანი სტატიიდან, რომელიც ტერორიზმს თავდამსხმელის რელიგიურ იდენტობას უკავშირებდა. ერთი რესპონდენტისთვის ცალკე აღებული ტერმინი „მუსლიმი ტერორისტი“ კატეგორიულად მიუღებელი იყო, თუმცა ამ ტერმინის შემცველი კონკრეტული ტექსტის განხილვის დროს, მისთვის დანაშაულზე რელიგიური იდენტობის მითითება მისაღები იყო. რესპონდენტის განმარტებით, პრობლემურია არა რელიგიის დანაშაულთან დაკავშირება, არამედ ის, რომ დაკავშირება მხოლოდ ისლამთან ხდება.

> **„მუსლიმია და რა ქნას? ანუ ინფორმირებულობისთვის ამბობს [ჟურნალისტი]... თუ მუსლიმია უნდა თქვან და თუ სხვა რელიგიისაა, ეგეც უნდა დააკონკრეტონ. ქრისტიანი ტერორისტი, მაგალითად, მე არსად არ მსმენია“ (პანკისი).**

რესპონდენტებს ასევე ნეგატიური დამოკიდებულება ჰქონდათ ტერმინ „ისლამისტის“ ტერორიზმის კონტექსტში გამოყენების გამო. ტერმინი „ისლამისტი“, რომელიც ხშირად ექსტრემისტულ დაჯგუფებებთან მიმართებით გამოიყენება, ფოკუს ჯგუფების მონაწილეთათვის „მუსლიმის“ სინონიმი იყო.

> **„მეც ვარ ისლამისტი, ხომ? ანუ ისლამის მიმდევარი ვარ, მუსლიმი ვარ და შეიძლება მეც მგულისხმობდნენ ამაში, ხომ?.. ანუ ერთმა [ჟურნალისტმა] თქვა, ყველამ აიტაცა და ესე გავრცელდა“ (პანკისი).**

### ბ. „მსოფლიო ჯიჰადი“, „ჯიჰადისტთა ტერორისტული ორგანიზაცია“

რესპონდენტების განმარტებით, ტერმინ „ჯიჰადს“ ტერორიზმთან მიმართებით არასწორად იყენებენ და მისი მნიშვნელობა დამახინჯებულია. „ჯიჰადისტთა ტერორისტული ორგანიზაციის“ ალტერნატივად დასახელდა „ტერორისტული ორგანიზაცია“/„ექსტრემისტული ჯგუფები“.

„სიტყვა ჯიჰადი სულ სხვა მნიშვნელობისაა. ის ნიშნავს საღვთო ომს. მაშინ, როდესაც შუამავალი აწარმოებდა, ის სხვა დრო იყო, ეხლა კიდე ოცდამეერთე საუკუნეა და სხვა დროა“ (აჭარა).

„ჯიჰადი ნიშნავს ბრძოლას, რელიგიურ ბრძოლას, მაგრამ მხოლოდ ბრძოლას არა. ჯიჰადი არის, მოკლედ რომ ვთქვათ, დაცვა. თუ შენი სიცოცხლე ან რელიგია საფრთხეშია და ვინმე ემუქრება, ამ შემთხვევაში საჭიროა ჯიჰადი. მიუღებელია, რომ ამ სიტყვას აკავშირებენ ტერორიზმთან“ (ქვემო ქართლი).

### გ. „შაჰიდი“

რესპონდენტების განმარტებით, ტერმინი „შაჰიდი“ ძირითადად თვითმკვლელი ტერორისტების მიმართებით გამოიყენება, რაც მათთვის კატეგორიულად მიუღებელია.

„შაჰიდი არაბული სიტყვაა და ისლამში სხვა რამეს ნიშნავს, მაგრამ ტერორიზმის კონტექსტში რომ ამბობს ჟურნალისტი, ე.ი. მნიშვნელობა არ იცის“ (ქვემო ქართლი).

„ადამიანი, რომელიც თავს იკლავს, ვერასდროს იქნება შაჰიდი. არ უნდა გამოიყენოს ჟურნალისტმა ის ტერმინი, რისი მნიშვნელობაც არ იცის“ (აჭარა).

### დ. შიიტური ჰეზბოლა

რესპონდენტების უმრავლესობის შეფასებით, „ჰეზბოლა“ ტერორისტული ორგანიზაციაა, რომლის სახელთანაც რელიგიური მიმდინარეობის დაკავშირება, უადგილო და მიუღებელია. თუმცა, რამდენიმე რესპონდენტმა პანკისის ხეობიდან ეს შეთანხმება დასაშვებად მიიჩნია, რადგანაც მათი განმარტებით, „ჰეზბოლა“ სწორედ ისლამის შიიტური ფრთის იდეოლოგიას ეფუძნება და ამის აღნიშვნა მედიაში პრობლემატური არ უნდა იყოს.

განსხვავებული მიდგომა გამოვლინდა ქვემო ქართლში, საქართველოს მოქალაქე ეთნიკურად აზერბაიჯანელ რესპონდენტებთან. მათი შეფასებით „ჰეზბოლა“ ანტი-ტერორისტული ორგანიზაციაა, რომელიც ე.წ. „ისლამურ სახელმწიფო“-ს ებრძვის, სწორედ ამიტომაც, დაჯგუფების რელიგიური იდეეოლოგიის ხაზგასმა მათთვის მისაღები იყო.

„შიიტური ჰეზბოლა მისაღებია, რადგან ნამდვილად არის ჰეზბოლა ასეთი ორგანიზაცია და შიიტების მხრიდან არის შექმნილი“.

„ეს [ჰეზბოლა] არის ანტიტერორისტული ორგანიზაცია, ISIS-ის წინააღმდეგ იბრძვის“ (ქვემო ქართლი).

### ე.წ. „ისლამური სახელმწიფო“/ISIS

რესპონდენტთა უმრავლესობის რეკომენდაციით, როდესაც მედია სირიასა და ერაყში მოქმედი ტერორისტული დაჯგუფების საკითხს აშუქებს, უმჯობესი იქნება, თუ დაჯგუფების სახელი ბრჭყალებში

იქნება გამოყენებული  და თანდართული იქნება „ე.წ.“ (ე.წ. „ისლამური სახელმწიფო“) ან ხაზგასმული იქნება, რომ საუბარია ტერორისტულ დაჯგუფებაზე (ტერორისტული დაჯგუფება „ისლამური სახელმწიფო“). რესპონდენტების უმრავლესობის აზრით, „ისლამური სახელმწიფოს“ სხვაგვარად მოხსენიება მაყურებელში/მკითხველში ტერორიზმის ისლამთან/მუსლიმ თემთან ასოციაციას გამოიწვევს.

> „ე.წ. „ისლამური სახელმწიფო“ მისაღებია. რომ არ მოხდეს ყველა მუსლიმთან დაკავშირება“ (ქვემო ქართლი).

საინტერესოა, რომ რამდენიმე რესპონდენტში ტერმინი „ისლამური სახელმწიფო“ საერთოდ არ ასოცირდებოდა სირიასა და ერაყში მოქმედ ტერორისტულ დაჯგუფებასთან, არამედ მას აიგივებდნენ ირანთან და თურქეთთან, როგორც  ისლამურ სახელმწიფოებთან.

### ვ. „პოლიტიკური ისლამი“, „ისლამიზმი“, „რადიკალური ისლამი“, „ისლამი“

ტერმინები „პოლიტიკური ისლამი“, „ისლამიზმი“ და „რადიკალური ისლამი“ ჯგუფური დისკუსიების ყველა მონაწილისთვის თანაბრად ნეგატიური მნიშვნელობის იყო. ტერმინი „ისლამიზმი“, „პოლიტიკურ ისლამთან“ შედარებით, გაუგებარი ტერმინი იყო და მონაწილეთა უმეტესობა მოდერატორისგან მის განმარტებას ითხოვდა. ბიჭი რესპონდენტებისთვის მთიანი აჭარიდან ტერმინ „ისლამიზმის“ მედიაში გამოყენება მიუღებელი იყო იმ მიზეზით, რომ ტერმინის დაკავშირება ხშირად ტერორიზმთან ხდება. ალტერნატიულ ტერმინად დასახელდა „ისლამი“, რადგან, მონაწილეთა აზრით, ისლამს პოლიტიკური მნიშვნელობა არ აქვს.

> „პოლიტიკური ისლამი არის თვითონ მიუღებელი. ისლამში პოლიტიკა არ არის. ისლამში ერთი წესია – შარიათი და იმის კანონები აქ. პოლიტიკა არ არის და ამიტომ მიუღებელია“ (პანკისი).
>
> „ისლამიზმი, ანუ გამოდის, რომ ისლამის კანონები სხვადასხვაა. ერთი მთლიანობაა ის რელიგია და ამ ტერმინით ხდება მისი [ისლამის] ტერორიზმთან გაიგივება“ (აჭარა).

ნეგატიური შეფასებები მოჰყვა ტერმინს „რადიკალური ისლამი“. მონაწილეთა განმარტებით, ისლამის ტერორიზმთან დაკავშირება არ უნდა ხდებოდეს და რადიკალ ადამიანებზე საუბრისას დანამატი „ისლამი“ ზედმეტია.

> „ანუ არიან ისლამური დაჯგუფებები, რომლებსაც მე რადიკალებად ვთვლი. ისინი თავის თავს ისლამის მიმდევრებს უწოდებენ, მაგრამ მე რადიკალებს ვეძახი, იმიტომ, რომ ფანატიზმში გადადიან... მე ვერ ვეტყვი, რომ ისლამისტები ხართ, ამიტომ ვეუბნები, რომ ხართ რადიკალები“ (აჭარა).
>
> „ისლამი ისლამია. არ არსებობს რადიკალური. ის უკვე სხვა რაღაცაა და სჯობს, რომ ამისი დიფერენციაცია გავაკეთოთ. როდესაც სოციალურ ქსელებში შევდივართ და კომენტარებს ვკითხულობთ, ჩვენ ვხვდებით, ხალხის  შეხედულებაზე ისლამის მიმართ ეს რამდენად მოქმედებს. ისლამის და რადიკალიზმის გაყოფა და დიფერენციაცია უჭირს ბევრს და ზოგი ერთმანეთთან აიგივებს და ურევს ყველაფერს“ (პანკისი).

### ვ. „ხალიფატი“ / „ფსევდოხალიფატი“

რესპონდენტთა უმრავლესობისთვის მიუღებელი იყო ტერორისტული დაჯგუფების მიერ თვითგამოცხადებული ხალიფატის მოხსენიება „ხალიფატად“ და გვთავაზობდნენ ტერმინებს „ფსევდოხალიფატი“, „ე.წ. ხალიფატი“, „თვითგამოცხადებული ხალიფატი“.

რესპონდენტთა ნაწილისთვის ცალკე აღებული ტერმინი „ხალიფატი“, კონტექსტის გარეშე, მიუღებელი არ ყოფილა, რადგან ტერმინს VII-XIII საუკუნეებში არაბთა ისტორიულ სახალიფოსთან აიგივებდნენ.

> **„მე არ ვაღიარებ სახალიფოდ და არის ეგრეთ წოდებული“.**
>
> **„ხალიფატი მისაღებია როგორც ისტორიული ტერმინი და ფსევდო ხალიფატი ISIS-თან მიმართებაში“ (აჭარა).**

## 2.10. რელიგიურ-ეთნიკურ იდენტობასთან დაკავშირებული ტერმინები

რელიგიურ-ეთნიკურ იდენტობასთან დაკავშირებული 25 ტერმინი მონაწილეებმა 2 კატეგორიად დააჯგუფეს: „სრულიად მიუღებელი“ და „სრულიად მისაღები“.

შეთავაზებული 22 ტერმინიდან მონაწილეთა უმრავლესობისთვის თანაბრად მიუღებელი მხოლოდ 4 ტერმინი აღმოჩნდა. ესენია: „თათარი“, „მაჰმადიანი“, „მაჰმადიანი მესხი“, „თურქი მესხი“. მონაწილეებმა მათი ალტერნატივები დაასახელეს, რომლებიც ქვემოთ მოცემულ ცხრილშია წარმოდგენილი.

**ცხრილი 1. ყველა რეგიონში თანაბრად მიუღებელი ტერმინები რესპონდენტთა შეფასებით**

| მიუღებელი ტერმინები | ალტერნატიული, მისაღები ტერმინები |
|---|---|
| თათარი | ეთნიკურად ქისტი / აზერბაიჯანელი<br>საქართველოს მოქალაქე<br>მუსლიმი<br>პანკისის ხეობის მკვიდრი |
| მაჰმადიანი | მუსლიმი<br>მუსლიმი თემი/მრევლი/საზოგადოება<br>შიიტი<br>სუნიტი |
| მაჰმადიანი მესხი<br>თურქი მესხი | დეპორტირებული მესხები<br>მუსლიმი მესხები |

**ა. „თათარი“.** ტერმინი „თათარი“ თითქმის ყველა რესპონდენტისთვის კატეგორიულად მიუღებელი იყო, განსაკუთრებულად ნეგატიური დამოკიდებულება კი ქვემო ქართლისა და აჭარის რესპონდენ-ტებმა გამოხატეს. რესპონდენტები მარნეულიდან განმარტავდნენ, რომ საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურად აზერბაიჯანელ მუსლიმ მოქალაქეებს „თათრებად“ მხოლოდ მათი ეთნიკური წარმო-მავლობის გამო მოიხსენიებდნენ. აჭარის შემთხვევაში კი ამის მიზეზი მათი მუსლიმური იდენტობა იყო.

> **„[თათარი] ისეთი მტკივნეული სიტყვაა და ისე მძულს... ეს სიტყვა ძალიან ცუდად მხვდება. მე, როგორც მუსლიმს მიყურებენ, როგორც თათარს. მე, აჭარელი ქართველი რატომ ვარ თათარი? რადგან აქ დამპყრობლები იყვნენ მუსლიმები? მასე დამპყრობელი არ დარჩენი-ლა, კახეთი რომ არ აეოხრებინა და მაშინ კახელები უნდა მოვიხსენიოთ ყიზილბაშებად ან ლეკებად“ (აჭარა).**

აღსანიშნავია, რომ ტერმინ „თათარს“ პანკისის ხეობის რესპონდენტებისთვის ნაკლები ემოციური დატვირთვა ჰქონდა, ვიდრე ქვემო ქართლისა და აჭარის რეგიონის მონაწილეთათვის.

> **„თათარი“ ეს არის ერთ-ერთი ეროვნება, თათრები ცხოვრობდნენ მონღოლეთში“.**
>
> **„აზერბაიჯანელის მიმართ რატომ უნდა გამოიყენო თათარი, როცა თვითონ აზერბაიჯანელს არ სიამოვნებს?“**
>
> **„თათარი არის როგორც ჩვეულებრივი ქისტი. ვიღაცას თუ შეცდომა მოსდის, არ უნდა აკრ-ძალოთ რა“ (პანკისი).**

„თათარის“ ალტერნატიულ ტერმინებად რესპონდენტებმა პანკისის ხეობიდან მხოლოდ „ეთნიკუ-რად აზერბაიჯანელი საქართველოს მოქალაქე“ დაასახელეს, რადგანაც ისინი ტერმინთან საკუ-თარი თავის იდენტიფიცირებას არ ახდენდნენ და მიაჩნდათ, რომ „თათარი“ სწორედ ეთნიკურად აზერბაიჯანელი საქართველოს მოქალაქეების აღსანიშნად გამოიყენება. განსხვავებული მიდგომ-მა გამოიკვეთა აჭარასა და ქვემო ქართლში, სადაც ტერმინი „თათარი“ საქართველოში მცხოვრებ ყველა მუსლიმთან მიმართებაში აღიქმებოდა და მათ ალტერნატივად *„მუსლიმი“, „ეთნიკურად აზერბაიჯანელი საქართველოს მოქალაქე“, „ეთნიკურად ქისტი საქართველოს მოქალაქე“; „პანკი-სის ხეობის მკვიდრი“; „სხვაეროვანი მუსლიმი“* დაასახელეს.

ტერმინ „სხვაეროვანი მუსლიმი“-ს მიმართ ნეგატიური განწყობა ჰქონდათ ბიჭ რესპონდენტებს პანკისის ხეობიდან და ქვემო ქართლიდან, ასევე გოგო რესპონდენტებს ქვემო ქართლიდან.

> **„მე, მაგალითად, არსად არ გამიგია, რომ ვინმეს ეთქვა სხვაეროვანი ქრისტიანიო [ეთქვა]. სიტყვა მუსლიმი რო არის, მანდ უკვე სხვაეროვანი არ უნდა“ (ქვემო ქართლი).**

საქართველოს მოქალაქე მუსლიმების ეთნიკური ნიშნით დაყოფა მიუღებელი იყო რამდენიმე ბიჭი რესპონდენტისთვის მთიანი აჭარიდან, თუმცა ტერმინი „სხვაეროვანი მუსლიმი“ მისაღები იყო სხვა ქვეყნის მოქალაქე მუსლიმების აღსანიშნად.

„თუ შემოსულია და სხვა ეროვნებისაა, რა თქმა უნდა, მაგრამ თუ საქართველოშია და ქართველი მუსლიმია, მაშინ არა“ (აჭარა).

**ბ. „მაჰმადიანები“.** ტერმინი „მაჰმადიანი“ მონაწილეთა უმრავლესობამ მკვეთრად ნეგატიურად შეაფასა. ნაწილის შეფასებით „მაჰმადიანი“ შუა საუკუნეებში მუსლიმი პირის აღსანიშნად გამოიყენებოდა, რაც ახლა მოძველებული და მუსლიმთა უმეტესობისთვის მიუღებელია. მეორე ნაწილის განმარტებით კი, „მაჰმადიანი“ მუჰამადის მიმდევარს ნიშნავს, რაც მუსლიმებისთვის შეურაცხმყოფელია. ტერმინი მისაღები იყო პანკისის ხეობაში ჩატარებული ფოკუს ჯგუფის გოგო მონაწილეებისთვის.

„ნებისმიერ ეპოქაში, როცა რელიგიას ქადაგებ, უნდა იყოს იმ ეპოქის შესაბამისი სიტყვა“ (პანკისი).

„მაჰმადიანი ნიშნავს მაჰმადის მიმდევარს და ჩვენ ვართ ისლამის მიმდევრები. მუჰამედმა რაც იქადაგა, იმის მიმდევრები ვართ და ის, ვინც იყენებს ამ ტერმინს, უნდა იცოდეს მისი მნიშვნელობა“ (აჭარა).

რესპონდენტებმა ტერმინ „მაჰმადიანი“-ს ალტერნატივად დაასახელეს ტერმინები: „მუსლიმი“, „მუსლიმი მრევლი/თემი/საზოგადოება“.

**დ. „მაჰმადიანი მესხები“, „თურქი მესხები“, „დეპორტირებული მესხები“, „მუსლიმი მესხები“.** „თურქი მესხები“[15]-ს ალტერნატივად რესპონდენტთა უმრავლესობამ უმეტეს ფოკუს ჯგუფში „დეპორტირებული მესხები“ დაასახელა. მარნეულსა და ბათუმში ასევე მისაღები ტერმინი იყო „მუსლიმი მესხები“.

„ანუ მესხები ხომ ქართველები არიან და თურქები არ არიან? მარტო მუსლიმები რომ არიან და მაგის გამო ეძახიან თურქებს, არასწორია. ამ შემთხვევაში ხომ შეიძლება მაშინ არაბი მესხები რომ დავუძახოთ?.. მუსლიმი მესხები რომ დავუძახოთ, ჩემი აზრით, უფრო კარგი იქნებოდა“ (ქვემო ქართლი).

„იქ იყვნენ ადგილობრივი მესხები და თურქეთიდან ჩამოსახლებული მესხები. და მერე როცა გადაასახლეს თურქეთში, ეს ადგილობრივი მესხებიც მოჰყვნენ გადასახლებაში და თურქებიც. ეხლა არიან როგორც თურქი მესხები, ასევე ადგილობრივი მესხები და ის თურქი მესხები თავს თურქებს უწოდებენ“ (აჭარა).

**გ. „ქართველი, აჭარიდან ჩამოსახლებული მუსლიმი“.** აღნიშნული ტერმინი მკვეთრად ნეგატიური მნიშვნელობის მატარებელი იყო როგორც პანკისის ხეობის, ასევე ქვემო ქართლის რესპონდენტებისთვის.

[15] თურქ/მაჰმადიან მესხებად ყოფილი სსრკ-ის მიერ XX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს სსრ-ის მესხეთის რეგიონიდან იძულებით გადასახლებულ მესხებს მოიხსენიებენ, რომლებიც შუა აზიის ქვეყნებში გადაასახლეს. 2007 წლის 11 ივლისს საქართველომ დეპორტირებული მესხების სამშობლოში რეპატრიაციის ვალდებულება აიღო, რომელიც ისტორიული სამართლიანობის აღდგენასა და ღირსეული და ნებაყოფლობითი დაბრუნების პრინციპებს ეფუძნება.

> **„რადგან ქართველები არიან და მუსლიმები არიან, რაღაც სხვანაირად უყურებენ. უჭირს ბევრს იმის მიღება, რომ შეიძლება ქართველი იყო, მაგრამ იყო სხვა რელიგიის წარმომადგენელი“ (ქვემო ქართლი).**

თუმცა, ტერმინი მისაღები აღმოჩნდა რესპონდენტებისთვის მთიანი აჭარიდან, ხოლო ბათუმელ რესპონდენტებში ამ ტერმინმა დებატები და არაერთგვაროვანი შეფასებები გამოიწვია.

> **„ჟურნალისტი აშუქებს, ვთქვათ, ჭელაში ამ მინარეთის ამბავს. აუცილებლად ახსენებს აი, ამ სიტყვას, რომ აჭარიდან ჩამოსახლებული მუსლიმები ითხოვენ ამას და ამას. იქ ხომ აჭარიდან ჩასახლებული ხალხი ცხოვრობს? ისინი ხომ მუსლიმები არიან და მე მაგ კონტექსტში ვთქვი, რომ იქ აჭარიდან ჩასახლებული მუსლიმები ცხოვრობენ“ (აჭარა).**
>
> **„ჩამოსახლებული მუსლიმები ქვემო ქართლში და მესხეთშია, სადაც ჩასახლებულია აჭარიდან მუსლიმები. აჭარიდან მუსლიმიც არის ჩასახლებული, ქრისტიანიც და ათეისტიც“ (აჭარა).**

რამდენიმე რესპონდენტისთვის ბათუმიდან და მთიანი აჭარიდან ასევე მიუღებელი იყო „ალაჰი“ და „მედრესე“. მათი განმარტებით, აღნიშნული ტერმინები არაბული სიტყვებია და ქართულენოვან მედიაში მათი ქართული შესატყვისი თარგმანის („ალაჰი“ – „ღმერთი“, „მედრესე“ – „სასწავლებელი“) გამოყენება უფრო მისაღები იქნებოდა.

**ბ. „სალაფიზმი“, „ფუნდამენტალიზმი“, „ვაჰაბიზმი“, „ტრადიციული ისლამი“, „შიიზმი“, „სუნიზმი“, „სუფიზმი“.** ტერმინები „სუნიზმი“ და „შიიზმი“ ყველა რესპონდენტისთვის თანაბრად მისაღები იყო. თუმცა, არაერთგვაროვანი იყო დამოკიდებულებები და აღქმები ტერმინების „სალაფიტი“, „ფუნდამენტალიზმი“, „ვაჰაბიზმი“, „ტრადიციული ისლამი“ და „სუფიზმი“ მიმართ. აღსანიშნავია, რომ რესპონდენტებისთვის მთიანი აჭარიდან და ქვემო ქართლიდან ტერმინი „სალაფიზმი“ უცნობი იყო. მონაწილეებმა ქვემო ქართლიდან ასევე მოითხოვეს ტერმინის „სუფიზმი“ განმარტება.

| ტერმინები | მისაღები | მიუღებელი | გაუგებარი |
|---|---|---|---|
| სალაფიზმი | პანკისის ხეობა (ბიჭი რესპონდენტები)<br>ბათუმი | პანკისის ხეობა (გოგო რესპონდენტები) | ქვემო ქართლი<br>მთიანი აჭარა |
| ფუნდამენტალიზმი | პანკისის ხეობა (გოგო რესპონდენტები)<br>ბათუმი<br>მთიანი აჭარა | პანკისის ხეობა (ბიჭი რესპონდენტები) | |
| ტრადიციული ისლამი | პანკისის ხეობა (გოგო რესპონდენტები)<br>მთიანი აჭარა | პანკისის ხეობა (ბიჭი რესპონდენტები)<br>ბათუმი | |
| ვაჰაბიზმი | პანკისის ხეობა (გოგო რესპონდენტები)<br>ბათუმი<br>მთიანი აჭარა | პანკისის ხეობა (ბიჭი რესპონდენტები) | |
| სუფიზმი | პანკისის ხეობა (გოგო რესპონდენტები)<br>ბათუმი | მთიანი აჭარა | ქვემო ქართლი |

ტერმინი „ტრადიციული ისლამი“ მიუღებელი იყო ბიჭი მონაწილეებისთვის პანკისის ხეობიდან, ასევე გოგო და ბიჭი რესპონდენტებისთვის აჭარიდან.

> **„ანუ ისლამი ტრადიცია არ არის, ეს არის რელიგია. ტრადიციული ეს შემორჩენილია ისეთ ოჯახებში, რომლებიც ნაკლებად რელიგიურია და უფრო ტრადიციებზეა ჩამოყალიბებული. და ჟურნალისტი ცოტა ჩახედული უნდა იყოს“ (აჭარა).**
>
> **„ტრადიციულს ეძახიან, როდესაც ისლამი და ტრადიციები არის გვერდიგვერდ, ხომ? ან ისლამია ან ტრადიციებია“ (პანკისი).**

ტერმინ „ვაჰაბიზმის“ მიმართ ნეგატიური დამოკიდებულება მხოლოდ პანკისის ხეობიდან ბიჭ რესპონდენტებს ჰქონდათ. მათი განმარტებით, ეს ტერმინი ტერორიზმის კონტექსტში გამოიყენება, რაც მათთვის მიუღებელია.

> **„ამბობენ, რომ ტერორისტები ვაჰაბიტები არიან, ხომ? შესაბამისად, ეხლა გამოდის, რომ ვაჰაბიზმის მიმდევარი თუ არის ადამიანი, მის მიმართ არის ნეგატიური განწყობა“ (პანკისი).**

ტერმინი „ფუნდამენტალიზმი“ ასევე ნეგატიურად შეაფასეს მხოლოდ ბიჭმა რესპონდენტებმა პანკისის ხეობიდან. მათი განმარტებით, „ფუნდამენტალიზმი“ ტერმინ „ვაჰაბიზმთან“ ასოცირდება. რესპონდენტების თქმით, მათთვის ისლამის მიმდინარეობებად დაყოფა მიუღებელია, თუმცა ეს დაყოფა თემშიც არსებობს, რაც მხოლოდ მედიის პასუხისმგებლობა არ არის.

> **„ისლამი ისლამია და მორჩა. არ არსებობს ფუნდამენტალიზმი და ა.შ.“**
>
> **„ანუ ფუნდამენტალური ისლამი არის ვაჰაბიტების შერბილებული ვარიანტი. ზოგადად დაყოფა კი მთლად ჟურნალისტების ბრალი არაა, თვითონ თემშიც არის [დაყოფა]“ (პანკისი).**

## 2.11. მიგრანტებთან დაკავშირებული ტერმინები

ევროპაში მიგრაციის კრიზისის პარალელურად საქართველოში მიგრანტების საკითხებით მანიპულირებას ულტრა-ნაციონალისტური, პოპულისტური ჯგუფები ახდენენ, რაც „ქართული მარშის“[16] წინ განსაკუთრებით გააქტიურდა. მედიის განვითარების ფონდის კვლევის „ანტიდასავლური პროპაგანდა 2016“[17] მიხედვით, ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებიდან მიგრაციის შესახებ დეზინფორმაციები ანტიდასავლურ კონტექსტში ვრცელდებოდა. ანგარიშის თანახმად, ევროკავშირი და ასოცირების ხელშეკრულება მიგრანტების მიღების ვალდებულებასთან და ქვეყანაში ტერორიზმის საფრთხის გაზრდასთან იყო დაკავშირებული. აღნიშული ძალები მიგრანტების საკითხებზე საუბრისას ქსენო-

---

16 „ქართული მარში“ მოძრაობა „ეროვნულების“ ორგანიზებით 2017 წლის 14 ივლისს აღმაშენებლის გამზირზე გაიმართა და „არალეგალი უცხოელების“ წინააღმდეგ იყო მიმართული. მარშის მონაწილეები აზიური და აფრიკული წარმომავლობის ეროვნებებს საქართველოს ტერიტორიის დატოვებისკენ მოუწოდებდნენ. „ქართულმა მარშმა“ 2017 წლის 12 სექტემბერს აქცია ფონდი „ღია საზოგადოება-საქართველოს“ წინააღმდეგ გამართა და საქართველოში ჯორჯ სოროსის საქმიანობის აკრძალვა მოითხოვა. დამატებით იხ: Facebook-ში „ქართული მარშის“ წინ ულტრანაციონალისტური ჯგუფების მონიტორინგი, მედიის განვითარების ფონდი, https://goo.gl/7i4m38

17 ანტიდასავლური პროპაგანდა 2016, მედიის განვითარების ფონდი,https://goo.gl/tHGVgP

ფობიურ და დისკრიმინაციულ ტერმინებს იყენებენ, რომელთა ნაწილიც ჩვენ ფოკუს ჯგუფებისთვის დამოკიდებულებების შესასწავლად შევარჩიეთ.

რესპონდენტებს მიგრანტებთან დაკავშირებით, 9 ტერმინი დაურიგდათ, რომლებიც მათ „სრულიად მისაღებ" და „სრულიად მიუღებელ" 2 კატეგორიად დააჯგუფეს.

9 ტერმინიდან მხოლოდ ერთი, „სუნიანი მიგრანტი" იყო ყველა მონაწილისთვის კატეგორიულად მიუღებელი. დანარჩენი ტერმინების მიმართ რეგიონულ ჭრილში განსხვავებული მიდგომები დაფიქსირდა.

### 1. ყველა რეგიონში თანაბრად მიუღებელი ტერმინები

| მიუღებელი ტერმინი | ალტერნატიული, მისაღები ტერმინი |
| --- | --- |
| სუნიანი მიგრანტი | მიგრანტი |

**ა. „ჩამოსულები", „ჩამოსახლებული მუსლიმები", „უცხოტომელი", „უცხოელი", „მიგრანტი".**

| ტერმინები | მისაღები | მიუღებელი | ალტერნატიული, მისაღები ტერმინი |
| --- | --- | --- | --- |
| ჩამოსულები | პანკისის ხეობა (ბიჭი რესპონდენტები) | პანკისის ხეობა (გოგო რესპონდენტები)<br>აჭარა<br>ქვემო ქართლი | მიგრანტი |
| ჩამოსახლებული მუსლიმები | პანკისის ხეობა (ბიჭი რესპონდენტები)<br>მთიანი აჭარა | პანკისის ხეობა (გოგო რესპონდენტები)<br>ბათუმი | მიგრანტი |
| უცხოტომელი | პანკისის ხეობა (ბიჭი რესპონდენტები) | პანკისის ხეობა (გოგო რესპონდენტები)<br>აჭარა | უცხოელი |

ტერმინი „ჩამოსულები", პანკისის ხეობიდან რამდენიმე მონაწილის გარდა, ყველა რესპონდენტისთვის ნეგატიური მნიშვნელობის მატარებელი ტერმინი იყო. მის ალტერნატივად მონაწილეებმა ქვემო ქართლიდან, ბათუმიდან და მთიანი აჭარიდან ტერმინი „მიგრანტი" დაასახელეს.

ტერმინის „ჩამოსახლებული მუსლიმები" მიმართ არაერთგვაროვანი დამოკიდებულებები გამოვლინდა პანკისის ხეობასა და აჭარაში ჩატარებულ ფოკუს ჯგუფებში. ტერმინი მისაღები აღმოჩნდა პანკისის ხეობის ბიჭი რესპონდენტებისთვის. ტერმინი მიუღებელი იყო რესპონდენთა უმრავლესობისთვის აჭარიდან, თუმცა მცირე ნაწილი ამ მოსაზრებას არ ეთანხმებოდა.

> **„თუ სადმე დევნიან და ჩამოსახლდნენ მუსლიმები, ჩვეულებრივი მოვლენაა „ჩამოსახლდნენ მუსლიმები". მისაღები ტერმინია" (აჭარა).**

**„რა საჭიროა მუსლიმებზე ხაზგასმა, ვერ გავიგე. რატომ ითხოვს სიტუაცია მუსლიმების ხსენებას, ეს ვერ გავიგე“ (აჭარა).**

**ბ. „ზღვარგადასულად მოქცეული სტუმრები“.** ტერმინი „ზღვარგადასულად მოქცეული სტუმრები“, რომელიც მკვეთრად ნეგატიური მნიშვნელობის მატარებელია და უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიმართ ფობიურ განწყობებს აღვივებს, ჯგუფური დისკუსიების მონაწილეებმა არაერთგვაროვნად შეაფასეს. ტერმინი მიუღებელი იყო რესპონდენტებისთვის პანკისის ხეობიდან და ქვემო ქართლიდან, ასევე ბათუმელი რესპონდენტების მცირე ნაწილისთვის. რესპონდენტებისთვის მთიანი აჭარიდან და უმეტესი ბათუმელი მონაწილეებისთვის ტერმინი მისაღები იყო და მედია საშუალებებში მის გამოყენებას ეთანხმებოდნენ.

**„ჩემზე თუ არის საუბარი, ჩემთვის შეურაცხმყოფელია, მაგრამ თუ ვიღაცა სხვაზეა, მაშინ არ არის. იმიტომ, რომ შეიძლება ასე მოიქცეს“.**

**„ამ სტუმრებს არაფერი არ დაუშავებიათ, ზღვარგადასულებად იმიტომ მიაჩნიათ, რომ უბრალოდ მუსლიმები არიან“.**

**„ჩემი მოსაზრებაა, რომ თუ სტუმარი ზღვარს გადავა, ზღვარგადასულად უნდა მოვიხსენიოთ“ (აჭარა).**

**გ. „არალეგალი უცხოელები“, „არალეგალი კრიმინალი უცხოელები“.** ტერმინი „არალეგალი უცხოელი“ ფოკუს ჯგუფების ყველა მონაწილისთვის მისაღები იყო. რესპონდენტები მსჯელობდნენ საზღვრის უკანონოდ გადაკვეთაზე, როგორც შემდგარ ფაქტზე და ცდილობდნენ ამ ფაქტის გასაშუქებლად მედიისთვის მეტნაკლებად ნეიტრალური ტერმინი შეერჩიათ. დისკუსიების დროს წარმოიშვა „არალეგალი უცხოელის“ ალტერნატიული ტერმინები, როგორიცაა „არალეგალი მუსლიმი“ და „არალეგალი თურქი“ (ეთნიკურობაზე მითითების მაგალითი). რესპონდენტებისთვის ამ კონტექსტში რელიგიის ან ეთნიკურობის მითითება მიუღებელი იყო, შესაბამისად ტერმინი „არალეგალი უცხოელი“ შედარებით ნეიტრალურ და მისაღებ ტერმინად შეაფასეს.

**„არალეგალი უცხოელები იყვნენ ებრაელები გერმანიაში, ახლა მუსლიმები მიდიან ევროპაში და არალეგალი მუსლიმი არ შეიძლება და უცხოელი კი, ბატონო“.**

**„არალეგალი თურქი უფრო ცუდია, არალეგალი უცხოელი ჯობია“ (ქვემო ქართლი).**

ტერმინი „არალეგალი კრიმინალი უცხოელი“ უმრავლესობისთვის მიუღებელი ტერმინი იყო, თუმცა რესპონდენტების ნაწილი აჭარიდან ამ მოსაზრებას არ ეთანხმებოდა.

**„შეიძლება იყოს ვინმე, არალეგალურად შემოვიდეს, ჩაიდინოს კრიმინალი და იყოს უცხოელი. შეიძლება“ (აჭარა).**

# III. გზამკვლევი

## 1. მედიის თვითრეგულირება

### მთავარი მიგნებები

- სამიზნე ჯგუფების – საქართველოს მოქალაქე მუსლიმების – ინფორმირებულობა მედიის მარეგულირებელი ქცევის კოდექსებებისა და თვითრეგულირების ორგანოებში დისკრიმინაციული გაშუქების გასაჩივრების მექანიზმის შესახებ დაბალია;
- მაუწყებლობის კანონის ნორმა, რომელიც გასაჩივრების უფლებას მხოლოდ „დაინტერესებულ პირს“ ანიჭებს, პრაქტიკაში ზოგჯერ ვიწროდ განიმარტება და შესაძლებლობას ართმევს არასამთავრობო და მედია პროფესიულ ორგანიზაციებს, ეფექტიანად დაიცვან უმცირესობების უფლებები;
- კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისია ეფექტიან ზედამხედველობას არ უწევს თვითრეგულირების მექანიზმის დანერგვას და მაუწყებელთა საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულებას.

**რეკომენდაციები საქართველოს პარლამენტს / კომუნიკაციის მარეგულირებელ კომისიას / არასამთავრობო ორგანიზაციებს**

- საქართველოს პარლამენტმა გადახედოს კანონში "დაინტერესებული პირის" ცნების დეფინიციას და გააფართოვოს ის საჯარო ინტერესის საკითხებთან დაკავშირებულ დავებზე.
- კომუნიკაციების მარეგულირებელმა კომისიამ უზრუნველყოს საინფორმაციო კამპანია მაუწყებელთა ქცევის კოდექსის პოპულარიზაციის და გასაჩივრების მექანიზმის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით; არასამთავრობო ორგანიზაციებმა ხელი შეუწყონ საზოგადოების ინფორმირების პროცესს;
- მარეგულირებელმა კომისიამ საკუთარ ყოველწლიურ ანგარიშში ასახოს მაუწყებლების მიერ კომისიისთვის წარდგენილი თვითრეგულირების აუდიტის მონაცემები და ეფექტიანი კონტროლი გაუწიოს მაუწყებელთა საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულებისა და საჯარო პლატფორმებზე სათანადო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საკითხს;

# 2. მედია გაშუქება

## 2.1. რელიგიური დღესასწაულები, ინკლუზიური გაშუქება

### მთავარი მიგნებები

- რელიგიურ დღესასწაულებს მედია მეტწილად მაღალი რანგის პოლიტიკური თანამდებობის პირების მილოცვების, რელიგიურ ცერემონიებზე თუ სხვა ოფიციალურ ღონისძიებებზე მათი დასწრების დროს აშუქებს;
- თავად რელიგიური თემის შეხედულებები ასეთ მასალებში ხშირად წარმოდგენილი არ არის და მათ ნაცვლად მხოლოდ საჯარო პირები საუბრობენ, რასაც ფოკუს ჯგუფის მონაწილეები არასრულ გაშუქებად მიიჩნევენ;
- ჟურნალისტურ მასალებში ხშირად თავად რელიგიური დღესასწაულის არსი გადმოცემული არ არის.

### რეკომენდაციები მედიისთვის

- გაითვალისწინეთ, რომ რელიგიური თუ ეთნიკური ჯგუფების თემატიკის გაშუქებისას, ამ თემების წარმომადგენლები გასაშუქებელი მასალის სუბიექტები არიან და არა ობიექტები. მნიშვნელოვანია, კომენტარი თხოვოთ თავად იმ თემის წარმომადგენლებს, ვისაც უშუალოდ ეხება დღესასწაული და ისინი თქვენი მასალის სუბიექტად აქციოთ;
- დაუთმეთ ტრიბუნა მათ, ვისი ხმაც საზოგადოებაში არ/ან ნაკლებად ისმის;
- ინკლუზიური გაშუქება იმასაც გულისხმობს, რომ სხვადასხვა კონფესიების დღესასწაულებით მხოლოდ ხელისუფლების წარმომადგენელთა დღის წესრიგის მიხედვით არ დაინტერესდეთ და ეს თემები სისტემატურად და სიღრმისეულად გააშუქოთ.
- იმისათვის, რომ თავიდან აიცილოთ განსხვავებული იდენტობის ჯგუფების საზოგადოებისგან გარიყვა და პირიქით, მათ ინტეგრირებას შეუწყოთ ხელი, შეეცადეთ სხვადასხვა თემის წარმომადგენლების კომენტარები საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან სხვა საკითხებზეც გააშუქოთ. ასეთი მასალები დაეხმარება საზოგადოებას განსხვავებულ ჯგუფებთან საერთო დაინახოს, რაც მათ ინტეგრირებას შეუწყობს ხელს.

## 2.2. საკულტო ნაგებობები

### მთავარი მიგნებები

- განსხვავებული კონფესიების საკულტო ნაგებობებთან დაკავშირებულ საკითხებს მედია მეტწილად მაშინ აშუქებს, როდესაც ან დომინანტ რელიგიასთან საკუთრებითი დავაა სახეზე ან სალოცავის აშენების მიზანშეწონილობაა საჯარო განსჯის საგანი;
- ეს თემატიკა ზოგჯერ ნაცვალგების პრინციპით განიხილება და დაკავშირებულია არა საქართველოს მოქალაქეთა კონსტიტუციურ უფლებასთან, არამედ მეზობელ სახელმწიფოსთან და იქ არსებულ მართლმადიდებლურ ძეგლებთან;

- სადავო საკულტო ნაგებობის საკითხების გაშუქებისას, მედია ზოგჯერ მუსლიმი თემის ეთნიკური ნიშნით დაყოფას ახდენს (ქართველი მუსლიმი vs. არაქართველი მუსლიმი; ჩვენ vs. ისინი), რაც კიდევ უფრო აღრმავებს მათ მიმართ გაუცხოებას;
- ფოკუს ჯგუფების მონაწილეებმა ყველა რეგიონში განსაკუთრებით მტკივნეულად აღიქვეს საკულტო ნაგებობებთან დაკავშირებით ჟურნალისტის სუბიექტური ინტერპრეტაციები და საქართველოს მოქალაქე მუსლიმთა ეთნიკური ნიშნით დაყოფა.

### რეკომენდაციები მედიისთვის

- გაითვალისწინეთ, რომ საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული აღმსარებლობის თავისუფლება და საკუთრების უფლება თანაბრად ვრცელდება საქართველოს ყველა მოქალაქეზე და ეთნიკური თუ რელიგიური დომინაცია თანასწორობის საკითხების საპირწონე ვერ იქნება;
- დაუშვებელია საქართველოში არსებული საკულტო ნაგებობების საკითხის მეზობელ სახელმწიფოებთან ნაცვალგების პრინციპით განხილვა, რადგან სახელმწიფოს ეკისრება პოზიტიური ვალდებულება, უზრუნველყოს საკუთარი მოქალაქეების უფლებების დაცვა, განურჩევლად მათი რელიგიური, ეთნიკური თუ სხვა იდენტობისა;
- საკულტო ნაგებობების საკუთრებითი დავის ან მშენებლობის ნებართვის უფლების შემთხვევაში, მნიშვნელოვანია სამართლებრივი და უფლებრივი კონტექსტის ჩვენება;
- ვინაიდან რელიგია ადამიანის პირად გრძნობებს უკავშირდება, თავი აარიდეთ სუბიექტურ ინტერპრეტაციებს და მხოლოდ ფაქტებზე დაყრდნობით საზოგადოების ინფორმირების ამოცანით შემოიფარგლეთ;
- ნუ განიხილავთ საკითხს ისტორიული მტრობის კუთხით და მხოლოდ სანდო ისტორიულ ფაქტებს, შენობების არქიტექტურულ მახასიათებლებს და კვალიფიციური ექსპერტების შეფასებებს დაეყრდენით;
- ნუ დაყოფთ მუსლიმებს ეთნიკური ნიშნით და მკვიდრ და არამკვიდრ ჯგუფებად;
- საკულტო ნაგებობის მშენებლობის ან სადავო ნაგებობის საკუთრებაზე პრეტენზიის საფრთხეებთან დაკავშირება დაუშვებელია. გახსოვდეთ, რომ ამით თქვენ რადიკალიზაციის პროცესს უწყობთ ხელს და კიდევ უფრო აღრმავებთ საზოგადოებაში არსებულ ფობიებს განსხვავებული იდენტობის ჯგუფების მიმართ;
- თუ პირადი მრწამსი ხელს გიშლით რელიგიური თემატიკა ნეიტრალურად, ემოციების გარეშე გააშუქოთ, უმჯობესია, განაცხადოთ ამ ინტერესთა კონფლიქტის შესახებ და თემის გაშუქება სხვას დაუთმოთ.

## 2.3. ისტორიული ტრავმა

### მთავარი მიგნებები

- ფოკუს ჯგუფების მონაწილეებისთვის აჭარიდან და ქვემო ქართლიდან განსაკუთრებით მტკივნეული მათი რელიგიური უფლებებისა და გრძნობების ისტორიულ ფაქტებთან დაკავშირება იყო.

- როგორც კვლევები და მედია მონიტორინგის შედეგები ცხადყოფს, საქართველოს მუსლიმი თემის დღევანდელი საკითხები მედიასა და საჯარო დისკურსში ხშირად ოსმალეთის და სპარსეთის მიერ საქართველოს ისტორიულ დაპყრობებთან კავშირში განიხილება;
- ისტორიული ტრავმის გაღვივება იმ პოლიტიკური ჯგუფების ნარატივის ნაწილია, ვინც საქართველოს თანამედროვე უსაფრთხოების გამოწვევებიდან (რუსეთის ოკუპაცია) აქცენტის გადატანას ისტორიულ ოკუპაციაზე (ოსმალეთის, სპარსეთის ოკუპაცია) ცდილობს და ისტორიულ საფრთხეებს თანამედროვე გამოწვევად წარმოაჩენს;
- მედიის ნაწილი ხშირად პოლიტიკოსთა დღის წესრიგს მიჰყვება და ისტორიულ ფაქტებს თანამედროვე კონტექსტში ემოციურად წარმოაჩენს.

### რეკომენდაციები მედიისთვის

- ნუ მიჰყვებით იმ პოლიტიკოსთა დღის წესრიგს, რომელთა რიტორიკაც სიძულვილის ენის გაღვივებას და საზოგადოების დაყოფას უწყობს ხელს. კრიტიკულად მიუდექით მათ შეფასებებს და დასვით კითხვები ისტორიული ფაქტების თანამედროვე კონტექსტში "გაცოცხლების" მიზანშეწონილობის შესახებ;
- ნუ გააშუქებთ საქართველოს მოქალაქე მუსლიმების დღევანდელ პრობლემებს წარსულის გადმოსახედიდან, ისტორიული მტრობის კონტექსტში და ემოციებით. ფოკუსირება მოახდინეთ მიმდინარე მოვლენებზე და ისტორიულ ბექგრაუნდს მხოლოდ იმ შემთხვევაში მოუხმეთ, თუ ეს პირდაპირ უკავშირდება განსახილველ საკითხს;
- გაითვალისწინეთ, თუ როგორ შეიძლება აისახოს ისტორიული ტრავმის გაღვივება საქართველოს მუსლიმი იდენტობის ადამიანების ყოველდღიურ ცხოვრებაზე და საზოგადოების დამოკიდებულებებზე მათ მიმართ;
- მედიაში და საზოგადოებრივ დისკურსში არსებული თურქოფობიული/ისლამოფობიური განწყობების გათვალისწინებით, შეეცადეთ გააშუქოთ როგორც ორმხრივი სახელმწიფოთაშორისი, ასევე ხალხთა შორისი ურთიერთობები მეზობელ თურქეთთან, საინვესტიციო გარემო, თანამშრომლობა სხვადასხვა საერთაშორისო ფორმატებში და ა.შ.

## 2.4. სიძულვილის ენა – საჯარო და კერძო პირები

### მთავარი მიგნებები

- ფოკუს ჯგუფის მონაწილეთა შეხედულებები, უნდა გააშუქოს თუ არა მედიამ საჯარო პირთა სიძულვილის ენა, ორად გაიყო. ნაწილის აზრით, ასეთი გაშუქება კიდევ უფრო აღრმავებს შეუწყნარებლობას განსხვავებული ეთნიკური და რელიგიური ჯგუფების მიმართ; მეორე ნაწილის აზრით კი, ეს ეხმარება საზოგადოებას – გააკეთოს ინფორმირებული არჩევანი;
- სიძულვილის ენის ტირაჟირება მედიაში მხოლოდ საჯარო პირთა განცხადებებით არ შემოიფარგლება;
- საჯარო პირების სიძულვილის ენის გაშუქებისას, მედია ყოველთვის არ იცავს პროფესიულ სტანდარტს.

### რეკომენდაციები მედიისთვის

- გაითვალისწინეთ, რომ სიძულვილის ენის გაშუქებისას მნიშვნელოვანია არა განცხადების სკანდალურობა, არამედ სპიკერის სტატუსი, მისი აუდიტორიაზე წვდომა და არსებული კონტექსტი;
- თუ სპიკერი საჯარო პირია, მედიამ მისი განცხადება უნდა გააშუქოს, რათა საზოგადოებას ჰქონდეს ინფორმაცია პოლიტიკოსის ან საჯარო მოხელის ხედვისა და რელიგიური ნეიტრალობის შესახებ;
- ამასთანავე მნიშვნელოვანია, მედიამ ასეთი გაშუქება ან სხვა რესპონდენტების საპირწონე კომენტარებით დააბალანსოს, სადაც საკითხი ადამიანის უფლებების პერსპექტივიდან იქნება განხილული, ან აღნიშნოს, თუ რა სახის განცხადებას აკეთებს ესა თუ ის პირი (მაგალითად, X პარტიის წარმომადგენელმა ქსენოფობიური/ისლამოფობიური კომენტარი გააკეთა);
- ნუ გააშუქებთ არასაჯარო პირების სიძულვილის ენის შემცველ განცხადებებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გაშუქება საზოგადოებაში არსებული შეუწყნარებლობის გარემოს ჩვენებას ისახავს მიზნად და საკითხის პრობლემატურობას აჩვენებს;
- განსაკუთრებით პრობლემურია, როცა მედია კერძო პირთა სიძულვილის ენის შემცველ კომენტარებს უცხოელთა და მიგრანტთა მიმართ სხვადასხვა სოციალურ პრობლემებთან ან საკუთრებით დავებთან დაკავშირებით ტირაჟირებს. მაგალითად, მიწის საკუთრების სადავო საკითხის გაშუქებისას, მნიშვნელოვანია, მედიამ ფაქტებზე და არა ემოციებზე დაყრდნობით გადმოსცეს საქმის სამართლებრივი ასპექტები, რაც აუდიტორიას საკითხის არსში გარკვევაში დაეხმარება და თავი აარიდოს აქცენტის გადატანას სხვადასხვა ერებს შორის ისტორიულ მტრობაზე (მაგალითად, „ამ მიწისთვის ჩვენი წინაპრები მომხვდურებთან სისხლს ღვრიდნენ" და ა.შ.).

## 2.5. რელიგიური და ეთნიკური კუთვნილების დაკავშირება კრიმინალთან

### მთავარი მიგნებები

- კრიმინალის გაშუქების დროს პირის ეთნიკური ან რელიგიური კუთვნილების იდენტიფიცირების მიმართ ფოკუს ჯგუფის მონაწილეთა აღქმები და მგრძნობელობა განსხვავებული იყო;
- ნაწილი, არსებულ კონტექსტში, ეთნიკური, ეროვნული და რელიგიური იდენტობის მითითებას დაუშვებლად მიიჩნევდა, რადგან ეს უმცირესობების მიმართ აჩენს სტიგმას, რომ ისინი კრიმინალები და დამნაშავეები არიან;
- ნაწილის აზრით კი, საზოგადოების სრულფასოვანი ინფორმირებისთვის ეროვნული იდენტობის მითითება პრობლემას არ წარმოადგენს.

### რეკომენდაციები მედიისთვის

- ნუ მიუთითებთ პირის ეთნიკურ, რელიგიურ ან ეროვნულ იდენტობას კრიმინალის გაშუქებისას, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ეს პირდაპირ უკავშირდება გასაშუქებელ თემას და ინფორმაცია მნიშვნელოვანია საკთხის არსში გასარკვევად;
- კრიმინალის იდენტობასთან დაკავშირებით მედია ხელს უწყობს სტერეოტიპის დამკვიდრებას, რომ ამა თუ იმ ჯგუფის წარმომადგენლები კრიმინალები არიან. გახსოვდეთ, რომ დანაშაულს არ აქვს ეროვნება და ის ნებისმიერ საზოგადოებაში შეიძლება მოხდეს;

- თუ გარკვეული ჯგუფების დამნაშავეებად წარმოჩენას პოლიტიკური აქტორები ხელოვნურად ცდილობენ, უკრიტიკოდ ნუ მოახდენთ მათი განცხადებების ტირაჟირებას და რეალური გარემოებების შესახებ საზოგადოებას ინფორმაცია ფაქტებზე დაყრდნობით მიაწოდეთ;
- განსაკუთრებული სიფრთხილე გამოიჩინეთ კრიმინალთან დაკავშირებული სტატისტიკის დამუშავებისას: საზოგადოებისთვის ნახევრადსიმართლის ან ფაქტების კონტექსტიდან ამოგლეჯილად მიწოდება დეზინფორმაციის რისკებს შეიცავს (მაგალითად, თუ აშუქებთ უცხო ქვეყნის მოქალაქის მიერ სექსუალური ძალადობის შემთხვევას და ბექგრაუნდში უთითებთ უცხოელების მიერ ჩადენილი დანაშაულის საერთო სტატისტიკას, რომელიც ერთდროულად მძიმე და მსუბუქ დანაშაულებსაც შეიცავს, თქვენი გაშუქება მანიპულაციური იქნება და ხელს შეუწყობს აზრის დამკვიდრებას, რომ უცხოელები სექსუალური მოძალადეები არიან).

## 2.6. ტერორიზმის გაშუქება

### მთავარი მიგნებები

- რესპონდენტთა უმრავლესობა თვლის, რომ მედიამ არ უნდა მოახდინოს ტერორისტთა მუქარის შემცველი ვიდეო ან სხვა სახის მიმართვების ტირაჟირება, რადგან ამით ტერორისტები მედიის ინსტრუმენტალიზაციის და საზოგადოებაში შიშების დათესვის ამოცანას ერთდროულად აღწევენ;
- ტერორისტთა მიერ გავრცელებულ ვიდეობზე ქუჩის გამოკითხვის ჩატარება რესპონდენტთა უმრავლესობისთვის ასევე მიუღებელი აღმოჩნდა;
- ფოკუს ჯგუფების მონაწილეებისთვის ასევე კატეგორიულად მიუღებელი იყო ისლამის ტერორიზმთან დაკავშირება (იხ. ტერმინოლოგია) და ბავშვების სახეების იდენტიფიცირება მასალაში, რომელიც ე.წ. „ისლამურ სახელმწიფოს“ მიერ არასრულწლოვანთა წვრთნებს შეეხებოდა.

### რეკომენდაციები მედიისთვის

- გაიხსენეთ მარგარეტ ტეთჩერის სიტყვები – „საჯაროობა ტერორიზმის ჟანგბადია“ და მეტი სიფრთხილე გამოიჩინეთ ტერორიზმის საკითხების გაშუქებისას, რათა უნებლიედ დაინტერესებულმა ჯგუფებმა მედიის ინსტრუმენტალიზაცია არ მოახდინონ და მიაღწიონ საკუთარი მოტივების აღიარების და შიშის დათესვის სასურველ შედეგს;
- ნუ გაავრცელებთ ტერორისტების მოწოდებებს და ნუ მოახდენთ მათი მიზნების პოპულარიზაციას;
- Vox-pop-ების ჩატარება ტერორისტთა მიმართვებთან დაკავშირებით მიზანშეუწონელია, რადგან ეს შიშს კიდევ უფრო მეტად თესავს და ტერორისტთა მიზანს ემსახურება;
- საკითხი მხოლოდ საჯარო ინტერესის კუთხით გააშუქეთ, რა დროსაც ვიზუალური მასალის გამოყენება მხოლოდ რედაქტირებული სახით უნდა მოხდეს;
- ნუ მოახდენთ ბავშვების იდენტიფიცირებას ტერორიზმთან დაკავშირებული საკითხების გაშუქებისას;

- ასევე დაუშვებელია დანაშაულზე პასუხისმგებლობის ეჭვმიტანილის ოჯახის წევრებსა და მთელ თემზე გადანაწილება;
- ნუ მოახდენთ ტერორისტთა იდეალიზებას და ნურც ისეთ ლექსიკას გამოიყენებთ მათ მიმართ, რაც რადიკალიზაციას შეუწყობს ხელს (იხ. დეტალური რეკომენდაციები ტერმინოლოგიის ნაწილში. გვ. 57).

## 2.7. ტერმინოლოგია

ტერმინოლოგიური ლექსიკონი მოცემულია დანართი #1-ში.

1. რელიგიური/ეთნიკური უმცირესობები

### მთავარი მიგნებები

- რესპონდენტთა უმრავლესობისთვის ყველაზე მტკივნეული რელიგიურ/ეთნიკურ იდენტობასთან დაკავშირებული ქსენოფობიური ტერმინები იყო;
- უკმაყოფილება გამოიწვია მედიაში ისლამთან დაკავშირებული ტერმინების არასწორი ფორმით გამოყენებამ, როგორიცაა „მაჰმადიანი", „რამაზანი" და ა.შ.;
- რესპონდენტებისთვის მიუღებელი იყო მედია საშუალებებში საქართველოს მუსლიმების ეთნიკური ნიშნით (ქართველი vs. არაქართველი მუსლიმი) დაყოფა.

### რეკომენდაციები მედიისთვის

- მოიხსენიეთ რელიგიური/ეთნიკური ჯგუფები იმ ფორმით, რა ფორმითაც ისინი საკუთარი თავის იდენტიფიცირებას ახდენენ.
- ნუ გამოიყენებთ ტერმინს **„თათარი"** საქართველოში მცხოვრები მუსლიმების მიმართ. მის ნაცვლად გამოიყენეთ რელიგიური/ეთნიკური ჯგუფების კონკრეტული სახელწოდებები, როგორიცაა „ეთნიკურად აზერბაიჯანელი საქართველოს მოქალაქე", „ეთნიკურად ქისტი საქართველოს მოქალაქე", „პანკისის ხეობის მკვიდრი", „მუსლიმი", „მუსლიმი თემი/მრევლი/საზოგადოება".
- ნუ გამოიყენებთ ტერმინს **„მაჰმადიანი"** მუსლიმი თემის მიმართ. ფოკუს ჯგუფების მონაწილეთა უმრავლესობისთვის აღნიშნული ტერმინი შეურაცხმყოფელი იყო, რადგანაც „მაჰმადიანი" არა მუსლიმს, არამედ „მუჰამადის მიმდევარს" ნიშნავს, რაც მათ რელიგიას ეწინააღმდეგება. მის ნაცვლად გამოიყენეთ ტერმინები „მუსლიმი", „მუსლიმი თემი / მრევლი / საზოგადოება".
- გამოიყენეთ ისლამთან და რელიგიურ დღესასწაულებთან დაკავშირებული ტერმინები სწორი ფორმით, როგორიცაა **„რამადანი"** „რამაზანის" ნაცვლად.
- ნუ გამოიყენებთ ტერმინს **„თურქი / მაჰმადიანი მესხები"** XX საუკუნის 40-იან წლებში საბჭოთა კავშირის მიერ საქართველოდან იძულებით გადასახლებული მესხების მიმართ. მის ნაცვლად გამოიყენეთ ტერმინები „დეპორტირებული მესხები", „იძულებით გადასახლებული მესხები", „მუსლიმი მესხები".
- საქართველოს მოქალაქე მუსლიმების ეთნიკური ნიშნით დაყოფა – ნუ გამოიყენებთ ისეთ ლექსიკას, რომელიც ხელს შეუწყობს საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების მარგინალიზებას. ეთნიკური იდენტობის აღნიშვნის აუცილებლობის შემთხვევაში გამოიყენეთ შემდეგი ფორმულირება „ეთნიკურად აზერბაიჯანელი / ქისტი საქართველოს მოქალაქე".

## 2. მიგრანტები

### მთავარი მიგნებები:

- ქართულ ტაბლოიდურ მედიაში ევროპაში მიგრაციის კრიზისის საკითხები საქართველოში ანტიდასავლური პროპაგანდის ტირაჟირების მიზნით გამოიყენება, რომელიც არა მხოლოდ ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე კონფლიქტების გამო უსაფრთხოების მიზნით საქართველოში ჩამოსული მცირე რაოდენობის მიგრანტების მიმართ ვრცელდება, არამედ აზიისა და აფრიკის ქვეყნების იმ მოქალაქეების მიმართ, რომლებიც საქართველოში ლეგალურად მუშაობენ და ცხოვრობენ.
- ქსენოფობიური ტერმინების მიმართ ფოკუს ჯგუფების მონაწილეთა დამოკიდებულებები არაერთგვაროვანი იყო და რეგიონულ ჭრილში განსხვავებული მიდგომები გამოვლინდა.
- რესპონდენტთა ნაწილი მიგრანტებისა და უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიმართ მედია საშუალებებში გავრცელებულ ქსენოფობიურ და დისკრიმინაციულ განწყობებს იზიარებენ.

### რეკომენდაციები:

მიგრანტები და ლტოლვილები ერთ-ერთი ყველაზე მოწყვლადი ჯგუფია, რომელიც ხშირად განიცდის სოციალურ და ეკონომიკურ უგულებელყოფას, უსაფრთხოების ნაკლებობას, ამასთან ხშირად ხდებიან პოპულისტური, ულტრა-ნაციონალისტური ჯგუფების მსხვერპლი. ასეთ ვითარებაში, მედიას ენიჭება პასუხისმგებლობა, კომპლექსურად და სიღრმისეულად გააანალიზოს პრობლემა და მიგრაციის საკითხები ეთიკური პრინციპების დაცვით გააშუქოს, რათა ამ ჯგუფის მარგინალიზებას და სტერეოტიპიზაციას არ შეუწყოს ხელი.

- **არალეგალი:** ნუ გამოიყენებთ ტერმინს საქართველოში მცხოვრები ყველა უცხო ქვეყნის მოქალაქის მიმართ, თუ სახეზე არ არის საზღვრის უკანონო კვეთისა და ქვეყანაში არალეგალურად ცხოვრების ფაქტი;
- **ჩამოსულები/ჩამოსახლებული მუსლიმები:** ნუ გამოიყენებთ აღნიშნულ ტერმინებს საქართველოში მცხოვრები უცხოელების მიმართ, რადგან ისინი ნეგატიური მნიშვნელობის მატარებელია. მათ ნაცვლად, საჭიროების შემთხვევაში, აღნიშნეთ პირის კონკრეტული მოქალაქეობა ან გამოიყენეთ ტერმინი **„მიგრანტი“** და ნუ მიუთითებთ პირის რელიგიურ კუთვნილებას, თუ ეს პირდაპირ არ უკავშირდება გასაშუქებელ თემატიკას.
- **უცხოტომელი:** მის ნაცვლად გამოიყენეთ ტერმინები **„უცხოელი“, „უცხო ქვეყნის მოქალაქე“**.
- **იძულებით გადაადგილებული პირი, ლტოლვილი:** ნუ გამოიყენებთ ტერმინებს ერთმანეთის სინონიმებად, რადგან მათ განსხვავებული მნიშვნელობა აქვთ. იძულებით გადაადგილებული პირი, ლტოლვილისგან განსხვავებით არ ტოვებს საკუთარი ქვეყნის საზღვრებს და მას გადაადგილება იძულებით, საკუთარ ქვეყანაში უწევს.
- **სიძულვილის ენა:** ყურადღებით მოეკიდეთ თითოეულ სიტყვას და დაფიქრდით, რა გავლენა შეიძლება იქონიოს მან როგორც სამიზნე ჯგუფზე, ასევე აუდიტორიის დამოკიდებულებებზე ჯგუფის მიმართ. ნუ გამოიყენებთ სიძულვილის ენას მხოლოდ იმის გამო, რომ ეს პირები საქართველოს მოქალაქეები არ არიან და მათ განსხვავებული იდენტობა აქვთ.

## 3. ტერორიზმი

### მთავარი მიგნებები:

- ფოკუს ჯგუფების მონაწილეთათვის ტერორიზმის საკითხების გაშუქების დროს იმ ტერმინის გამოყენება იყო მტკივნეული, რომელთა მეშვეობით ტერორიზმის ის-ლამთან დაკავშირება ხდება;
- ტერორიზმის ისლამთან დაკავშირება ტერორისტებს რელიგიურ ლეგიტიმაციას სძენს, რაც მათ რეალურად არ გააჩნიათ;
- რესპონდენტებმა განსაკუთრებით იმ ტერმინებზე გაამახვილეს ყურადღება, რო-მელთა ინტერპრეტაციაც ტერორისტული ჯგუფების მიერ მათი რეალური რელიგი-ური მნიშვნელობისგან მკვეთრად განსხვავდება.

### რეკომენდაციები მედიისთვის:

- **ისლამისტი** – ტერმინის გამოყენება რეკომენდირებული არ არის მებრძოლების და ექსტრემის-ტების აღსანიშნად, რადგანაც ყურანს, როგორც პოლიტიკურ მოდელს მუსლიმთა ფართო წრე-ები ხედავენ და მათი რიცხვი მხოლოდ მებრძოლებით არ შემოიფარგლება. „ისლამისტის" ნაც-ვლად, გაშუქების დროს რეკომენდირებულია ტერმინების **„ამფეთქებელი", „თავდამსხმელი", „შეიარაღებული პირი", „გამტაცებელი", „მეამბოხე"** და **„მებრძოლი"** გამოყენება. ასევე, ტერო-რისტული/სამხედრო/ექტრემისტული დაჯგუფებების სპეციფიური და კონკრეტული სახელების გამოყენება, როგორიცაა ალ-კაიდას/ჰეზბოლას/ტალიბანის და ა.შ. მებრძოლები.
- **ისლამური სახელმწიფო** – ტერმინი აბუ ბაქრ ალ-ბაღდადის მიერ სირიასა და ერაყში ჩამოყა-ლიბებული ორგანიზაციის აღსანიშნად გამოიყენება, რომლის სრული სახელიც არის „ისლამუ-რი სახელმწიფო სირიასა და ერაყში", თუმცა მედიაში სახელის ამგვარად მოხსენიება პრობ-ლემატურია, რადგანაც აღნიშნული ტერორისტული ორგანიზაცია არ არის სახელმწიფო, ასევე მას არ აქვს რელიგიური ლეგიტიმაცია, რათა „ისლამურად" მოვიხსენიოთ. ფრანგულ მედიაში ორგანიზაციის აღსანიშნად დამკვიდრებულია ტერმინი „დაეშ"-ი, რომელიც სრული სახელის არაბული აკრონიმია (დაულათ ისლამია ფი 'ირაკ უა შამ). ხშირად გამოიყენება სახელის ინგ-ლისური (ISIS) და რუსული (ИГИЛ) აკრონიმები. აკრონიმების გამოყენება პრობლემატური არ არის, რადგანაც არ ხდება დაკავშირება „ისლამთან" და „სახელმწიფოსთან". სრული სახელის შემთხვევაში რეკომენდირებულია მისი ამ ფორმულირებებით გამოყენება: **ე.წ. „ისლამური სა-ხელმწიფო"/ტერორისტული ორგანიზაცია „ისლამური სახელმწიფო".**
- **ისლამური დაჯგუფებები** – ტერმინი „ისლამური" ხშირად გამოიყენება ტერორისტული ჯგუფე-ბის დიფერენციაციის მიზნით, რათა მოხდეს იმ ჯგუფების აღნიშვნა, რომლებიც ისლამის სახე-ლით იბრძვიან. თუმცა, ასეთი გაშუქება ტერორისტებს სძენს ლეგიტიმაციას, რომ ისინი ისლამის ჭეშმარიტი მიმდევრები არიან. სწორედ ამიტომ, ტერორისტული დაჯგუფებების წინ ტერმინის „ისლამური" გამოყენებისას, მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას, რომ ისინი **ე.წ. „ისლამური"** ტერო-რისტული დაჯგუფებები არიან, რომლებიც ისლამს ძალადობის გამართლებისა და საკუთარი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად იყენებენ.

- **მსოფლიო ჯიჰადი / ჯიჰადისტთა ტერორისტული ორგანიზაცია** – აღნიშნული ტერმინების გამოყენება ტერორიზმის რომანტიზებას ახდენს და მის სიძლიერეს წარმოაჩენს. ამასთან, ტერორისტულ დაჯგუფებებს რელიგიურ ავტორიტეტს სძენს, რაც მათ არ გააჩნიათ. სწორედ ამიტომ, აღნიშნული ტერმინების ნაცვლად მედიაში რეკომენდირებულია ტერმინების **„ტერორიზმი“, „ექსტრემიზმი“ / „ექსტრემისტი“** გამოყენება.
- **შაჰიდი** – ტერმინი ტერორისტული ორგანიზაციების მიერ თვითმკვლელი ტერორისტის აღსანიშნად გამოიყენება. მედიაში „შაჰიდის“ ამ კონტექსტში გამოყენება რეკომენდირებული არ არის, რადგანაც თვითმკვლელი ტერორისტების „შაჰიდად“ მოხსენიება მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის ლეგიტიმაციას ახდენს. ისლამში სუიციდი მძიმე დანაშაულია, შესაბამისად თვითმკვლელი ტერორისტი „შაჰიდი“ ვერ გახდება, რადგანაც ყურანის გაგებით, შაჰიდი არის ადამიანი, რომელიც რელიგიურ ომში დაიღუპა. „შაჰიდის“ ნაცვლად აღნიშნულ კონტექსტში რეკომენდირებულია ტერმინის **„თვითმკვლელი ტერორისტი“** გამოყენება.
- **ვაჰაბიტი/სალაფიტი** – ტერმინები ვაჰაბიტი და სალაფიტი ხშირად ტერორისტის იდეოლოგიის აღსანიშნად გამოიყენება. სუნიტური ისლამის ამ განშტორების მიმდევარი არაერთი მუსლიმია, რომლებიც ძალადობრივ საქმიანობაში საერთოდ არ არიან ჩართულები. ტერორისტული ორგანიზაციების ისლამის განშტოებებთან დაკავშირება კვლავ ხელს უწყობს მათთვის რელიგიური ლეგიტიმაციის შექმნას.
- **რადიკალი მუსლიმი / რადიკალური ისლამი** – ექსტრემისტული/რადიკალური ჯგუფების ისლამთან დაკავშირება მედიაში არარეკომენდირებულია, რადგანაც ამგვარად მოხსენიება ისლამზე, როგორც რელიგიაზე აუდიტორიის თვალში ნეგატიურ იმიჯს ქმნის. ალტერნატიული, ნეიტრალური ტერმინებია „რადიკალი“ / „რადიკალური“, „ექსტრემისტი“ / „ექსტრემისტული“.
- **სახალიფო/ხალიფატი** – მედიაში სახალიფო/ხალიფატი ე.წ. „ისლამური სახელმწიფოს“ მიერ თვითგამოცხადებული სახალიფოს აღსანიშნად გამოიყენება. ტერორისტული ორგანიზაციისთვის „მმართველობის“ რელიგიური ლეგიტიმაციის შექმნის თავიდან არიდების მიზნით რეკომენდირებულია ტერმინების **„თვითგამოცხადებული სახალიფო“, „ე.წ. სახალიფო“**-ს გამოყენება.
- **ალლაჰუ აქბარ (ალაჰი უდიდესია)** – აღნიშნული ფრაზა ისლამური ლოცვის ერთ-ერთი მახასიათებელია, რის გამოც „ალლაჰუ აქბარ“ ყველა მუსლიმისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მატარებელია. მედიაში ეს ფრაზა ხშირად ტერორისტული დაჯგუფებების შეძახილთან არის გაიგივებული, რის გამოც მკითხველში / მაყურებელში ფორმულირების „ალლაჰუ აქბარ“ ეჭვს და შიშს იწვევს. ნუ გამოიყენებთ ამ ფრაზას ტერორიზმის საკითხების გასაშუქებლად, ან აუცილებლობის შემთხვევაში, აღნიშნეთ, რომ ტერორისტული დაჯგუფებები ისლამის ინტერპრეტირებას საკუთარი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად ახდენენ.
- **ტერორიზმი, ტერორისტი** – საინფორმაციო გადაცემებში ამ ტერმინების გამოყენებას სიფრთხილე მართებს, რადგანაც პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს მოვლენის აღწერას და არა კვალიფიცირებას. არაპირდაპირი ციტირების დროს მნიშვნელოვანია სიცხადე, რათა აუდიტორიისთვის აღქმადი იყოს, რომ ტერმინები წყაროდან მომდინარეობს. არ გამოიყენოთ ტერმინები ბრჭყალებში და არ დაურთოთ წინ „ე.წ.“, რადგან ამგვარი ფორმულირება შესაძლოა, ჟურნალისტის სუბიექტურ შეფასებაზე მიუთითებდეს. აღწერეთ აქტი და ბექგრაუნდი ობიექტურად, გამოიყენეთ უემოციო, მიუკერძოებელი ენა ისე, რომ თქვენ მიერ მიწოდებულ ფაქტებზე დაყრდნობით აუდიტორიამ თავად შესძლოს მოვლენის შეფასება. გამოიყენეთ სპეციფიური ტერმინები, როგორიცაა **„თავდამსხმელი“, „ამფეთქებელი“, „გამტაცებელი“, „შეიარაღებული პირი“** და ა.შ.

# დანართი

## დამხმარე ლექსიკონი ჟურნალისტებისთვის

### 1. რელიგიური ტერმინები

**აბადიტები** – ისტორიულად, აბადიტები (ასევე: იბადიტები, არაბ: الاباضية , ალ-იბადია) წარმოადგენენ ხარიჯიტების, რადიკალიზაციის შედეგად გადაშენებული პირველი ისლამური სქიზმის დღემდე არსებულ ერთადერთ შტოს. ხარიჯიტებისგან განსხვავებით, აბადიტებს მათი დოქტრინის მიმართ კრიტიკულად განწყობილი მუსლიმები ისლამური საზოგადოების წევრებად მიაჩნდათ. აბადიტები ეწინააღმდეგებიან მათ „ხარიჯიტებად" მოხსენიებას, თუმცა აღიარებენ, რომ აბადიზმი ხარიჯიტობიდან წარმოიშვა. სუნიტური და აბადიტური დოქტრინები რამდენიმე პუნქტში განსხვავდება, თუმცა მათ ძირითადად თეოლოგიური დატვირთვა აქვთ და მუსლიმთა ყოველდღიურ ცხოვრებაზე მხოლოდ მცირეოდენ გავლენას თუ ახდენენ.[18] აბადიზმი ომანის დომინანტი ისლამური სკოლაა.

**აია** – გამოიყენება ყურანში სტროფის, ანუ რიცხვით აღნიშნული თითოეული გამოთქმისა თუ აბზაცის აღსანიშნავად.

**აიათოლა** – შიიტი მუსლიმების რელიგიური ლიდერი. ასევე გამოიყენება, როგორც პატივისცემის ნიშანი, განსაკუთრებით მათთვის, ვინც იმამი არ არის.

**ბურქა** – ისლამურ საფარველთა შორის ყველაზე დამფარავი. ეს არის ერთიანი საფარველი, რომელიც ფარავს სახეს და ტანს და ხშირად, მხედველობისთვის ბადეს მოიცავს.

**ვაჰაბიზმი** – ოქსფორდის ბიბლიოგრაფიების მიხედვით, ვაჰაბიზმი მიესადაგება მე-18 საუკუნეში ისლამის რელიგიური და სამართლებრივი მკვლევარის, მუჰამად იბნ ალ-ვაჰაბის მიერ დაწყებულ აღორძინებისა და რეფორმის მოძრაობას ნაჯდის რეგიონში, რომელიც დღეს საუდის არაბეთის სახელითაა ცნობილი. იბნ აბდ ალ-ვაჰაბის სწავლების განმასხვავებელი ნიშან-თვისებებია მისი აქცენტი თავჰიდ-ზე (აბსოლუტური მონოთეიზმი), შირკ-ის (ვინმეს ან რაიმეს ასოცირება ღმერთთან) კრიტიკა და პირდაპირი, ინდივიდუალური დაბრუნება ყურანთან და სუნასთან (წინასწარმეტყველის მაგალითი) ინტერპრეტაციის (იჯთიჰად) მიზნით. თანამედროვეობაში ვაჰაბიზმი სხვადასხვა ფენომენთან მიმართებით გამოიყენება, მათ შორის სალაფიზმთან, ჯიჰადიზმთან,

[18] Oxford Bibliographies. http://bit.ly/2ypRFeU

საუდის არაბეთში არსებულ რელიგიურ რწმენასა და პრაქტიკასთან, ყურანისა და სუნას სიტყვასიტყვით ინტერპრეტაციასთან, ისლამის ისეთ ინტერპრეტაციასთან, რომელიც ფოკუსირდება რიტუალურ სისწორეზე, ნაცვლად შინაარსისა და ზოგადად, ნებისმიერ გლობალურ წინააღმდეგობით მოძრაობასთან, რომელიც ეყრდნობა ისლამს ან ისლამურ ტერმინოლოგიას. როგორც წესი, ის ასოცირდება თაქფირ-ის (პიროვნების ურწმუნოდ მიჩნევა) იდეოლოგიის პრაქტიკასთან, რომლის მიხედვითაც ნებისმიერი, ვინც ისლამის ვაჰაბიტურ ინტერპრეტაციას ეწინააღმდეგება, ქააფირ-ად (ურწმუნოდ) აღიქმება, რომელსაც ჯიჰადით (წმინდა ომით) უნდა ებრძოლო.[19]

**იმამი** – რელიგიური ლიდერი, განსაკუთრებით კი მუსლიმური საზოგადოების ლიდერი, ან პირი, რომელსაც მეჩეთში მსახურება მიჰყავს.

**ისლამი** – რელიგია, დაარსებული მუჰამად შუამავლის მიერ (570 – 632), რომელსაც მისი მიმდევრები უკანასკნელ წინასწარმეტყველად მიიჩნევენ. თავად სიტყვა „ისლამ" არაბულ ენაზე „მორჩილებას" ნიშნავს. მუსლიმები ყურანის წმინდა ტექსტს და აბსოლუტურ მონოთეიზმს აღიარებენ. მუსლიმები ახორციელებენ ე.წ. ხუთი ბურჯის პრაქტიკას: ლოცვა, მარხვა რამადანის დროს, მოწყალების გაცემა, პილიგრიმობა (მომლოცველობა) და რწმენის დამოწმება. ისლამის ორი ძირითადი დანაყოფია სუნიზმი და შიიზმი.

**ისლამის ხუთი ბურჯი:** შაჰადა (დამოწმება): მუსლიმური რწმენის აღმსარებლობის გულწრფელად გამოხატვა: „არ არს ღმერთი გარდა ალაჰისა და მუჰამადია მოციქული მისი" მუსლიმური რწმენის მთავარი ფორმულაა. ზაქათი (მოწყალება): მოწყალების (ან ქველმოქმედების) გაღება ღარიბებისა და გაჭირვებულების დასახმარებლად; საუმი (მარხვა): მარხვა რამადანის თვეში; ჰაჯი: პილიგრიმობა მექაში.

**ისლამისტი** – პოლიტიკური მოძრაობის მხარდამჭერი, რომელიც ხელისუფლებისა და საზოგადოების ისლამის მიერ დაწესებულ კანონებზე გადაწყობის იდეას იზიარებს. ტერმინი არ გამოიყენება იმ მუსლიმი მებრძოლების, სამხედროების, ექსტრემისტების ან რადიკალების სინონიმად, რომლებიც, შესაძლოა, არც იყვნენ ისლამისტები. სადაც შესაძლებელია, რეკომენდირებულია მათი კონკრეტული კუთვნილებების მითითება, როგორიცაა ალ-კაიდასთან დაკავშირებული, ჰეზბოლასთან დაკავშირებული, ტალიბანთან ასოცირებული და ა.შ. ყურანს, როგორც პოლიტიკურ მოდელს, მუსლიმთა ფართო წრე მიიჩნევს, მეინსტრიმ პოლიტიკოსებიდან დაწყებული ჯიჰადისტების სახელით ცნობილი მილიტანტებით დამთავრებული.[20] „პოლიტიკური ისლამი, ისლამიზმი"-ის მსგავსად, ტერმინი „ისლამისტიც" მუსლიმებისთვის მიუღებელია.

**მედრესე** – მუსლიმური სკოლა, კოლეჯი ან უნივერსიტეტი, რომელიც ხშირად მეჩეთის ნაწილს წარმოადგენს.[21]

**მოლა** – რელიგიურ კანონსა და დოქტრინაში განსწავლული მუსლიმი, რომელიც ამავდროულად რელიგიური მასწავლებელი ან ლიდერიცაა.

**მუეძინი** – პირი, რომელიც მუსლიმებს მეჩეთის მინარეთიდან სალოცავად მოუწოდებს.

---

19 Oxford Bibliographies. http://bit.ly/2zzWELD

20 Associated Press-ის სტილის სახელმძღვანელო

21 Merriam Webster Dictionary. https://www.merriam-webster.com/dictionary/madrasa

**მუფთი** – სამართლის მუსლიმი ექსპერტი, რომელსაც გააჩნია უფლებამოსილება, გასცეს განკარგულებები რელიგიურ საკითხებზე.

**ნიქაბი** – სახის საფარველი, რომელიც თვალების გარშემო სივრცეს ტოვებს ღიად. თუმცა, მისი ტარება ცალკე სახის საფარველითაცაა შესაძლებელი. მას ატარებენ თავსაბურავთან ერთად.

**პოლიტიკური ისლამი/ისლამიზმი** – ტერმინი პოლიტიკური ისლამი ზოგადად ისლამის ისეთ ინტერპრეტაციას მიესადაგება, რომელიც პოლიტიკური იდენტობისა და მოქმედების საფუძვლად გვევლინება. უფრო კონკრეტულად კი, ის გამოიყენება იმ მოძრაობების აღსანიშნავად, რომლებიც ისლამის სახელით თანამედროვე პოლიტიკურ მობილიზაციას წარმოადგენენ - ტენდენცია, რომელიც მე-20 საუკუნის ბოლოს აღმოცენდა. პოლიტიკური ისლამი მე-20 საუკუნის დროინდელი უფრო ფართო მოძრაობის, ისლამური აღორძინების, გამორჩეული ასპექტია, რომელიც მსოფლიოში მუსლიმების მიერ საკუთარი რელიგიის გააზრებისა და მისდამი ერთგულებისკენ სწრაფვაში გამოიხატებოდა. თუმცა, ისლამური აღორძინების ყველა მოძრაობა არ მიეკუთვნება პოლიტიკურ ისლამს. ზოგიერთი მკვლევარი „პოლიტიკური ისლამის“ ნაცვლად ტერმინს „ისლამიზმი“ იყენებს. აღსანიშნავია, რომ თავად მუსლიმებისთვის ეს ორივე ტერმინი მიუღებელია.[22]

**სალაფიზმი** – ოქსფორდის რელიგიის ენციკლოპედიის მიხედვით, სალაფიზმი არის სუნიტური ისლამის შტო, რომლის თანამედროვე მიმდევრებიც მიიჩნევენ, რომ „ღვთისმოსავ წინაპრებს“ (არაბ: السلف الصالح, ალ-სალაფ ალ-სააალიჰ, ხშირად ასოცირდება მუსლიმთა პირველ სამ თაობასთან) ცხოვრების მრავალ სფეროში მაქსიმალურად ბაძავენ. სხვადასხვა დროს, ისლამის მრავალი მკვლევარი ცდილობდა ადრეულ მუსლიმთა თაობის მიბაძვას სამართლებრივ, თეოლოგიურ, ან ორივე ზემოთჩამოთვლილ სფეროში. პრაქტიკულად, სალაფიზმი შეიძლება სამ შტოდ დაიყოს: კვიეტისტური სალაფიზმი, რომლის მიმდევრებიც პოლიტიკურ აქტივობას ერიდებიან და კონცენტრირდებიან ისლამის „განწმენდასა“ და „ჭეშმარიტი, სუფთა“ ისლამის სწავლებაზე; პოლიტიკური სალაფიზმი, რომელიც კონცენტრირდება დებატების, საპარლამენტო მონაწილეობისა და პოლიტიკური პარტიების დაარსების გზით პოლიტიკურ ვალდებულებაზე, როგორც ისლამის განუყოფელ ნაწილზე; და ჯიჰადისტური სალაფიზმი, რომლის მიმდევრებიც ძალადობრივი ჯიჰადის გზით მუსლიმურ ქვეყნებში, მათი აზრით, განდგომილი რეჟიმების გადაგდებას ისახავენ მიზნად.[23]

**სუნა** – ისლამური საზოგადოების ტრადიციული სოციალური და სამართლებრივი წეს-ჩვეულებებისა და პრაქტიკის ერთობლიობა. ყურანთან (ისლამის წმინდა წიგნი) და ჰადისებთან (წინასწარმეტყველი მუჰამადის შემონახული გამოთქმები) ერთად, წარმოადგენს შარიათის, ანუ ისლამური კანონის/სამართლის მთავარ წყაროს.[24]

**სუნიზმი** – ისლამის შტო, რომლის მიხედვითაც კანონის ინტერპრეტაციის პროცესი მე-10 საუკუნეში დასრულდა. სუნიზმში არსებობს ოთხი სამართლებრივი ტრადიცია: ჰანაფიტური, მალაქიტური, შაფიიტური და ჰანბალიტური.[25] მსოფლიოს მუსლიმთა უმეტესობა სუნიტურ ისლამს მიეკუთვნება. ადრეულ საუკუნეებში, სუნიტურმა ისლამმა განავითარა განსხვავებული სამართლებრივი

22 Oxford Bibliographies. http://bit.ly/2yqKDXq
23 Oxford Research Encyclopedias.http://bit.ly/2hoTmpl
24 Encyclopedia Britannica. https://www.britannica.com/topic/Sunnah
25 ARDA. http://www.thearda.com/learningcenter/religiondictionary.asp#S

ინსტიტუციები და თეოლოგიური დისკურსები, ისევე როგორც მმართველობის ფორმა – სახალიფო (არაბ. ხილაფა).[26]

**სურა** – სურა არის ტერმინი, რომლითაც ყურანის შემადგენელი თავები აღი ნიშნება. ყურანში სულ 114 სურაა, თითოეული მათგანი კი სტროფებადაა დაყოფილი. სურას თავები არათანაბარი სიგრძისაა. მათგან უმოკლესი (ალ-ქავსარი) მხოლოდ სამ აია-ს (სტროფს) შეიცავს, ხოლო უგრძესი (ალ-ბაქარა) – 286-ს.

**სუფიზმი** – სუფიზმი ინგლისური ტერმინია, რომელიც ისლამური რელიგიის მისტიკურ ინტერპრეტაციებისა და პრაქტიკების აღსანიშნად გამოიყენება. ეს მისტიკური მიმდევრობა არაბულ ენაში აღინიშნება ტერმინით თასავუფ, ხოლო სპარსულში ასევე გამოიყენება ტერმინი ირფან (გნოსტიციზმი). სუფიზმის მიმდევრები მიიჩნევენ, რომ სუფიზმი უშუალოდ მომდინარეობს იმანენტური (ბუნებრივი, თანდაყოლილი) ღვთაებრიობის სწავლებიდან, რომლის მიხედვითაც ღვთაებრიობა „იმაზე ახლოსაა, ვიდრე კისრის ძარღვი" და „რომლის ნიშნებიც არის ჰორიზონტსა და თქვენს თავებში" (41:53). სუფიებისთვის, წინასწარმეტყველი მუჰამადის რელიგიურმა და მისტიკურმა გამოცდილებებმა, როგორიცაა ღამის მოგზაურობა (მირაჯ), მისტიკური პრაქტიკების ათვისების პრეცენდეტი შექმნა. სუფიზმის მოწინააღმდეგეები კი აღნიშნავენ, რომ ტერმინი „თასავუფ" (სუფიზმი) არც ყურანში და არც წინასწარმეტყველის მიერ არ გამოყენებულა და რომ სუფიზმმა ისლამში ისლამამდელი და არაისლამური ელემენტები გადაჭარბებით გააერთიანა.[27]

**უმმა** – რელიგიური კავშირით განმტკიცებული ყველა მუსლიმის ერთობა.[28]

**ფარანჯა** – გრძელი და განიერი მანტია-საფარველი, რომელსაც მუსლიმი ქალები სახლის გარეთ ატარებენ, განსაკუთრებით კი ცენტრალურ აზიაში.

**შარიათი** – ისლამური კანონიკური სამართალი, დაფუძნებული ყურანის სწავლებებსა და წინასწარმეტყველის ტრადიციებზე (ჰადისი და სუნა), რომელიც მოიცავს როგორც რელიგიურ, ასევე საერო მოვალეობებს და ზოგიერთ შემთხვევებში სასჯელს კანონის დარღვევისთვის. როგორც წესი, მას თან ახლავს ხოლმე თანამედროვეობასთან ადაპტირებული კანონმდებლობა, თუმცა მისი თანამედროვე სახელმწიფოებში გამოყენების წესი მუსლიმ ტრადიციონალისტებსა და რეფორმისტებს შორის განხეთქილების საგნად რჩება.[29]

**შაჰიდი** – არაბულ ენაზე „შაჰიდი" როგორც „მოწმეს", ასევე „წამებულს" ნიშნავს. სუნიტურ ისლამში მოწამეობა ბრძოლაში სიკვდილთან იყო ასოცირებული, გარდა ადრეული პერიოდისა, როდესაც მუსლიმები მექას პოლითეისტების მიერ იდევნებოდნენ. სიკვდილისა თუ ტანჯვის სხვა ფორმებიც, როგორიცაა ჭირის გადატანა, თეოლოგიური საკითხების გამო შევიწროება (მაგალითად მიჰნა, ა.წ. 833 – 861) და შევიწროებასთან დაკავშირებული რიგი სხვა გარემოებები, ასევე, მიიჩნეოდა მოწამეობის გამომწვევად. შიიტებისთვის, ალ-ჰუსაინის მოწამეობა ერაყის ქალაქ კარბალასთან მის მოსაკლავად გამოგზავნილი უმაიდის სახელისუფლებო ჯარების მიერ ყველაზე დრამატული მოწამეობაა ისლამში. შიიტებისთვის, ეს არის მუჰამადის სისხლით შთამომავლების მოწინააღმდეგეების სისასტიკის განსახიერება და ლაქა, რომლის კოლექტიური ცნობიერებიდან სრულად ამოშლა შეუძლებელია.[30]

26 Oxford Bibliographies. http://bit.ly/2yreFdE
27 Oxford Bibliographies. http://bit.ly/2Asdsn6
28 Oxford Dictionaries. https://en.oxforddictionaries.com/definition/umma
29 Oxford Dictionaries. https://en.oxforddictionaries.com/definition/sharia
30 Oxford Bibliographies. http://bit.ly/2hpGzU6

**შეიხი** – 1. არაბული ტომის, ოჯახის ან სოფლის ლიდერი; 2. მუსლიმი საზოგადოების/თემის ლიდერი[31].

**შიიზმი** – შიიტი მუსლიმები მიიჩნევენ, რომ ჩვენი წელთაღრიცხვით 632 წელს წინასწარმეტყველი მუჰამადის გარდაცვალების შემდეგ, მუჰამადის სულიერი და პოლიტიკური ძალაუფლება მემკვიდრეობით მის ბიძაშვილსა და სიძეს – ალის (გარდაცვლილი 661 წელს) გადაეცა. ამგვარად, ზოგადად შიიტები დავობენ მუჰამადის პირველი სამი მემკვიდრის (რომელთაც ხალიფები ერქვათ) ლეგიტიმურობაზე, სანამ ხალიფა თავად ალი გახდებოდა (656 – 661). შიიტებს სწამთ, რომ ალის მკვლელობის შემდეგ, მემკვიდრეობის ხაზი ალისა და მისი მეუღლე ფატიმას (გარდაცვლილი 632 წელს) მამრობითი სქესის შთამომავლებზე გადის, რომელთაც „იმამები" ეწოდებათ. იმამების გამოთქმები და ქცევები თავად წინასწარმეტყველის ძალაუფლების ტოლსწორად მიიჩნევა. თუმცა, სხვადასხვა ჯგუფები მიიჩნევენ, რომ იმამობა ამ შთამომავლებს შორის სხვადასხვა პიროვნებებით გაგრძელდა. გადმოცემის თანახმად, ადრეული მე-9 საუკუნისთვის ორმოცამდე განსხვავებული შიიტი ჯგუფი არსებობდა. დღეისთვის მხოლოდ სამი მთავარი შიიტური ჯგუფი და რამდენიმე მცირე ჯგუფი არსებობს. დღეის მდგომარეობით, მსოფლიოში მცხოვრები 1 მილიარდი მუსლიმიდან დაახლოებით 10-15%-ია შიიტი.[32]

**ხალიფა და სახალიფო** – ტერმინი „ხალიფა" „წინასწარმეტყველი მუჰამადის შთამომავალს", "მონაცვლეს" აღნიშნავს, ხოლო „სახალიფო" (არაბ. ხილაფა) – მუსლიმი საზოგადოების (უმმა) ან სახელმწიფოს პოლიტიკური ლიდერის სამყოფელს, განსაკუთრებით 632 – 1258 წლების პერიოდში. მიუხედავად იმისა, რომ ხალიფას, მუჰამადისგან განსხვავებით, სულიერი ძალაუფლება არ გააჩნდა, ის ისლამური კანონების (შარიათი) წესით მართავდა სახელმწიფოს, რომლის ტერიტორიებიც „ისლამის საუფლოს / სახლს" (დარ ალ-ისლამ) შეადგენდა.[33]

**ხარიჯიტები** – ისლამის პირველი გამოკვეთილი განდგომილი ჯგუფი. მათი იდენტობის ჩასახვა უკავშირდება მუჰამედის მიმდევრების მსჯელობას, თუ რა ზომით იყო შესაძლებელი ქცევის იდეალური ნორმებიდან გადახვევა და მიუხედავად ამისა, მუსლიმის სახელის შენარჩუნება. უკიდურესი ხარიჯიტული პოზიციის მიხედვით, მუსლიმი, რომელიც მძიმე ცოდვას სჩადის, უარყოფს თავის რელიგიასაც და უერთდება განდგომილთა რიგებს, შესაბამისად, ის სიკვდილით დასჯას იმსახურებს. მუსლიმთა უმრავლესობის მიერ ეს პოზიცია უკიდურესად შემზღუდავად იქნა აღქმული, ისევე როგორც ზომიერი ხარიჯიტების მიერ, რომელთაც მიაჩნდათ, რომ აღიარებული მუსლიმი ვერ გახდებოდა ურწმუნო (ქააფირი). ხარიჯიტების რწმენით, დაუშვებელი იყო იმ მუსლიმებთან ერთად ცხოვრება, რომლებიც მათ შეხედულებებს არ იზიარებდნენ. სწორედ აქედან მომდინარეობს მათი სახელი, რომლითაც ისლამური ისტორიოგრაფიაში არიან ცნობილნი – ხარიჯ (მრავ. ხავარიჯ) არაბულ ენაზე ნიშნავს „განდგომილებს" ან „მათ, ვინც საზოგადოება დატოვეს". რადიკალმა ხარიჯიტებმა კი, თავის მხრივ, ყველა, ვინც მათ პოზიციას არ ეთანხმებოდა, მოღალატედ გამოაცხადეს და მთავარ მუსლიმურ ცენტრებზე პერიოდულ სამხედრო შეტევებს ახორციელებდნენ. მე-8 საუკუნის ბოლოდან ხარიჯიტები სამხედრო საფრთხეს აღარ წარმოადგენდნენ.[34]

**ჯიჰადი** – ჯიჰადი სიტყვასიტყვით ნიშნავს ბრძოლას ან ძალისხმევას და ის გაცილებით ფართო მნიშვნელობის მატარებელია, ვიდრე წმინდა ომი.

---

31 Oxford Dictionaries. https://en.oxforddictionaries.com/definition/sheikh

32 Oxford Bibliographies. http://bit.ly/2ztFQIs

33 Oxford Bibliographies. http://bit.ly/2iKVyEJ

34 Oxford Bibliographies. http://bit.ly/2jgI4FT

მუსლიმები სიტყვა ჯიჰადს სამი სხვადასხვა სახის ბრძოლის დასახასიათებლად იყენებენ: 1) მორწმუნის შინაგანი ბრძოლა სწორი მუსლიმური რწმენით ცხოვრების მიზნით; 2) ბრძოლა კარგი მუსლიმური საზოგადოების ჩამოსაყალიბებლად; 3) წმინდა ომი: ბრძოლა ისლამის დასაცავად, საჭიროების შემთხვევაში, ძალის გამოყენებით.

ომი არ არის ჯიჰადი, თუკი განზრახვა არის შემდგომი: აიძულოს ხალხს მიიღოს ისლამი; დაიპყროს სხვა სახელმწიფოები მათი კოლონიზაციის მიზნით; მიისაკუთროს ტერიტორია ეკონომიკური სარგებლის მიღების მიზნით; განხეთქილების მოგვარება; ლიდერის ძალის დემონსტრირება.

სამხედრო ჯიჰადისთვის დასაშვები მიზეზებია: თავდაცვა, ისლამის გაძლიერება, მუსლიმების მიერ მათი რწმენის პრაქტიკულად განხორციელების თავისუფლების დაცვა; მუსლიმთა დაცვა შევიწროებისგან, რაც შესაძლოა, მოიცავდეს ტირანული მმართველის ჩამოგდებას, ფიცის გამტეხი მტრის დასჯას, უსამართლობის გამოსწორებას.[35]

**ჰადისები** – წინასწარმეტყველი მუჰამადის შემონახული გამოთქმები, მიჩნეული და მიღებული რელიგიური კანონის/სამართლის და მორალური ხელმძღვანელობის მთავარ წყაროდ. გავლენით ჩამორჩება მხოლოდ ყურანს, ისლამის წმინდა წიგნს.[36]

**ჰიჯაბი** – ჰიჯაბი ზოგადად სხეულის დაფარვის მიზნით შემოსვას გულისხმობს და ხშირად გამოიყენება მუსლიმი ქალების მიერ თავშალის ტარების აღსაწერად. თავშალები, შეიძლება მრავალი სხვადასხვა სტილის და ფერის იყოს. ჰიჯაბი ფარავს თავს და კისერს, მაგრამ ღიად ტოვებს სახეს.

## მუსლიმური დღესასწაულები

**ალ-ჰიჯრა** – ისლამური ახალი წელი, წარმოადგენს მუჰარამის თვის პირველ დღეს. მოცემული დღე ჰიჯრას , ანუ ა.წ. 622 წელს წინასწარმეტყველი მუჰამადის მექადან მედინაში გადასვლას და პირველი ისლამური სახელმწიფოს დაარსებას უკავშირდება. მუსლიმური კალენდარი წელთაღრიცხვას ჰიჯრადან იწყებს, რის გამოც მუსლიმურ თარიღებს აქვთ სუფიქსი ჰ.შ. (ჰიჯრას შემდეგ).

**აშურა** – აშურას დღე ყველა მუსლიმის მიერ აღინიშნება, მაგრამ შიიტებისთვის ის წინასწარმეტყველი მუჰამადის შვილიშვილის, ჰუსეინის კარბალაში მოწამეობის დიდი რელიგიური ხსენების დღეა. ის ემთხვევა მეათე მუჰარამს, ისლამური მთვარის კალენდრის პირველ თვეს. აშურა აღინიშნება მუსლიმების მიერ ერთდღიანი ნებაყოფლობითი მარხვით და ორ მოვლენას მიაგებს პატივს: 1. დღეს, როდესაც ნოემ დატოვა კიდობანი; 2. დღეს, როდესაც მოსე ღმერთმა ეგვიპტელებისგან გადაარჩინა.[37]

**იდ ულ-ადჰა** – მსხვერპლშეწირვის დღესასწაული – ოთხდღიანი საჯარო დღესასწაული მუსლიმურ ქვეყნებში. მოცემული დღესასწაული უკავშირდება წინასწარმეტყველი აბრაამის მზადყოფნას, შეეწირა საკუთარი ვაჟი, როდესაც ღმერთმა მას ეს უბრძანა. დღესასწაულის დროს, მუსლიმები მსხვერპლად სწირავენ შინაურ ცხოველებს, როგორც წესი, ცხვრებს, როგორც აბრაამის მსხვერპლშეწირვის სიმბოლოს.

---

35 BBC. http://www.bbc.co.uk/religion/religions/islam/beliefs/jihad_1.shtml
36 Encyclopedia Britannica. https://www.britannica.com/topic/Hadith
37 BBC. http://www.bbc.com/news/world-middle-east-16047713

**იდ ულ-ფითრ** – მარხვის შეწყვეტის დღესასწაული – ყოველწლიური მუსლიმური დღესასწაული, რომლითაც რამადანის დასრულება აღინიშნება და საჩუქრებისა და საზეიმო კერძების გაცვლას გულისხმობს.

**ლაილათ ულ-ბარათ** – შენდობის ღამე – არის შაბანის მე-15 ღამე და აღინიშნება რამადანამდე ორი კვირით ადრე. ამ დროს მუსლიმები მათი ცოდვების გამო შენდობას ითხოვენ და სწამთ, რომ ამ ღამეს ადამიანის ბედი მომავალი წლისთვის იწმინდება.

**ლაილათ ულ-კადრ** – ბედისწერის ღამე – აღნიშნავს ღამეს, როდესაც ალაჰმა წინასწარმეტყველ მუჰამადს ყურანი გაუმხილა. ლაილათ ულ-კადრი რამადანის დროს, 27-ე დღეს აღინიშნება.

**ლაილათ ულ-მირაჯ** – მირაჯის ღამე – წინასწარმეტყველი მუჰამადის ღამის მოგზაურობა და ამაღლება, აგრეთვე სალათის/ნამაზის გამჟღავნება. წინასწარმეტყველმა ერთ ღამეში ჩააღწია მექადან იერუსალიმში უცხო ფრთიანი ქმნილებით, სახელად ბურაქი. იერუსალიმიდან ის ამაღლდა სამოთხეში, სადაც ის ჯერ ადრეულ წინასწარმეტყველებს, შემდეგ კი ღმერთს შეეგება. სამოთხეში მისი ყოფნისას, მუჰამადს შეატყობინეს მუსლიმების მოვალეობაზე, დღეში ხუთჯერ სალათის (რიტუალური ლოცვა) გამეორების შესახებ.

**მილად უნ-ნაბი** – მოციქულის დაბადების დღე – აღნიშნავს წინასწარმეტყველი მუჰამადის დაბადების დღეს. მუსლიმთა ნაწილი წინასწარმეტყველის დაბადების დღის აღნიშნავს არ ეთანხმება, რადგანაც მიაჩნიათ, რომ არ არსებობს მუჰამადის მიერ დაბადების დღის აღნიშვნის ისტორიული მტკიცებულება. მიუხედავად ამისა, მუსლიმთა დიდი რაოდენობა მაინც აღნიშნავს წმინდა წინასწარმეტყველის დაბადების დღეს, რომელიც ისლამური მთვარის კალენდრის მიხედვით, რაბი-ალ-ავალის 12 რიცხვში უწევს.

**რამადანი** – რამადანი არის ისლამური კალენდრის მეცხრე თვე, როდესაც მუსლიმები დღის სინათლის საათებში მარხულობენ. არსებობს რამდენიმე მიზეზი, რის გამოც რამადანი მნიშვნელოვნად ითვლება: ყურანი ამ თვეს იქნა გამხელილი; სამოთხის ჭიშკარი ღიაა; ჯოჯოხეთის ჭიშკარი დახურულია, ეშმაკები კი – ჯოჯოხეთში დაბმულნი. ამის გამო, რამადანს ხშირად ყურანის თვეს უწოდებენ. მუსლიმები ცდილობენ, მოცემულ თვეში ყურანის რაც შეიძლება დიდი ნაწილის ციტირება მოახდინონ.

## 2. მიგრაცია

**წყარო: მიგრაციის ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი, მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია[38] და საქართველოს კანონმდებლობა**

**არალეგალური უცხოელი/ უსაბუთო უცხოელი/ სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მყოფი მიგრანტი** – პირი, რომელსაც არალეგალური შესვლის ან ვიზის ამოწურვის გამო არ აქვს სატრანზიტო ან მიმღებ ქვეყანაში ლეგალური ყოფნის სტატუსი. ტერმინი გამოიყენება იმ მიგრანტებთან მიმართებაში, რომლებიც არღვევენ ქვეყანაში შესვლის წესებს, ასევე ყველა იმ პირთან მიმართებაში, რომლებსაც მასპინძელ ქვეყანაში დარჩენის უფლება აღარ აქვთ.

38 მიგრაციის ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი, მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია, http://migration.commission.ge/files/glosaary.pdf

„უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“[39] და „ქვეყნის ტერიტორიაზე მიგრანტთა ინსპექტირების შესახებ“[40] საქართველოს კანონების მიხედვით, მიგრანტის ყოფნა საქართველოს ტერიტორიაზე ითვლება უკანონოდ თუ: ა. უცხოელი, რომელსაც საქართველოში შემოსვლისათვის არ ესაჭიროება მოკლევადიანი საქართველოს ვიზა, დაარღვევს საქართველოში ყოფნის ვადას, რომელიც განსაზღვრულია 90 კალენდარული დღის ვადით ნებისმიერ 180-დღიან პერიოდში[41]; ბ. უცხოელი, რომელიც ფლობს ერთჯერად მოკლევადიან ვიზას და დაარღვევს ამ ვიზით გათვალისწინებულ ვადებს, რომელიც 30 კალენდარული დღით არის განსაზღვრული; გ. უცხოელი, რომელიც ფლობს მრავალეჯერად მოკლევადიან ვიზას და დაარღვევს საქართველოში ყოფნის ვიზით გათვალისწინებულ ვადებს, რომელიც განსაზღვრულია 90 კალენდარული დღით ნებისმიერი 180 დღის განმავლობაში 5 წლის ვადით; დ. უცხოელი, რომელიც ფლობს გრძელვადიან ვიზას და დაარღვევს ამ ვიზით გათვალისწინებულ ვადებს, რომელიც განსაზღვრულია 90 კალენდარული დღის ან 1 წლის საქართველოში ყოფნის ვადით. ბ. უცხოელმა დაარღვია მიგრანტის ბარათში განსაზღვრულ ქვეყანაში ყოფნის ვადა და საქმიანობის პირობები; გ. უცხოელს არ გააჩნია მიგრანტის ბარათის „ბ“ „გასვლის“ ნაწილი; დ. უცხოელი არ გამოცხადდა საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიგრაციის კონტროლის დეპარტამენტში მეორეული ინსპექტირებისათვის.

**ბინადრობის ნებართვა** – საქართველოში ბინადრობის ნებართვა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ საქართველოში კანონიერად მყოფ უცხოელებზე გაიცემა. არსებობს 10 ტიპის ბინადრობის ნებართვა: შრომითი, სასწავლო, ოჯახის გაერთიანების მიზნით, მოქალაქეობის არმქონე პირთათვის, სპეციალური, მუდმივი ცხოვრების, საინვესტიციო, დროებითი, მოკლევადიანი.[42]

**გადაადგილებული პირი** – პირი, რომელიც ტოვებს თავის ქვეყანას ან თემს შიშის ან იმ საფრთხეების გამო, რომლებიც განსხვავდება იმ გარემოებებისგან, რომლებიც მას ლტოლვილად აქცევდა. გადაადგილებული პირი ხშირად იძულებულია დატოვოს ჩვეული გარემო შიდა კონფლიქტის ან ბუნებრივი ან ადამიანის ჩარევით გამოწვეული კატასტროფის გამო.

**დეპორტაცია** – სახელმწიფოს მიერ უცხოელის გაძევება ქვეყნის ტერიტორიიდან, თავისი სუვერენული უფლების გამოყენებით, რაც ჩვეულებრივ, დარჩენაზე ან ბინადრობის ვადის გახანგრძლივებაზე უარის თქმის შემდეგ ხდება.

**ემიგრაცია** – ერთი ქვეყნიდან მეორეში გამგზავრება საცხოვრებლად. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ნორმების თანახმად, ყველა ადამიანს აქვს უფლება, თავისუფლად დატოვოს ნებისმიერი ქვეყანა, საკუთარის ჩათვლით და რომ სახელმწიფომ მხოლოდ ძალზე იშვიათ შემთხვევებში შეიძლება დააწესოს შეზღუდვები პირის უფლებაზე, დატოვოს მისი ქვეყნის ტერიტორია.

39 საქართველოს კანონი უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ https://matsne.gov.ge/ka/document/view/2278806

40 საქართველოს კანონი ქვეყნის ტერიტორიაზე მიგრანტთა ინსპექტირების შესახებ https://matsne.gov.ge/ka/document/view/22594

41 ქვეყნის ჩამონათვალი, რომელთა მოქალაქეებს საქართველოში შემოსვლა უვიზოდ შეუძლიათ: https://www.geoconsul.gov.ge/HtmlPage/Html/View?id=956

42 საქართველოს კანონი უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ, https://matsne.gov.ge/ka/document/view/2278806

**თავშესაფრის მაძიებელი** – პირები, რომლებსაც სურთ ლტოლვილის სტატუსის მიღება და ელოდებიან გადაწყვეტილებას თავიანთ განცხადებებზე ლტოლვილის სტატუსის მიღების შესახებ საერთაშორისო და ადგილობრივი საკანონმდებლო ნორმების შესაბამისად. უარყოფითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, მათ უნდა დატოვონ ქვეყანა, ან შესაძლოა, გაძევებულ იქნან ქვეყნიდან ისევე, როგორც ქვეყანაში არალეგალურად მყოფი ნებისმიერი უცხოელი, იმ შემთხვევის გარდა, თუ დარჩენის ნებართვა გაიცემა ჰუმანიტარულ ან სხვა მსგავს მოსაზრებათა საფუძველზე.

**იმიგრაცია** – პროცესი, რომლის შედეგად არამოქალაქეები ჩადიან სხვა ქვეყანაში, იქ დასახლების მიზნით.

**იძულებით გადაადგილებული პირები** – პირები ან პირთა ჯგუფი, რომლებიც აიძულეს ან დაავალდებულეს, დაეტოვებინათ თავიანთი სახლი ან ჩვეული ბინადრობის ადგილი; კერძოდ, შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად ან მისი შედეგების თავიდან აცილების მიზნით, ასევე ძალადობის საყოველთაო გამოვლინებების, ადამიანის უფლებების დარღვევების და ბუნებრივი ან ადამიანის ჩარევით გამოწვეული კატასტროფების თავიდან ასაცილებლად; და რომლებსაც არ დაუტოვებიათ საერთაშორისოდ აღიარებული სახელმწიფო საზღვრები.

**ლტოლვილი** – „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის[43] მიხედვით, ლტოლვილად ითვლება პირი, რომელსაც მიენიჭა ლტოლვილის სტატუსი. ლტოლვილის სტატუსი ენიჭება უცხოელს ან მოქალაქეობის არმქონე პირს, რომელიც იმყოფება წარმოშობის ქვეყნის გარეთ, აქვს საფუძვლიანი შიში, რომ იგი შეიძლება გახდეს დევნის მსხვერპლი რასის, რელიგიის, ეროვნების, გარკვეული სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილების ან პოლიტიკური შეხედულების გამო, და არ შეუძლია ან არ სურს, შიშიდან გამომდინარე, დაბრუნდეს თავის წარმოშობის ქვეყანაში ან ისარგებლოს ამ ქვეყნის მფარველობით.

**მიგრანტი** – ტერმინი „მიგრანტი“ მოიაზრებს ყველა იმ შემთხვევას, როდესაც პირი მიგრაციის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს თავისუფლად, ძალდაუტანებლად, რაც ნაკარნახევია „პირადი კეთილდღეობის“ მიზეზით და ხდება გარე იძულებითი ფაქტორის ჩარევის გარეშე. ამდენად, ეს ტერმინი გამოიყენება იმ პირთა და მათი ოჯახის წევრთა მიმართ, რომლებიც მიემგზავრებიან სხვა ქვეყანაში ან რეგიონში, როგორც მატერიალური და სოციალური პირობების, ასევე პირადი და თავისი ოჯახის წევრების სამომავლო პერსპექტივების გაუმჯობესების მიზნით.

**მიგრანტის ბარათი** – მიგრანტის ბარათი არის საქართველოში მუდმივად მცხოვრებთა (საქართველოს მოქალაქეობის მქონეთა, მოქალაქეობის არმქონეთა და იმიგრანტის სტატუსის მქონეთა) აღრიცხვის სტატისტიკური ფორმა, ხოლო უცხოელთათვის – საზღვრის გადაკვეთის, საქართველოში ყოფნისა და საქმიანობის აუცილებელი დოკუმენტი.[44]

**მიმღები ქვეყანა** – დანიშნულების ქვეყანა ან მესამე ქვეყანა. დაბრუნების ან რეპატრიაციის შემთხვევაში – ასევე, წარმოშობის ქვეყანა. ქვეყანა, რომელიც თანახმაა, ყოველწლიურად მიიღოს ლტოლვილთა ან მიგრანტთა განსაზღვრული რაოდენობა პრეზიდენტის, მთავრობის ან პარლამენტის გადაწყვეტილების საფუძველზე.

---

43 საქართველოს კანონი საერთაშორისო დაცვის შესახებ https://matsne.gov.ge/ka/document/view/3452780

44 საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება №707 „საქართველოს სასაზღვრო-გამტარ პუნქტებში მიგრანტთა ინსპექტორების შესახებ“ https://matsne.gov.ge/ka/document/view/112300

**მოქალაქეობის არმქონე პირი** – პირი, რომელსაც არცერთი სახელმწიფო არ მიიჩნევს თავის მოქალაქედ საკუთარი კანონმდებლობის შესაბამისად.[45]

**ნატურალიზაცია** – სახელმწიფოს მიერ მოქალაქეობის მინიჭება უცხოელისთვის, ამ უკანასკნელის განაცხადის საფუძველზე მიღებული ოფიციალური აქტის შესაბამისად. „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის[46] თანახმად ნატურალიზაციის სახეებია: ა) საქართველოს მოქალაქეობის ჩვეულებრივი წესით მინიჭება; ბ) საქართველოს მოქალაქეობის გამარტივებული წესით მინიჭება; გ) საქართველოს მოქალაქეობის საგამონაკლისო წესით მინიჭება; დ) საქართველოს მოქალაქეობის აღდგენის წესით მინიჭება.

**ორმაგი მოქალაქეობა** – ნიშნავს ერთდროულად ორი ქვეყნის მოქალაქეობის ფლობას. საქართველოს მოქალაქეობის შესახებ კანონის 21-ე მუხლის თანახმად, საქართველოს მოქალაქე დაკარგავს მოქალაქეობას თუ სხვა ქვეყნის მოქალაქეობას მოიპოვებს.

**პირველი თავშესაფრის პრინციპი** – პრინციპი, რომლის თანახმად თავშესაფრის მაძიებელმა თავშესაფარი უნდა მოითხოვოს პირველივე ქვეყანაში, სადაც მას საფრთხე აღარ ემუქრება.

**რეადმისია** – სახელმწიფოს მიერ გაცემული ნებართვა იმ პირის (ამ ქვეყნის მოქალაქის, მესამე ქვეყნის მოქალაქის ან მოქალაქეობის არმქონე პირის) ქვეყანაში განმეორებით შესვლაზე, რომელიც არალეგალურად შევიდა ან იმყოფებოდა სხვა ქვეყანაში.

**საბუთიანი (კანონიერად მყოფი) მიგრანტი** – მიგრანტი, რომელმაც ლეგალურად გადაკვეთა ქვეყნის საზღვარი და იმყოფება იქ აღნიშნულ ქვეყანაში მისი ყოფნისთვის განსაზღვრული კრიტერიუმის თანახმად.

**სტატუსის შეცვლა** – პროცედურა, რომელიც ქვეყანაში ლეგალურად მყოფ უცხოელს უფლებას აძლევს, მიოთხოვოს მისთვის განსხვავებული საიმიგრაციო სტატუსის მინიჭება. მაგალითად, კანონმდებლობა შეიძლება ითვალისწინებდეს დებულებას, რომელიც საშუალებას აძლევს სტუდენტური ვიზის მფლობელ არამოქალაქეს, სწავლის დასრულების შემდგომ მოითხოვოს სტატუსის შეცვლა, კერძოდ, სტუდენტური ვიზის შეცვლა სამუშაო ვიზით.

**უცხო ქვეყნის მოქალაქე** – პირი, რომელიც არ არის საქართველოს მოქალაქე და საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირი

**შესვლა** – უცხოელის შესვლა უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე ნებისმიერი ფორმით, ნებაყოფლობით ან იძულებით, ლეგალურად ან არალეგალურად.

**შრომითი მიგრაცია** – პირის საქართველოდან შრომითი მოწყობის სახელმწიფოში გასვლა უცხოელ დამსაქმებელთან შრომითი მოწყობისა და ანაზღაურებადი შრომითი საქმიანობის განხორციელების მიზნით ან საქართველოში მუდმივი ბინადრობის ნებართვის არმქონე უცხოელის სხვა სახელმწიფოდან საქართველოში შემოსვლა ადგილობრივ დამსაქმებელთან შრომითი მოწყობისა და ანაზღაურებადი შრომითი საქმიანობის განხორციელების მიზნით.

---

45 https://matsne.gov.ge/ka/document/view/2278806

46 საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ https://matsne.gov.ge/ka/document/view/2342552

MDFGEORGIA.GE